9 772298 095006
JK 1134
2024
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი

ფრილი

ფასი 3 ლარი

ხაზარაძეების
ფონდი
/კულტურისთვის

5 2024
(321)

თამთა მელაშვილი

კაბა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარჩევი

პერსონა	1	„იმისთვის ვწერ, რომ ჩემს პერსონაჟებს რაც შეიძლება ხანგრძლივი და ბევრნაირი სიცოცხლე ჰქონდეთ“ | ინტერვიუ თამთა მელაშვილთან *ესაუბრა გვანცა თულაშვილი*
	4	თამთა მელაშვილი | კაბა
პოეზია	18	ლელა სამნიაშვილი
	21	ია ჯინჭარაძე
	25	თემურ ჩხეტიანი
თარგმანი	29	კირმენ ურიბე | ლექსები *ბასკურიდან და ესპანურიდან თარგმნა* *ირაკლი მენთეშაშვილმა*
პროზა	36	დიმიტრი წიკლაური | ბუკინისტი
ქალაქური ტექსტი	45	მალხაზ ხარბედია | ვასილ ბარნოვის თბილისური ეთნოგრაფია და წარმოსახვა
ესე	56	მეთიუ ბევისი | მსუბუქი თავბრუსხვევა *ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ*

გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი

არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია "არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "Arili"

რედაქტორები
მალხაზ ხარბედია
ლექსო დორეული

სარედაქციო საბჭო
რატი ამაღლობელი, ია ანთაძე, ინა არჩუაშვილი, ანდრო ბუაჩიძე, ლაშა ბუღაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე, ვასილ მაღლაფერიძე, ზვიად რატიანი, ჯიმშერ რეხვიაშვილი, ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე, ბაკურ სულაკაური, ირმა ტაველიძე, ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.

მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა თამაზ ჩხაიძე
პროექტის მენეჯერი ეკა ხარბედია

არილი - დასასვენებელი სიწმინდეთა
სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

არილი - თანამედროვე ქართული ლიტერატურის მარილი
ხალხური

ხაზარაძეების ფონდი
/კულტურისთვის

ელექტრონული ფოსტა: info@arilimag.ge
ვებგვერდი: arilimag.ge
AriliMagazine

გამოდის 1994 წლიდან

© ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება "არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

„იმისთვის ვწერ, რომ ჩემს პერსონაჟებს რაც შეიძლება ხანგრძლივი და ბევრნაირი სიცოცხლე ჰქონდეთ“

ინტერვიუ თამთა მელაშვილთან

ესაუბრა გვანცა თულაშვილი

- თქვენი პიესა „კაბა“, რომელსაც „არილის“ ამავე ნომერში შეხვდება მკითხველი, ერთი მსახიობის პიესაა. მასში მონაწილეობენ ხმები და „უტყვი თოჯინები“. ტექსტის ერთადერთი „ნამდვილი“ და ავტონომიური პერსონაჟი რეალური ისტორიული პირია - ბევრისთვის შეიძლება უცნობი ქალი, მინადორა ორჯონიკიძე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი. რატომ დაინტერესდით მინადორათი და გადაწყვიტეთ მისი ლიტერატურული გაცოცხლება?

- მინადორა ორჯონიკიძე თავიდან მეც დამფუძნებელი კრების წევრად და პირველ პარლამენტარ ქალად გავიცანი. მერე, რამდენიმე წლის წინ, ერთ საბავშვო წიგნზე მომიწია მუშაობა. „ყოჩაღი გოგოები საქართველოს წარსულიდან“ ასე ერქვა წიგნს და იქ ერთ-ერთი ყოჩაღი გოგო მინადორა იყო. ბავშვებისთვის გასაგებ ენაზე მისი ბიოგრაფიის შესახებ უნდა მომეყოლა. მახსოვს, რომ ძალიან გამიჭირდა მაშინ წერა. ვერ ვიპოვე ვერანაირი ხელშესახები ამბავი, რომელიც ამ ქალს ბავშვებისთვის თუ არა, ჩემთვის მაინც გააცოცხლებდა. მიუხედავად იმისა, რომ

„არილის“ მე-5 ნომრის შემომწირველები

ხაზარაძეების ფონდი / კულტურისთვის

გამომცემლობა „პალიტრა L“

ნესტან რატიანი
რეზო გეთიაშვილი
გიორგი მაჭარაშვილი
ნინო ფირცხალავა
გიორგი მაისურაძე
მინდია არაბული
გიორგი კაკაბაძე
მეგი თედორაძე
დათა ხარაიშვილი
ია ანთაძე
ლანა კალანდია
ია ჯეჯელავა
ნინი ქუთელია
მაია ალუდაური
ანა მარგველაშვილი
ნიკო გიორგაძე
ნანა კობაიძე
მედეა იმერლიშვილი
თამარ რუხაძე
მღებრიშვილი თამარ
შპს ელვა.ჯი
ზაზა სახვაძე
ანა ანანიაშვილი
ელისო ფირცხალავა
ვახტანგ ჩიტაური
რამაზ გიგაური
ხათუნა აბულაძე
ნათია სუხიტაშვილი
ჯგუშია მარიამ
ილია აკობია
მარინე ბრეგვაძე
ლილი მაისურაძე
დავით შერგელაშვილი
თამარ ხოსრუაშვილი
კობიძე თამარ
ელენე ცინცაძე
მარიამი გუნია

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

თავისი ჭკუითა და გამოცდილებით უმნიშვნელოვანესი ფიგურა იყო, მაინც მხოლოდ სახელად და გვარად რჩებოდა ჩემთვის. იმ წიგნის გამოცემიდან რამდენიმე ხნის შემდეგ, ეკა ტოგონიძესთან რადიოინტერვიუში, სრულიად შემთხვევით მოვისმინე ერთი ამბავი, რომელიც ეკას, თავის მხრივ, მოუთხრო ქალბატონმა ლანა ღოღობერიძემ, რომელიც მინადორას ქალიშვილთან, სუსანა ტოროშელიძესთან მეგობრობდა. თურმე პირველი, რაც გადასახლებიდან დაბრუნებულმა მინადორამ გააკეთა, იყო ის, რომ მაშინდელ ყველაზე ცნობილ მკერავთან წავიდა და ახალი კაბა შეიკერა. ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამ ამბავმა ჩემზე, უცებ გახდა ეს ქალი ჩემთვის ცოცხალიც და ხელშესახებიც, უცებ გაადამიანურდა. ვიცოდი, რომ საკმაოდ ხანში შესული დაბრუნდა გადასახლებიდან, ვიცოდი ისიც, რომ უკვე დახვრეტილი ჰყავდა ქმარი და შვილები და ვიფიქრე, რომ უბრალო კაბის შეკერვის აქტი, მისი ცხოვრების დეტალების გათვალისწინებით, მაინც რაღაც მნიშვნელოვანი განაცხადი შეიძლებოდა ყოფილიყო მისი მხრიდან. რა თქმა უნდა, რეალურად ჩვენ ვერასოდეს გავიგებთ, რა იყო მინადორას მოტივაცია, მაგრამ მე ნამდვილად ვერ მოვისვენე და, საბოლოო ჯამში, ამ ამბის ჩემეულმა ინტერპრეტაციამ მონოპიესის ფორმა მიიღო.

- „კაბაზე“ მუშაობისას ალბათ ისტორიულ რეალობასთან გინწევდათ „კონკურენცია“. მიზნად რეალობის როგორი ასახვა გქონდათ? რა დოზით მიეცით თავს უფლება ისტორიულ სიმარილეში გამონაგონით ჩარევისა და მისი ტრანსფორმაციისა?

- პიესის წერისას არ გავცდენივარ მინადორას ბიოგრაფიას, პირიქით, ზედმინევნით მივყევი მას. ამის საშუალება მისმა მემუარებმა მომცა, რომელიც სოვლაბმა გამოსცა. ძალიან დამეხმარა ასევე სოვლაბის მიერ ჩაწერილი ზეპირი ისტორია მის შვილიშვილთან, ქალბატონ მარინე ფირცხალავასთან, რისთვისაც მადლობას ვუხდი ქალბატონ მარინესაც და სოვლაბსაც. პიესის მინადორა სრულიად ჩემი შეთხზულია, ზოგადად, პიესა მისი ბიოგრაფიის ჩემეული ინტერპრეტაციაა და მინდა, რომ ეს მკითხველს ახსოვდეს. ასევე, აქვე ვიტყოდი იმასაც, რომ თუ ამ ტექსტს ქალბატონი მარინე წაიკითხავს და ის რამე ფორმით ოდნავ მაინც შეუქმნის მას უხერხულობას, წინასწარ ბოდიშს ვუხდი, თუმცა ვიტყოდი იმასაც, რომ მინადორა და მინადორასნაირი ისტორიული ფიგურები მხოლოდ მათ შთამომავლებს არ ეკუთვნიან, ისინი ჩვენც გვეკუთვნიან, საზოგადოებას და ხელოვნების რომელიმე ფორმით მათი გაცოცხლება მეტწილად მაინც იმას ემსახურება, რომ მტკივნეული წარსულის უკეთ შეგრძნობა, გააზრება და შეფასება შევძლოთ.

- თუ არ ვცდები, „კაბა“ თქვენი პირველი პიესაა. რატომ დაინტერესდით ამ ჟანრით? როგორი გამოცდილება იყო, რა დამატებით სირთულეებს წააწყდით მუშაობისას?

- თავიდანვე ეს იდეა რატომღაც პიესის სახით მოვიდა. ზუსტად ვიცოდი, რომ ეს ვერ იქნებოდა მოთხრობა და ვერც რომანი. ალბათ, უფრო მეტ ღელვას წავაწყდი, ვიდრე სირთულეს, რადგან, როგორც თქვით, პირველი პიესაა და თეატრისგანაც საკმაოდ შორს მყოფი ადამიანი ვარ. სანამ წერას დავიწყებდი, წავიკითხე რამდენიმე პიესა, ძირითადად, მონოპიესები. რაც არ უნდა სასაცილო იყოს, ვუყურე იუთუბის რამდენიმე „ტუტორიალსაც“ იმის შესახებ, თუ როგორ დავწეროთ პიესა და ბოლოს, ფორმის მხრივ ორიენტირად მაინც ფლურაკისის „ედიეას ბურკა“ ავიღე, რომელიც ასევე მონოპიესაა. რჩევები მივიღე რამდენიმე მეგობრისგანაც, ვინც ჩემგან განსხვავებით, პიესების წერასა და კითხვაში ბევრად გამოცდილია.

გარდა ამისა, მგონია, რომ ახლა ქართულ თეატრში მნიშვნელოვანი პროცესები იწყება და მიუხედავად იმისა, რომ ის ჩემთვის უცხო სივრცეა, ალბათ, მეც მომინდა ცოტათი მაინც ვიყო მისი ნაწილი.

- პიესა „კაბა“ მთლიანად მონოლოგურია. ვფიქრობ, „შაშვი შაშვი მაყვალშიც“ გარკვეულწილად ასეა. ორივეგან იყენებთ თხრობის რადიკალურ პირველ პირს და პერსონაჟის ენა, ფიქრები, განცდები მკითხველს უფილტროდ მიეწოდება. ამ ტექსტებში „მე“ უბრალოდ გრამატიკული მოვლენა კი არ არის, არამედ თხრობის მთავარი კონცეფცია. რას ნიშნავს თქვენთვის პირველი პირით წერა? რა პასუხისმგებლობას და შესაძლებლობებს, სირთულეებს ქმნის თქვენთვის პირველი პირის მთხრობლის არჩევა?

- ეს „მე“ ალბათ უფრო პერსონაჟებს მოაქვთ და პერსონაჟებს სჭირდებათ. „შაშვი“ მესამე პირში რომ დაწერილიყო, მე მგონი, მთელ თავის ნიბლს დაკარგავდა, არა? მესამე პირში წერაც არაა ჩემთვის უცხო. ჩემი მეორე რომანი, „აღმოსავლეთით“, მესამე პირშია დაწერილი. ალბათ, ესეც უფრო იმიტომ, რომ ასე მისმა პერსონაჟმა და ამბავმა „მოითხოვა“. ვერ ვიტყოდი, რომ ან ერთ ან მეორე შემთხვევაში, რამე განსხვავებული ხდება. მესამე პირით წერის დროს ისეთივე სიახლოვე მაქვს პერსონაჟთან, როგორიც პირველი პირით მოყოლილი ამბით მექნებოდა.

- წერისას სხვა ავტორებს თუ კითხულობთ ხოლმე? და თუ კი, როგორ არჩევთ მათ? ზოგადად, რამდენად შეგიძლიათ ტექსტზე მუშაობის პერიოდში სხვა საქმეებსა და საზრუნავებზე კონცენტრირება? ყოველთვის რაღაცაზე მუშაობთ, თუ ხშირად გაქვთ შემოქმედებითი დუმილის ხანგრძლივი ეპიზოდები?

- რაც კითხვა ვისწავლე, თითქმის სულ ვკითხულობ. მხატვრულ ლიტერატურას ვგულისხმობ. ეს მაინცდამაინც არ ნიშნავს იმას, რომ ძალიან ბევრი წიგნი მაქვს წაკითხული ან იმას, რომ ყველა კლასიკოსს ან ყველა ავტორს ვიცნობ. კითხვა ჩემთვის უფრო სიცოცხლის შეგრძნების საშუალებაა, ისევე როგორც წერა. თუ წერ, მხოლოდ წერ და არ არსებობს სხვა აღარაფერი წერის გარდა. კარგი წიგნის კითხვის შემთხვევაშიც ასეა.

- თქვენს ნაწარმოებებში ხშირად ხდება ქალებთან დაკავშირებული ტაბუების დეკონსტრუქცია, თქვენთვის, როგორც ქალი მწერლისთვის, რა მნიშვნელობა აქვს ამ თემებზე ღიად საუბარს? რას ნიშნავს თქვენთვის წეროთ, როგორც ქალმა და ქალებისთვის? ვფიქრობ, კარგი ესე დაიწერებოდა იმაზე, რა გზა გაიარა ქართულ ლიტერატურაში ქალის პერსონაჟმა ოთარაანთ ქვრივიდან - ეთერომ-

დე. ამ ცვლილებისა და განსხვავების მასშტაბები მართლაც საოცარია...

- ძალიან მარტივი პასუხი მექნება: ქალური პერსპექტივიდან წერა თავისთავად ნიშნავს უთქმელ თემებზე ღიად საუბარს. მე როგორც ქალი ავტორი, ვწერ ამ კონკრეტული პერსპექტივიდან იმიტომ, რომ ქალი ვარ, იმიტომ, რომ ასე წერა მომწონს და იმიტომ, რომ ამაზე საუბარი ჩემთვის მნიშვნელოვანია.

- თქვენი ტექსტების დასასრულები ხშირად არის ბურუსით მოცული და მკითხველს ინტერპრეტაციის გამოყენებას „აიძულებს“. თქვენ თუ გიფიქრიათ და წარმოგიდგენიათ, რა ხდება საბოლოო წერტილის დასმის შემდეგ თქვენი პერსონაჟების ცხოვრებაში? საერთოდაც, არ ხართ წინააღმდეგი, რომ თქვენს პერსონაჟებს ჰქონდეთ სხვა ცხოვრება ტექსტს მიღმა?

- წინააღმდეგი ნამდვილად არ ვარ. პირიქით, ამისთვის ვწერ, რომ ჩემს პერსონაჟებს რაც შეიძლება ხანგრძლივი და ბევრნაირი სიცოცხლე ჰქონდეთ. ვისურვებდი, რომ „კაბა“ დაიდგას, მითუმეტეს, რომ ეს ტექსტი მიზანმიმართულად სცენისთვის დაიწერა.

- თქვენი პერსონაჟები დროის სვლასთან ერთად ნელ-ნელა იზრდებიან, სადებიუტო რომანში 13 წლის გოგონები გააცოცხლეთ, ბოლოს, პიესაში კი - 70 წლის ქალი. მასში თქვენ აალაპარაკეთ ქალი ახალ გამოცდილებაზე, როგორიც არის დედობა. რამ განაპირობა დედობის თემით ამ პერსპექტივიდან დაინტერესება? იმაზე თუ გიფიქრიათ, როგორ იცვლება თქვენი ტექსტები თქვენს ცხოვრებასთან ერთად? თქვენი დაკვირვებით, ამ ცვლილებებს განვითარების რამე შინაგანი ლოგიკა აქვს?

- არ ვიცი ლოგიკა რაა, მაგრამ კი, ნამდვილად იცვლება ტექსტები ცხოვრების სხვადასხვა ეტაპებთან ერთად. მეც ვიცვლები. რომანის დასრულების შემდეგაც კი, აღარ ვარ ის ადამიანი, რაც მისი წერის დასაწყისში ვიყავი. ეს პროცესი ძალიან მომწონს და მგონია, რომ წერა ამისთვისაც ღირს, რომ ეს ცვლილებები საკუთარ თავზე იგრძნო და გამოცადო. ტექსტები ნამდვილად იქმნება რაღაც კონკრეტულ ასაკსა და გარემოებებში. ახლა ვეღარაფრით დავწერდი „გათვლას“ და თუ დავწერდი, ის ალბათ სრულიად სხვა ტექსტი იქნებოდა.

რაც შეეხება დედობის თემით დაინტერესებას, ალბათ, ეს ჩემმა საკუთარმა გამოცდილებამაც გაამძაფრა, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ამ პიესაში ჩემი გამოცდილება გადამწყვეტი იყო. დედობის თემა უფრო თავად მინადორამ, მისმა ბიოგრაფიამ მოიტანა და მეც ვერ ავუვლიდი გვერდს, თუმცა ვეცადე, კლიშეებისგან რაც შეიძლება თავისუფალი ვყოფილიყავი. დედობა არაა მარტივი თემა და არც მასზე წერაა მარტივი.

- თქვენ ისაუბრეთ იმაზე, რაც ომის დროს ყველას ავიწყდება - ქალებზე, რომლებსაც წარმოუდგენლად მძიმე პასუხისმგებლობები აწვებათ. გვიამბეთ შუახნის მარტოხელა ქალზე, რომელიც მუდმივად ჩრდილში დგას და საკუთარი არჩევანის გამო განისჯება, გადასახლებაში მყოფ ქალზე, რომელთა გამოცდილებებზეც ძალიან ცოტა თუ გვსმენია. მიუხედავად იმისა, რომ ეს პერსონაჟები სპეციფიკურები არიან, მათთან იდენტიფიკაცია ნებისმიერ ქალს შეუძლია, რადგან მათი ბუნებრივი, ქალური გამოცდილებები, ფიქრები და რუტინები იმდენად ქალურია, აზრი ეკარგება იმას, თუ რა ასაკის არიან, სად ცხოვრობენ, რა გამოიარეს. როგორ მოახერხეთ ქალის ამდენად სპეციფიკური, თუმცა, ამავდროულად, უნივერსალური სახეების შექმნა?

- მადლობა კომპლიმენტისთვის. არ ვიცი, წერის დროს ნამდვილად არ ვფიქრობ საკუთარი გმირების უნივერსალურობაზე. ალბათ, მთავარია ძალიან კარგად ვიცნობდე საკუთარ შეთხზულ ადამიანებს და მეორეც, მე, როგორც მწერალს, არ მაქვს ფესვები რომელიმე ლიტერატურულ ტრადიციაში, ჩემი ფესვები უფრო ჩვეულებრივ ადამიანებსა და მათ ენაშია, ალბათ ამიტომაც არიან გმირები ბუნებრივი.

- თქვენი ტექსტები გამოირჩევა განსაკუთრებული პოეტურობითა და დინამიკურობით. ენა, რომელსაც იყენებთ, არა მხოლოდ მდიდარია და მრავალფეროვანი, არამედ თითოეული პერსონაჟის ხასიათსა და შინაგან სამყაროსაც შეესაბამება და ავლენს. როგორ ეძებთ, ქმნით ხოლმე ინდივიდუალურ ენას პერსონაჟისთვის? ეს პროცესი უფრო მეტად ინტუიციურია თუ კონკრეტულ, რაციონალურ სამუშაოს ეფუძნება?

- უფრო ინტუიციური პროცესია და ჩემს შემთხვევაში ვერ იქნება რამე რაციონალურ სამუშაოზე ან ცოდნაზე დაფუძნებული. მე არასოდეს მისწავლია, მაგალითად, ლინგვისტიკა, რაიმე კონკრეტული ცოდნის ან თეორიების ფილტრებით რომ ვუყურებდე ან ვქმნიდე საკუთარ ენას და მგონია, რომ ძალიან გამიმართლა, რომ ეს ცოდნა არ მაქვს. მგონია, რომ ეს ძალიან შემზღუდავდა და ჩარჩოებში მომაქცევდა და, რაც მთავარია, იმ თავისუფლებასაც წამართმევდა, რომელსაც ენაში ვგრძნობ და რაც ჩემთვის ფუნდამენტურად აუცილებელია.

- როგორ ფიქრობთ, როგორი დინამიკაა საქართველოში ქალ მწერლებთან დაკავშირებით, აღმოჩნდებიან თუ არა ისინი მალე სასკოლო სახელმძღვანელოებსა თუ სხვადასხვა მნიშვნელოვან პლატფორმებზე? შეიძლება თამამად ითქვას, რომ არსებობს „ქალური წერის“ ქართული პარადიგმა? ამ თვალსაზრისით რომელ ავტორებს გამოარჩევდით?

- ქალური წერის პარადიგმებზე, ალბათ, უფრო ლიტერატურათმცოდნეებმა ან კრიტიკოსებმა უნდა გაგცენ პასუხი, თუმცა ფაქტია, რომ დღეს ქართულ ლიტერატურაში მეტი ქალი ჩანს, ვიდრე, ვთქვათ, ოცი წლის წინათ. სასკოლო სახელმძღვანელოებში აუცილებლად უნდა იყვნენ ქალები. დანაშაულია ეკატერინე გაბაშვილის სასკოლო პროგრამიდან ამოღება და უსამართლოა მოსწავლეს მხოლოდ ანა კალანდაძის რამდენიმე ლექსით უქმნიდე წარმოდგენას ქალების ხმის შესახებ. უნდა ისწავლებოდეს, მაგალითად, ზაირა არსენიშვილი, უკეთესად რომ ვიცნობდეთ ჩვენს წარსულს და, ზოგადად, რეპრესიულ რეჟიმებს, რომლებსაც, როგორც აღმოჩნდა, დიდად ცვლილებები არ განუცდიათ თავიანთ სტრატეგიებსა და მეთოდებში საკუთარი მოქალაქეების ჩაგვრისა და დევნისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამთა მელაშვილი

კაბა

ბუნარ მურადოვის ფოტო

„კაბა“ ერთი მსახიობის პიესაა. მთავარი გმირის გარდა, ყველა სხვა პიესაში მონაწილეობს როგორც ხმა.

მოქმედი პირები:

ქალი - 70 წლის, ახლად დაბრუნებული გადასახლებიდან

მკერავი: 60 წლამდე, კაცი, ყველაზე ცნობილი და პოპულარული მკერავი იმდროინდელ თბილისში

შვილი: სუსანა, 30 წლის

„შევარდენის“ გოგოები: ტანვარჯიშის მოყვარულთა საზოგადოება „შევარდენის“ (1918-1922) წევრები. მონაწილეობდნენ 1919 წლის 26 მაისის აღლუმზე.

თბილისი, 1950 წელი.

სურათი 1: მკერავთან ლოდინი

ქალი მკერავს ელოდება სკამზე ჩამომჯდარი. მის გვერდით, სკამებზე ჩამომჯდარა 4-5 ქალი (პლასტმასის მანეკენები), რომლებიც ასევე მკერავს ელოდებიან.
ქალი სკამის წინა კიდეზე ზის სანახევროდ, თუმცა თავდაჯერებით, მხრებში გამართული. ტანით წინ წამოწეული, ოდნავ ირწევა. დაბალ ხმაზე იწყებს ღიღინს.

ქალი: რამ გამახსენა ეს სიმღერა? საიდან მომადგა ყელში, ენაზე, გულზე?
რამდენი ცხოვრებით შეგიძლია იცხოვრო ადამიანმა?
რამდენი სიცოცხლე უნდა გქონდეს ერთ სიცოცხლეში?
მე რამდენი მქონდა? ნეტა როგორ ვითვლი? როგორ დავითვლი?

ყველაზე შორეული, ყველაზე ძვირფასი სიცოცხლისაა ეს სიმღერა.
იქიდან აღარაფერი დარჩა.
მეგონა, რომ აღარაფერი დარჩა და თურმე ვცდებოდი.
ამ მაისის დილამ მოიტანა ეს მელოდია, მზემ, ამ ნიავმა.
რამდენი წელია ეს სიმღერა დავიწყებული მქონდა?
ოცდაათი. ოცდაათზე მეტი.
„შევარდენის“ გოგოები მღეროდნენ, აღლუმის მერე.
რუსთაველზე, ყვავილებივით გაბნეულები.
ღმერთო, რა ლამაზები იყვნენ, რა სიცოცხლით სავსეები. (ისევ მღერის)

მახსოვს, სასახლიდან გამოვედი, კრების შემდეგ.
(სკამზე რწევას წყვეტს)
მარტო გავუყევი ქუჩას.
სასიამოვნოდ დაღლილი, გაბრუებული.
ზეიმის კვალი ისევ ეტყობოდა იქაურობას.
არც ხალხი იყო დაშლილი.
ქუჩის კიდეში იდგნენ გოგოები და მღეროდნენ, იცინოდნენ.
ერთმანეთზე ხელგადახვეულები, ჩახუტებულები.
ჩავუარე და გამარჯვება, ქალბატონო! შემომძახეს.
გამარჯვება-მეთქი.

აღტაცებულები იყვნენ. ჩემს შვილებზე მახსოვს ასეთი აღტაცებული სახე.
უღრუბლო სახე. მზედაკრული.
ჩვენც ასე ვიყავით აღლუმის მერე.
დაქანცულები, დაღლილები, მაგრამ აღტაცებული.
დღეს და ღამეს ვასნორებდით, თითქმის არ გვეძინა.
ყველაფერს ვაკეთებდით, რაც შეგვეძლო. რაც არ შეგვეძლო.
იდეაზე ვიყავით შეყვარებული.
მომავლის გვჯეროდა. თავისუფლების.
და თურმე, რა იყო მომავალი...

სულ სხვა იყო, აღლუმზე რომ ამ გოგოებმა ჩამოიარეს.
თეთრი, ქათქათა მაისურები ეცვათ, შინდისფერი ბოლოკაბები.
ცისარტყელა იყო იმ დღეს ცაზე, აღლუმის შემდეგ გამოვიდა.
რა აღმაფრენა იყო ის ცისარტყელაც.
შეძახილები, მილოცვები, დროშის ფრიალი.
ჰაერში გაზაფხულის და მინის სუნი იდგა ერთდროულად. სიცოცხლის სუნი.
მაისის წვიმა რომ იცის თბილისში. თავსხმა, მოულოდნელი.
მერე მზე გამოანათებს, დააცხუნებს.
მზემ მოიყვანა ის ცისარტყელა.
აღარ ვიყავი მაშინაც პატარა გოგო, ქალი ვიყავი,
მაგრამ სულ მაკანკალებდა, სიხარულისგან!

აღლუმის მერე, კრებიდან რომ წამოვედი,
ქუჩის კიდეში ეს მოკისკისე, მომღერალი გოგოები დამხვდნენ.
ნიავი უფრიალებდათ თმას შავი ბერეტების ქვეშ.

ნეტა სად არიან ახლა, როგორ არიან. რამდენია ან ცოცხალი,
და თუ ცოცხალია, რამდენია იქიდან ბედნიერი.

ჩავუარე ამ გოგოებს, შემომძახეს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამარჯვება, ქალბატონო,
მეც შევძახე: გამარჯვება!
შემომცინეს. ულრუბლო, კრიალა სიცილით.

ორი ნაბიჯი გადავდგი და მუცლის ქვეშ პეპელა შემიფრთხიალდა.

პეპლის ფრთა ხელზე შეგხებია?
შეუძლებელია ეგ სინაზე როდესმე კანს დაავიწყდეს. ან ხელს დაავიწყდეს.

მაშინ მივხვდი, რომ ორსულად ვიყავი.
ალბათ უკვე ოთხი თვის.
ისე ვიყავი ჩართული საქმეში, არ გამიგია.
არაფერი მახსოვდა. არც საკუთარი სხეული.

იმ წამსვე მივხვდი, ეს გოგო იყო. ბიჭები ასე არასოდეს მიგრძნია.

ცაზე ცისარტყელაა, გოგოები იცინიან, მღერიან, დროშები ფრიალებს.
ნიავს გაზაფხულის და ნვიმის სუნი ერთდროულად მოაქვს.
ჩემს სხეულში კი პაწაწინა პეპელა იწყებს ფარფატს.
ეს წამები იყო ყველაზე მშვენიერი ჩემს ცხოვრებაში...

ჩემი გოგო, ჩემი საწყალი გოგო.
თავისუფალ საქართველოში,
ბედნიერი ქალის მუცელში აფრთხიალებული პეპელა შეშინებულ ქალად იქცა.
ჩუმ ქალად. დადუმებულ ქალად. დაჩაგრულად.
ორსართულიან სახლში გაზრდილი ნებიერა გოგო ერთ ოთახში შეკუჭული დამხვდა.
თავისნაირ დიდთვალება შვილთან.
ორივე, დედა-შვილი შიშისგანაა თვალებად ქცეული.
პეპლად დაინყო ფრთხიალი სულ სხვა ქვეყანაში, სხვა დროში.
ახლა სხვა დროა. სულ სხვაგან ცხოვრობს, სხვა სამყაროში. სხვა ქალია.
გაცრეცილი, დიდთვალება.

რომ წამიყვანეს, ჯერ კიდევ გოგო იყო, სკოლას ამთავრებდა.
ახლა ჭაღარა გაერია, უცხო ქალია. უცხო.
ვუყურებ და დაჯერება მიჭირს, რომ ეს ქალი ჩემი შვილია.
ვუყურებ და თვალწინ მაინც ისეთი მიდგას, როგორიც დავტოვე.
ალბათ, შენც გიჭირს დაჯერება, რომ მე ვარ ეს ქალი.
დავპატარავდი. დავიკრუნჩხე. ამ თოთხმეტწლიანმა ჯოჯოხეთმა ყველა დაგვახრჩო.

მომიწევს შეგუება შენს ჭაღარასთან.
მომიწევს გავუსწორო თვალი შენს ჩამქრალ თვალებს.
ვუცქირო შენს გლოვას, შენს მარტოობას - მარტო დედობას.
ვაღიარო, რომ შენს კალთაზე დაკიდებული ეს პატარა, დამფრთხალი გოგო შენი შვილია.
ჩემი შვილიშვილი.
იცი? რაღაცით ჩემს დას მახსენებს.

უნდა მახსოვდეს, რომ ეს თოთხმეტი წელინადი შენ შენი ცხოვრება გქონდა.
უნდა მახსოვდეს, რომ შენ შენი ომი გამოიარე.
ჩვიდმეტი ნლის გოგო სულ მარტო დარჩი.
ვინ იცის, რამდენმა ადამიანმა გაქცია ზურგი, სანამ შენ გვერდით არავინ იყო?
არც დედა, არც მამა, არც ძმები.
ვინ იცის, რამდენი კარი მოგიკეტეს, სხვებისთვის ღია?
ვინ იცის, რა სიმწრით იცხოვრე ამ ერთ ოთახში, როცა იმხელა სახლი ჩვენ გვეკუთვნოდა?

მეც მომიწევს შევეგუო ამ ოთახში შეკუჭვას.
მეც მომიწევს შეგუება, რომ ჩვენ სახლში ახლა სხვები ცხოვრობენ.
ძალიან დიდხანს ვერ გავივლი ჩვენს სახლთან. ჩვენს ნასახლართან.
არ შემიძლია ვუყურო როგორ ცხოვრობს იქ სხვა.
ჩემი ბიჭების ნაფეხურებზე სხვა როგორ დადის.

ჩემი ნატანჯი გოგო. ჩემი პეპელა.
ხანდახან რომ შემომხედავს, მამამისი მიყურებს.
გული მეკუმშება ამ დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე კი უფრო მისი ძმების თვალებს ვეძებ.
ისინი მე მგავდნენ.

მე და შენ ვიცით, შვილო, რომ სიცოცხლე ხანდახან უფრო მძიმე ასატანია.
ვიდრე წამება, ვიდრე სიკვდილი.
შენ შენი ტანჯვის ულელი ზიდე პატარა გოგომ.
ყველა ჩხრეკის მოწმე შენ იყავი.
მამაშენის, ჩემი, შენი ძმების.
ყველასთვის შენ იდექი ციხეების თვალუწვდენელ რიგში.
თან მე და მამაშენი ყველაზე ადრე დაგვაპატიმრეს.
ჩვენ ვიყავით რჩეულთა შორის. პირველთა შორის.

სკოლა დაამთავრე და ყველაზე ბედნიერი უნდა ყოფილიყავი.
და რა?
ხელიდან გამოგეცალა დედა და მამა. მერე ერთი ძმა, მერე მეორე.
ჩემი სუსანა!

ბაქანზე დამხვდა. მარტო.
ერთი სული გაქვს, როდის ნახავ, ელოდები ამ დღეს, ელოდები. ელოდები.
ერთი სული გაქვს, ბარგს როდის შეკრავ, ოღონდ ამჯერად სახლში წასასვლელად.
ბანაკიდან ბანაკში საწოწიალოდ - აღარ.
ყაზახეთის ერთი ბოლოდან მეორეში დასაკარგავად - არა.
სახლში წასასვლელად.

ჰოდა, დგახარ ბაქანზე, მის პირისპირ და ხვდები, რომ ყველაზე რთული ახლა იწყება.
რომ დღეიდან ყველაზე მეტად უნდა გაუსწორო თვალი შენი ბიჭების არყოფნას.
წართმეულ სახლს. ცოცხალ, მაგრამ უცხო შვილს. უცხო ქალს.

რაღაცნაირად, უფრო დედის ალღოთი მივხვდი, რომ სუსანა იყო.
ვიდრე ვიცანი.

შვილი: დედა?

ქალი: გულში ჩავიკარი და წამებში ვიგრძენი მეც რა უცხო ვიყავი მისთვის.
ჩემს სხეულში ოდესღაც მჯდარი ფარფატა პეპელა.
თითქოს თავს ძალა დაატანა, დედა დაეძახა ჩემთვის...

იმ წამებიდან მოყოლებული სიფრთხილით, ძაღლებივით ვყნოსავთ ერთმანეთს.
სიტყვებს ვეძებთ სასაუბროდ.
ერთმანეთს თვალს ვარიდებთ.

სამი დღე გავიდა და ისევ ასე ვართ.
ასე ვიქნებით, აღარაფერი შეიცვლება.
ჩემო საწყალო გოგო! აღარაფერი შემრჩა შენთვის.
არც შენი საწყალი პატარა შვილისთვის.
მგონი აღარც სიყვარული.

ჩამოვედი და ორი დღე-ღამე ვიწექი, თითქმის არ ავმდგარვარ.
მეძინა გადაბმულად. თავს შემოყოფდა ხოლმე, ხან ერთი, ხან მეორე.

შვილი: დედა, არ გშია?

ქალი: არ მქონდა ჭამის თავი, ძილი მინდოდა.
მესამე დილით წამოვდექი და მკერავთან მივდივარ-მეთქი,
კაბა უნდა შევიკერო.
ახალი.

ეს რომ ვთქვი, უფრო გაუდიდდა თვალები, მაგრამ არაფერი უთქვამს.

რა წავიკითხე შენს თვალებში, შვილო? განგაში? გაოცება? ბრაზი?
არ ვიცი. არაფერი.
ისევ თვალი ავარიდე.

მოვედი და კარში შევეჩეხე ჩემს მკერავს. მიცნო.
მიცნო ამდენი წლის მერეც.

მკერავი: თვალებით გიცანით, მინადორა.

ქალი: ათი ქალი მაინც ელოდებოდა რიგში.
ვინ იცის, ვისი ცოლი, ვისი შვილი, ვისი საყვარელი. ყველა დაივიწყა.
მე შემიყვანა.

გახსოვს, უხსოვარ დროს, ახლა იმ დროის გახსენება რთულიც არის და საშიშიც.
ის დრო თითქოს არ არსებობს, ამოიშალა. თითქოს არ ვიცხოვრეთ.
გახსოვს, აღლუმი იყო. აღლუმისთვის კაბა რომ შემიკერე?

ახსოვდა. კაბაც ახსოვდა როგორი იყო.
მასთან რომ ჩავიცვი ის კაბა, ახალშეკერილი, აღლუმზე წავედი პირდაპირ იქიდან.

მაშინ პატარა ბიჭი იყო, დამწყები. ნიჭიერი. ცოტა იცნობდა.
უხაროდა. დიდი ქალი მივედი მასთან კაბის შესაკერად.
ახლა მე არავინ ვარ, ის კი დიდი კაცია. ცნობილია.
პირველია პირველთა შორის თავის საქმეში.

მკერავი: მობრძანდით, მინადორა.

ქალი ფეხზე დგება.

მეძახის! დღესაც ურიგოდ მოსულს, ისევ ურიგოდ მიშვებს.
ესენი როგორი გაოცებით შემომცქერიან ახლაც.
ეს უტყვი თოჯინები.
ეს პრიალა, ფუყე სხეულები, უაზრო თვალებით.
ეს ოქრო და ეს ბრილიანტი თითზე და ყურზე,
ეს გაფუებული კანი, ქუდი და მოსასახამი,
ძვირფასი კაბები.

თან გაბრაზდნენ, მაგრამ ბრაზი მაშინვე დაიოკეს.
მიხვდნენ, უბრალო ქალი არა ვარ!
რა ამრეზით შემომხედეს თავიდან!

ვინ ვიყავი ამათ თვალში? ერთი ხნიერი, უყმური ქალი.
სალმის გარეშე, უცერემონიოდ რომ ჩამოუჯდა აქ.
შტერული გაოცებაც არ აცალა.
შეიშმუშნნენ.
ჯერ ამრეზით მიყურებდნენ, ახლა გაოცებით.
რომ გამოვალ, მოწიწება ექნებათ დაფენილი ბრიყვულ სახეებზე.
ზეპირად ვიცნობ ამათ, ამათ ინსტინქტებს.

თქვენი მკვლელი ქმრები სად არიან ახლა? კაბინეტებში?
ღამე როგორ სძინავთ? დილით როგორ იღვიძებენ?
რა უხარიათ? რამე უხარიათ?

მიყურეთ ახლა! უყურეთ ჩემს დაბერებულ, გამომშრალ სხეულს!
პელაგრაგამოვლილ კანს, ბრუცელოზიან სახსრებს!

სხედან აქ გატრუნულნი. თბილად. ნიავმიუკარებელნი.
სულ მზე ანათებდა ამათ თავზე! ყველაზე ბნელ დღეებშიც კი და მე?
მე? ჩემი შვილები?

რა გამოვიარე! რა გამოვიარეთ ჩვენ, თქვენგან მოკლულებმა?
თქვენგან მკვდრებმა და თქვენგან ცოცხალ-მკვდრებმა?
რისთვის გამოვიარეთ?

შეხედე ხელი როგორ მიკანკალებს! თუ ასე დავიჭერ, არ მიჩერდება.
სამი წელია ვმალავ ხელის ამ კანკალს!
ამ ხელის გამო ნემსის გაკეთება ვისწავლე მარცხენა ხელით!

სამოცდაშვიდი წლის ქალმა!
რომ არ შეემჩნიათ, რომ ნემსს ვეღარ ვაკეთებ!
სანაგვეზე არ მოვესროლე!
ფარეხში რომ არ მოვესროლე!
გაყინულ გვამებთან!!!

თქვენი ქმრების სულებს ამძიმებს ის გვამები!
თქვენი ქმრებს კი არა, თქვენს შვილებს, შვილიშვილებს, შვილთაშვილებს
კისერზე ეკიდებათ ის გვამები, მარადიულად!

სურათი 2: მკერავთან

მკერავი: მობრძანდით, მინადორა.

ქალი: მოვდივარ *(მშვიდდება)*.
შენ თითქმის არ შეცვლილხარ, ჩემო ბიჭო.
რა ნათლად მახსოვს როგორი იყავი ოცდაათი წლის წინათ.
მაშინ ბიჭი იყავი, ახლაც ბიჭივით ხარ.
ზოგი კაცი ბოლომდე ბიჭივითაა, არ სუქდება. არც თმა ცვივა.
ბერდება მხოლოდ, ისიც ოდნავ შესამჩნევად.

მაშინაც შენთან შევიკერე კაბა. სად მეცალა. მოვვარდი. ჩავიცვი და წავედი.
აღლუმზე წავედი პირდაპირ.
ვერაფრით ვიხსენებ, როგორი იყო ის კაბა. რა მნიშვნელობა აქვს?

მაშინ სულ ბიჭი იყავი.
ახლა დაღლილი კაცი ხარ, მოხრილი.
ხელები გაქვს ისევ ისეთი ლამაზი, სიფრიფანა.
ამ პატივისცემას არასოდეს დაგივიწყებ. ამ თავდადებას.
თავდადებაა ჩემი ურიგოდ აქ შემოყვანა.
ჩემი - ნაციხარის, პატიმრის, გადასახლებულის, მოღალატის, ხალხის მტრის.
საშიშია ამათ თავზე გადახტომა.
სულ რჩეულების ცოლები ჩანან. აშკარად.
ამიტომ, ათმაგი მადლობა, ჩემო ბიჭო!
ამ სიმამაცისთვის, თავდადებისთვის.
იცოდე, რომ მადლიერი ვარ!

მაგრამ გახსოვდეს
(ჩურჩულით) ახლაც ყველაფერი საშიშია. ძალიან საშიში. მონსტრი ცოცხალია.

(ქალი ნელ-ნელა იწყებს კაბის მოზომებას, მერე ჩაცმას).

გუშინ რომ გავიღვიძე, ფანჯარასთან მივედი და გამოვაღე.
შუადღე იყო.
ნახევრად გათიშული ვიდექი. თვალს ვაყოლებდი ხალხს, მათ მდინარებას.
თითქოს ნაცნობი იყო იქაურობა. თითქოს უცნობი.
თავბრუ მეხვეოდა.

ამ დროს ვის ვხედავ! ჩემი განაჩენის გამომტანს, ჩემს გამსამართლებელს.
მოდიოდა და შარვალი მოსთრევდა.
ნახევარიც აღარ იყო დარჩენილი იმხელა კაცისგან.
გასაწყლებული იყო, დაბერებული.
მაინც ვიფიქრე, ხომ არ მეჩვენება-მეთქი.
სუსანას დავუძახე.
ეს ისაა?

შვილი: არ შეგვამჩნიოს, დედა!

ქალი: ჩემი შვილი ფანჯარას ამოეფარა.
ერთი წამით მეც შევცები. მერე გავბრაზდი.
შემამჩნიოს! გაიგოს, რომ დავბრუნდი!
მინდოდა მეყვირა, მაგრამ აღარაფერი მითქვამს. პირი გამიშრა.
თუმცა ფანჯარასაც არ მოვმორებივარ.

ცალ ფეხს მიათრევდა. ტანსაცმელი ზემოდან ეკიდა.
გატიალებული კაცების მეტი ბანაკში რა მინახავს.
მაგრამ ეს მაინც სხვანაირად იყო გატიალებული და მესიამოვნა.
ერთი წამით მესიამოვნა.
და მერე სევდა მოვიდა. რაღაცნაირი, უკუნი სევდა. ბნელი სევდა, უძირო, უფსკერო.

რა აზრი ჰქონდა ამ ყველაფრის გადატანას? რა აზრი ჰქონდა ამის ჩადენას?
ჩვენს დევნას, ჩვენს ამოხოცვას.
რა აზრი ჰქონდა, თუ თქვენც ასე დაბერდებოდით?
გასაცოდავდებოდით, თქვენც მოკვდებოდით?
რა აზრი ჰქონდა ძალაუფლებას? ძალაუფლებით ბოროტად თამაშს?

სიკვდილზე დავფიქრდი პირველად ამდენი ხნის მერე.
სიკვდილზე იქ არ ვფიქრობდი.
ციხეშიც, ბანაკშიც მხოლოდ სიცოცხლე მინდოდა. სიცოცხლე იყო ჩემი საფიქრალი.
ჩემი გადარჩენა.

შვილმკვდარ დედას სიცოცხლე რატო უნდა უნდოდეს?
შვილებმკვდარ დედას?
ორი მკვდარი შვილის დედას?
იმ ერთი, ცალად დარჩენილი ცოცხალი შვილისთვის?

ბიჭები მაინც სულ სხვანაირად იყვნენ ჩემზე მოწებებული.
სუსანა სულ განაპირებული გაიზარდა.
თავიდანვე. ძიძამ გაზარდა.
სხეულში მყავდა და გარეთ ვიყავი. დაიბადა და სულ გარეთ ვიყავი.
ერთი წლის გახდა და რუსები შემოვიდნენ.
მერეც სულ გარეთ ვიყავი. გარეთ და იატაკის ქვეშ.
მერე ბურუსი დაიწყო. სახლში ვიყავი, მაგრამ უცხო.
ყველაზე უცხო მაინც ამისთვის და მამამისისთვის.

რა გასაკვირია, რომ მამამისს მიეწება. გოგოები მამებს ეწებებიან.
ის ორი სულ ჩემზე იყო მოწებებული, ლევანი მაინც.
გიორგი მე თვითონ ბავშვმა გავაჩინე. ისე, რომ ვერც გავიგე ვერაფერი.
იდეებით შეპყრობილი ვიყავი.
რევოლუცია, არალეგალობა, გაფიცვები და დემონსტრაციები.
რა შორეული ჩანს ის დრო. წარმოუდგენელი.

ათი წლის მერე ლევანზე ვიგრძენი დედობა ყველაზე მეტად.
დედა ყველაზე მეტად მისთვის ვიყავი. (სიჩუმე, უხერხულად ხანგრძლივი)

არცერთი დედა არ იტყვის ამას, მაგრამ ის ერთი შვილი მაინც განსაკუთრებულია.
ის ერთი მაინც განსაკუთრებულად მოგეკვრება გონებაზე,
სხეულზე, გულზე, კაბის კალთაზე.

არცერთი დედა არ იტყვის ამას, რომ შვილიც ადამიანია.
დედაც ადამიანია.
და როგორც ადამიანს, ის ერთი შვილი მაინც უფრო მეტად გიყვარდება.

როცა ერთი გყავს, ერთი გყავს. ერთზე მეტი გყავს - რჩეული გყავს.

ეს მაინც როგორი მოწებებული იყო ჩემზე.
თითქოს სულ უნდოდა მომწონებოდა, გამომერჩია. სიგიჟემდე მყვარებოდა.
მიყვარდა კიდეც. ჩემი პატარა ბიჭი.

დუდი, დუდი, დუდი - ეს იყო მისი პირველი სიტყვა. ზუსტად ვიცი, უკანასკნელიც.
ასე მეძახდა ბოლომდე.
დუდი.

ყაზახეთში, იმ მიკარგულში, თავზე რომ დამადგა, ეს რა იყო!

იქ დამადგა თავზე, კლინიკაში, წითელი ვარდებით, თვითონ სახეაწითლებული!

ვარდებით დამადგა შუა ზამთარში! ყაზახეთში!
ბედნიერი, თვალებანთებული.
გული გამიჩერდა!
გამეყინა.

ჩემ თვალწინ დააპატიმრეს. ბორკილს ადებდნენ და თვალებში ვუყურე.
მიყურებდა და მიღიმოდა.
უსიტყვოდ შევთანხმდით, იმ ძაღლების წინ ცრემლს არ დავღვრიდი.
არ ვიყავი მე ის ქალი, მათ წინ მეტირა.
ვაუკაცებად გავზარდე ჩემი შვილებიც!
მიყვარხარ, დუდი! კარებიდან მომაძახა.

ვარდების წართმევა ვერ გამიბედეს.
მერე ფურცლები სცვიოდა და ყველას სათითაოდ ვინახავდი.
ყველას დავტიროდი. თითო ფურცელს.

წაიყვანეს იქიდან. გააქრეს.
ერთი თვის შემდეგ შუაღამეს გამეღვიძა.
უცებ, უცნაურად, შეხტომით, გულის ხეთქვით.
წლები მეღვიძებოდა მერე ერთსა და იმავე დროს. გულგაგლეჯილს. გულგახეთქილს.
ვერავინ დამარწმუნებს, რომ ეს ის წუთი არ იყო,
როცა შენი სიცოცხლე დაასრულეს, შვილო!

რომელ მიწაში ჩაგდეს, როგორ ჩაგაგდეს? მარტო თუ სხვებთან ერთად?
რას ფიქრობდი? ჩემზე ფიქრობდი? ფიქრობდი ჩემზე?

მერე სულ ვნატრობდი, კლინიკაში რომელიმე პატიმარში დამენახა ჩემი შვილი.
ჩემი შვილები.

ყველა პატიმარში ჩემს შვილებს ვეძებდი, მათ თვალებს ვეძებდი!
მათ ხმას ვეძებდი! მათ სუნს ვეძებდი!
არა და არა! არავინ ჰგავდა ამათ! ესენი კიდე ისე ჰგავდნენ ერთმანეთს!

ყელში წამიჭერდა ამათი მონატრება, მეგონა მახრჩობდა.

მკერავი: იღლიასთანაა მხოლოდ შესასწორებელი, მინადორა. აქვე შევასწორებ.
ანიეთ ხელები.
(ქალი ორივე ხელს განივად შლის, ჯვარცმის მსგავსად)

ქალი: ნუთუ ეს არის სიცოცხლე? ეს არის დედობა?

აღარ ვიცოდი სად წამეღო ეს წებოვანი სიყვარული. ეს სურვილი.
მეზრუნა ვინმეზე, გულზე მიმეკრა, კალთაზე გამომება.
ასე რომ მახრჩობდა, ასეთი ძლიერი იყო, ვიდრე მქონია.
ვიდრე ოდესმე მქონია.
ვიდრე ნამდვილად მქონია დედას, ცოცხალი შვილების.

ეს ყოვლის მომცველი, მახრჩობელა, აუტანელი სურვილი ისევ დედა
ვყოფილიყავი.
სხვანაირი დედა. თავდადებული, თავგადადებული, გაგიჟებული.
არასდროს რომ არ ვყოფილვარ, ისეთი.

მკერავი: მზად არის. გაიხდით?

ქალი: არა. მეცვას.
(ხელებს დაბლა წევს.)

მეცვას. ნეტა რა უფრო ძნელი იყო: გადასახლება, გადასახლებაში ყოფნა
თუ უკან დაბრუნება?

უკან დაბრუნებაა ყველაზე ძნელი.
ძლივს, ძლივს სახლში ბრუნდები. ამდენი წლის მერე.
სამოცდაათი წლის ბრუნდები. სამოცდათერთმეტის.

სამოცდათერთმეტის უკან ვინ დაბრუნდა?

ბრუნდები და მერე? ყველა და ყველაფერი უცხოა.
უცხოა შენი შვილი. უცხოა შენი შვილიშვილი.
არაფერი აქვთ ჩემთვის სათქმელი.

არადა, შეხვედრის წამებს ელოდები, ელოდები, ელოდები. იქ ეგ გაცოცხლებს.
ასჯერ, ათასჯერ, მილიონჯერ წარმოიდგენ როგორ ჩაიკრავ იმ ერთ შვილს გულში,
ცოცხლად დარჩენილს.
დანარჩენი ორი მკვდრის სუნი რომ იგრძნო,
მათი გულის ფეთქვაც იგრძნო შენს გულთან.
გგონია, რომ შვილიც გელოდება, გელოდება, გელოდება.

და მერე? შენი შვილი არაფერს გახვედრებს, დიდთვალება შიშის გარდა.
ეშინია ძლივს ანყობილი, სიმწრით ნაკოწიწები ცხოვრება წყალში არ ჩაუვარდეს.
მეც მეშინია!
დღე-დღეზე დიპლომი აქვს დასაცავი და უცებ!
დედა ჩამოვიდა. დედა აღდგა მკვდრეთით!
ნაციხარი, გასახლებული დედა.

ახლა მკვდარიც და ცოცხალიც გზაზე ეღობება ხალხის მტრის შვილად,
მტრის დად გაზრდილს.
ახლა ცოცხალი დედა ეღობება გზაზე ყველაზე მეტად!

ასეთი სასოწარკვეთისთვის იქაც კი არ ვყოფილვარ მზად! ასეთი სიმწარისთვის!

მკერავი: მგონი, მშვენიერია. რას იტყვით, მინადორა? ნახეთ სარკეში.
(ქალი სარკეში ათვალიერებს საკუთარ თავს, სახეზე ბევრნაირი ემოცია ესახება ერთდროულად)
ქალი: ლამაზია. ახალია. ეს საყელოა ლამაზი განსაკუთრებით.
მგონი იმ კაბასაც, მაშინ, ასეთი საყელო ჰქონდა.
მკერავი: გამოიცვლით?
ქალი: არა, არ გავიხდი. მინდა, რომ ახლა მეცვას. მინდა ამ კაბით გავიდე გარეთ.
მკერავი: ნამდვილად ასე გირჩევნიათ?
ქალი: ასე მირჩევნია.
მკერავი: მაშინ ნახვამდის, მინადორა. შემდეგი კაბისთვის ისევ შევხვდებით!
ქსოვილს მე აგირჩევთ.
ქალი: ტანჯვა უძიროა. ფსკერი არ არსებობს. ადამიანი ყველაფერს ეგუება.
ნახვამდის, ჩემო ბიჭო!

სურათი 3: გარეთ გასვლა

(ქალი გარეთ გადის, მზეს უშვერს სახეს, მისი სახე ნათდება)
მაისის მზეა ესეც. ისეთივე მზეა, როგორც მაშინ. ისეთივე ნიავი.
თითქოს არაფერი შეცვლილა ამ მზის ქვეშ.

არა! ჭადრები გაზრდილა. სხვა ფილაქანია.
ახალი სახლებია, უცხო ადამიანები.
მზეა იგივე. და სუნიც იგივე.
სადღაც იასამნის, სადღაც აკაციის.

მთელმა ცხოვრებამ გაიარა აქ ჩემ გარეშე.
სად იყო ეს მზე თოთხმეტი წელიწადი? ეს ნიავი?
როცა ჩემი ცხოვრება გზა იყო მხოლოდ. თოვლიანი გზა.
როცა ციხე იყო და ბარაკი, საავადმყოფო და ამბულატორია, სხვა არაფერი.

ციხეს ბანაკი ჯობდა. ციხეში პატიმარი ვიყავი, ბანაკში - ექიმი პატიმარი.
ჩემმა ექიმობამ გადამარჩინა. პირველმა პროფესიამ.
უხსოვარ დროში, სხვა ცხოვრებაში, ლამის სხვა საუკუნეში,
სულ სხვა ქვეყანაში ნასწავლმა პროფესიამ.

ყველაზე ლამაზი, რაც ყაზახეთში ხდებოდა, იასამანი იყო.
იასამანი აყვავდებოდა ამბულატორიის ფანჯარასთან.
მერე თბილისის გაზაფხულს სუნი დაჰკრავდა იქაურობას.

ლამაზი იყო, მაგრამ გულს მიკლავდა.
მინა მინდოდა გამეთხარა მის ფესვებში.
ის მინა დამეყარა გულზე, სახეზე, მკლავებზე, ტანზე.

ღამე დაძინება იყო ყველაზე რთული და დილით გაღვიძება.
ვშრომობდი, ვშრომობდი, რომ დამეძინა.
შრომა მთიშავდა ყველაფრისაგან. შრომა მთიშავდა ტკივილისაგან.

ექიმი ვიყავი და გამიმართლა. ექიმები სჭირდებოდათ, თუნდაც ბებერი ქალი.
პატიმარი ექიმი პატიმრებისთვის.

ექიმი ვიყავი და კუბოსავით საწოლი მქონდა, მაგრამ ჩემი ერქვა.
ღამით სხვისი კვნესა და ოხვრა არ მაღვიძებდა, არ მანუხებდა.
მარტო ყოფნა შემეძლო! საწოლი კი არა, ტუმბოც კი მქონდა!
ჩემი ოთახი მქონდა. ჩემი სენაკი.
ჩემი საკუთარი ღუმელი მქონდა, რამხელა ბედნიერება.
პური მქონდა, კარაქიც ხანდახან.

რაღა არ გამიკეთებია იქაურ ამბულატორიებში! რაც ვიცოდი და რაც არ ვიცოდი.
კბილიც კი ამოვიღე რამდენჯერმე. ორჯერ თუ სამჯერ ვამშობიარე.

ჩემი და, ფილტვების ანთებით რომ მოკვდა,
მაშინ ვთქვი, ექიმი გავხდები-მეთქი, ყველა ბავშვს გადავარჩენ.
ის შვიდის იყო, მე ცხრის.

ღამით, საწოლში ჩავუწექი. გავარვარებულს ხელები შემოვხვიე.
მწვავდა მისი ალმური, მაგრამ მაინც ვეხვეოდი.
ასე ჩაგვეძინა.
დილით მკვდარი იყო. ცივი.
ჩემი ხელები დიდხანს ვერ ივიწყებდა იმ სიცივეს.
ჩემი პირველი მკვდარი გახდა ჩემი და მაშინ.
მამაჩემმა მამამისის გვერდით გაუთხარა პაწია საფლავი. იქ დავმარხეთ.

მერე იუნკრები ვმარხე. 18 წლის ბიჭები. ბავშვები.
მერე აჯანყების ბიჭები ვმარხე. ისინიც ბავშვები.

ბანაკში ექიმად ცხოვრება კიდევ რა იყო?
ვაჭრობა იყო ავადმყოფით და მკვდრით.
იქ ექიმიც ვიყავი და პოლიტიკოსიც.
ერთდროულად ორივე ვიყავი იქაც. როგორც ყოველთვის.

თვითონ პატიმარმა, არც ბევრი პატიმარი უნდა მიიღო, არც ბევრი მოგიკვდეს.
უნდა ზუსტად იცოდე როდის და როგორ წამოაყენო ფეხზე ნაშიმშილარი.
როდის მიიღო. როდის დააწვინო. როდის გაწერო.
რამდენი მოგიკვდეს. რამდენი არ მოგიკვდეს.
ცალკე ქურდთან უნდა დაალაგო, ცალკე კრიმინალთან, ცალკე უფროსთან.

სიკვდილის მეტი იქ რა იყო. ლამის ერთი კვირით ადრე ვხვდებოდი ვინ მოკვდებოდა.
არ უნდა დამეხარჯა წამალი მომაკვდავზე.

აღარაფერი იყო ჩემთვის სიკვდილი.
მხოლოდ რიცხვები. რიცხვები აღრიცხვის ფურცელში.

ის, რაც ვნახე, ჩირქი იყო და ბალღამი. სიკვდილი და შიმშილი.
შიმშილი შიმშილი შიმშილი ყველგან, ყველასთან.

როგორი კაცი აღარ ვნახე.
გასაცოდავებული, ღირსებააყრილი. და მერე ვფიქრობდი:
მადლობა ღმერთს, შვილებო, რომ მოკვდით, რომ მოგკლეს!
ცხელ გულებზე ცივი მინა დაგაყარეს!

ჩემი შვილებისთვის ამის გავლას, სიკვდილი სჯობდა!
რომ ვხედავდი, რას ემსგავსებოდნენ კაცები, სადამდე ეცემოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცები მაინც სხვანაირად კარგავდნენ სახეს.
რომ ვხედავდი, როგორ კვდებოდნენ! ამას ცხელ გულზე ცივი მიწა სჯობდა, გიჯობდათ!

ჩემი ქმარი არ მახსოვდა. დავივიწყე.
თუ მახსენდებოდა, მხოლოდ უხსოვარი დროის ბიჭი.
ჩვენი სტუდენტობა მახსენდებოდა.
სტუდენტობისას შეყვარებას რა უნდა?
ანთებულები ვიყავით, აბრიალებული. გვეგონა მთებს გადავდგამდით,
ყველაფერს შევცვლიდით.
გვეგონა შეცვლა შეგვეძლო.
ეკითხულობდით, ვკამათობდით, ღამეებს ვათენებდით.
საათობით შეგვეძლო ლაპარაკი იდეებზე, რევოლუციაზე, პოლიტიკაზე.
ცხარედ, აღტყინებით, მხოლოდ ახალგაზრდას რომ შეუძლია, ისე.
გამთენიისას ტბასთან ვსეირნობდით. იქ გამომიტყდა სიყვარულში.

მეც მომწონდა. არ ვიყავი გულგრილი.
მომწონდა მისი ბრიალა თვალები, შემართება, იუმორი.

მერე და მერე, ის ანთებულთვალებიანი ბიჭი სადღაც გაქრა, უცხო კაცმა გადაყლაპა.
წინ და წინ მიიწევდა და უფრო და უფრო უცხო ხდებოდა.
ჯერ რევკომში იყო, მერე ცეკავშირში.
მწერალთა კავშირშიც იყო, რექტორიც იყო, განათლების კომისარიც.

ბოლოს სულ გაუცხოვდა. მტაცებლადაც იქცა თვითონაც.
ხანდახან სუნსაც კი ვგრძნობდი მისგან ნამოსულს, ნედლი ხორცის სუნს.
დაკლული თუ მოკლული ცხოველის სუნს.
შიშსაც სუნი აქვს.

თითქოს ველოდი მის დაპატიმრებას.
თვალი ავარიდე, როცა გაჰყავდათ.
არ შემეძლო თვალი გამესწორებინა.
ორივემ წავაგეთ. მეც და იმანაც.
ყველაფერი წავაგეთ.
შვილების სიცოცხლე, საკუთარი სიცოცხლე.

თვითონ ამბობდა, რომ მე გავუუცხოვდი.
მე მდებდა ბრალს უცხოობაში.
მაინც მებღაუჭებოდა. არადა, ცუდად ვიყავი.
მთელი ათი წელი სადღაც, სხვაგან ვიყავი.
ბურუსში ვიყავი.
„ნერვების ანთება“ მქონდა დიაგნოზი. ოფიციალური.
ჩემი თავისთვისაც უცხო ვიყავი.

საუკეთესო ექიმებთან მატარა. კურორტებზე მატარა.
გადამეფოფრა. მომებღაუჭა.

არ ვიცი რატომ მეგონა, რომ თავს დამანებებდა.
წავიდოდა. სხვა ქალთან წავიდოდა.
ძალაუფლებაც ჰქონდა და ჩემგან განსხვავებით,
ჯერ კიდევ შერჩენილი გარეგნობაც, სხვასთან წასასვლელად.

არ წავიდა და თითქოს ამით ომი მომიგო.
აუღიარებელი ომი. ჩვენი ომი. მე და მას შორის.
გაცნობის დღიდან თან მოგვწონდა ერთმანეთი, თან თითქოს ვმეტოქეობდით. რაღაცნაირად გრძნობდა
ჩემს უპირატესობას. მეც ვგრძნობდი.
მე უფრო სხარტი ვიყავი, უფრო ჭკვიანიც. გამორჩეული.

ბოლოს კი ომი მან მომიგო. თავიდან ომი მომიგო პოლიტიკურად. ბოლშევიკურად.
მერე ომი მომიგო როგორც კაცმა - ქალს.
ზრუნვა დაიწყო ჩემზე, როგორც ხეიბარზე.
როგორც არასრულფასოვანზე.
როგორც ავადმყოფზე.
ასე მაგრძნობინა.

თან ზრუნავდა, თან წინ-წინ მიიწევდა.
სახლში არ იყო და მაინც ვგრძნობდი მის გვერდით ყოფნას.
შემაწუხებელს.
ერთადერთი ოცნება მქონდა - იმ წამლებს ბოლომდე გავეთიშე, რასაც მასმევდნენ.

რაღაც წამლებს ვსვამდი მთელი ათი წელი.
რას მასმევდნენ, რას ვსვამდი, არ ვიცოდი, არც მინდოდა მცოდნოდა.
შაკიკი მტანჯავდა, სულ ბნელში მინდოდა ყოფნა.
ვსვამდი წამლებს და ბურუსში ვიყავი. ძილი მინდოდა.
სულ მეძინა. მეძინა და მაინც ძილი მინდოდა.
მთიშავდნენ და მეც ვითიშებოდი.

შვილებსაც ვეღარ ვგრძნობდი. თან იქვე ვიყავი, თან სხვაგან.
ცხოვრება ჩემს გვერდით მიდიოდა. ბედნიერი ცხოვრება.
ჯერ კიდევ ბედნიერი.
გიორგიმ ცოლი მოიყვანა. ლამაზი, ლურჯთვალება.
ლევანის შეყვარებული ჰყავდა. მგონი სუსანასაც.
მომიწვებოდა ხოლმე ლევანი, ხელებს შემომხვევდა.
ცხვირს კისერში ჩამიყოფდა.
დუდი, დუდი, დუდი, მიყვებოდა ხან ამას, ხან იმას.

დედა მოგიკვდეს, შვილო! მოგიკვდეს დედა, რომ შენი მოსმენა არ შემეძლო.
არ გისმენდი. ვერ გისმენდი. მოგიკვდეს შენი დუდი, დუდი!

ზუსტად მახსოვს საიდან დაიწყო.
ქაქუცას მკვდარი ბიჭების თვლა ვეღარ ავიტანე იატაკქვეშეთში.
ჩემი შვილების ტოლების.
მათი დედების უცრემლო ღმუილი ვეღარ ავიტანე.

ღამე ოფლად ვიღვრებოდი, დილით სუნთქვა მეკვროდა.
იყო დღეები, სისხლად ვიღვრებოდი გაუჩერებლად.
მერე შაკიკი.
მენოპაუზა და ნერვების ანთება ერთდროულად.
ჯოჯოხეთი გამოვიარე.
გავსუქდი, გავჭაღარავდი, ყელზე ნაოჭები გამიჩნდა.

დამჭკნარ კანად დამეკიდა მერე ის სიმსუქნე.
ციხეშივე.
ციხეშივე გავნახევრდი. ნახევარ ადამიანად ვიქეცი.

მერე ბანაკში ყოფნისას რამდენჯერ გადამიხდია მადლობა ღმერთისთვის.
ჩემი თავისთვის.
ეს ყველაფერი რომ მანამდე მოხდა.
იქ მენოპაუზას მე ვერ გავუძლებდი.

სიმშვიდე იყო ბანაკში ბებერ ქალად ყოფნა. ფარი იყო ჩემი ბებრობა.
ჩემი თვალით ვხედავდი რა ჯოჯოხეთს გადიოდნენ ახალგაზრდა ქალები.
მონობას. შეურაცხყოფას.
ვინმე ერთ კაცს უნდა მიჰკედლებოდი. რაც შეიძლება ძლიერს.
გიყვარდა თუ არ გიყვარდა, მოგწონდა თუ არ მოგწონდა.
დანარჩენის ავად დაღებულ ხახას რომ არიდებოდი.
ეს იყო ერთადერთი ხსნა.

იქ ქალი აღარ ვიყავი.
ვიყავი მხოლოდ ექიმი და არაფერი იყო ამაზე დიდი შვების მომტანი.

იქ, ბოლოს მაინც, სულ რაღაცნაირად ვგრძნობდი ჩემს ძალაუფლებას.
ბევრი რამ იყო ექიმის ხელში.
მთავარი ადმინისტრატორის შვილის სიცოცხლეც.

ცუდად ჰყავდა შვილი. ხელიდან ეცლებოდა შვიდი წლის ბიჭი.
ხან ყარაღანდიდან მოუყვანა ექიმი, ხან ჩიმკენტიდან.

ვერავინ გაუგო ვერაფერი.
ფარული აპენდიციტი ჰქონდა. უსიმპტომო.
ეწამლებოდა მთელი სხეული.

გადავარჩინე.
ჩემი შვილების სახელით გადავარჩინე!
ჩემის დის სახელით გადავარჩინე!
დღე და ღამე გავასწორე. ყველაფერს ვუხმე - ცოდნას, ლოგიკას, ალღოს.
გადავარჩინე.

იტირა მერე ჩემთან.
კაცი შიშის ზარს სცემდა მთელ ბანაკს და ჩემთან იტირა.
მთხოვე რაც გინდაო, მითხრა.
მე ჩემი ათი წელი მოვიხადე-მეთქი და ეს ოთხი უსამართლოდ რომ დამიმატეთ...
გამანყვეტინა. ყველაფერს ვიზამო.
ამ ოთხი ნლის ბოლოშიც გავდიოდი, მაგრამ შიში მტანჯავდა.
არასდროს იცოდი კიდევ რამდენ ოთხ ნელს დაგიმატებდნენ.

მართლა მან მომცა ხელში ცნობა, გათავისუფლების. მალევე. მგონი ერთ თვეში.

და კიდევ,
რვეული ვთხოვე. და კალამი.
მკვდრების აღსარიცხად არა, ჩემთვის მჭირდება-მეთქი ეგ რვეული და კალამი.
იმ დღესვე მომიტანა შვილის რვეულები. სასკოლო. მელანიც, კალამიც.

ვწერე და ვწერე.
ღამეებს ვათენებდი, ვწერდი და ვწერდი.
ვწერდი და ვწვავდი.

ვწერე ყველაფერზე. ჩემს დაზე ვწერე, ჩემს ბავშვობაზე.
ტბიან ქალაქზე ვწერე, ულამაზესზე. სხვა სამყაროში. სტუდენტობაზე.
შვილებზე ვწერე.
ვწერე და ვწერე.
ჩემს ქმარზეც ვწერე.
ციხეზე ვწერე.
მერე ბანაკზე.
რა აღარ ვწერე! გავთავისუფლდი!

ნაყვავილარ ბიჭზეც ვწერე. კობა ერქვა, მე რომ ვიცნობდი, სტუდენტობაში.
პროპაგანდისტი იყო, თითქმის არავისგან გამორჩეული.

ვიცოდით მისგან ვინ დადგებოდა? არ ვიცი.
არ ვიცი.
ალბათ, ვიცოდით.
არა, უფრო არ ვიცოდით.

თვალსა და ხელს შუა იქცა ჩვენს თვალწინ მონსტრად.
ეჭვი შეგვქონდა? კი, მე ვეჭვობდი მის ყოველ ნაბიჯს.

და მეზღო კიდეც.
ბრმა ერთგულებას ითხოვდა. ბრმა თავდადებას.
ამას გთხოვენ. დაბრმავებას. დაყრუებას.
ჩემს ქმარსაც ეზღო.
მერე რა, რომ თვალი დაიბრმავა და ყური დაიყრუა.
მაინც ეზღო.
მონსტრს მხოლოდ ერთის ძალაუფლება სჭირდება. მხოლოდ საკუთარი.

ცალკე მონსტრი საშიში არაა. საშიში ბადეა, რომელსაც ის ქსოვს.
ამ ბადეში გავიხლართეთ მილიონობით ადამიანი.
ამ ბადეში ამოგვხდა სული ნახევარზე მეტს.

ის მოკვდება. ადრე თუ გვიან, ისიც მოკვდება. ადამიანია, ღმერთი არაა.
ყველაფერი სასრულია. ყველაფერს აქვს თავის დასასრული.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მონსტრი უფრო მალე მოკვდება, ვიდრე ჩვენ გვგონია.
პოლიტიკოსის ალღოთი ვგრძნობ, ექიმის ალღოთი, ქალის ალღოთი.

იმ სკოლის რვეულებზე ესეც ვწერე.
კი, ესეც დავწერე. ვწერე მის სიკვდილზეც.
ამოსათქმელი სულ ამოვთქვი. მის წინაშე წყევლით ამოვთქვი.
მერე ცეცხლს მივეცი ყველა რვეული.
გუგუნებდა ჩემი ღუმელი.
უფრო მათბობდა, ვიდრე ოდესმე.

დავწვი. ყველაფერი დავწვი და გავთავისუფლდი.

იქ გავთავისუფლდი. იქ გავიმარჯვე, რახან გადავრჩი.
ცოცხალი დავბრუნდი.

მაგრამ აქ? აქ? თავიდანაა მოსაპოვებელი აქ გამარჯვება.
მოსაპოვებელია აქაური თავისუფლებაც.

პირველი ნაბიჯები აქ და ახლა, ახლა უნდა გადავდგა!
ახლა, ამ კაბით. ახალი კაბით.
თავიდან ვისწავლო სიარული. *(იწყებს სიარულს, ჯერ ნელა, ფრთხილად, შემდეგ ფეხს ოდნავ აჩქარებს. ოდნავ კოჭლობს ჩქარა სიარულისას).*

„შევარდენის“ გოგოების გზას გავუყვე, გულში ღიღინით.
მათი სიმსუბუქე ვიგრძნო, მათი აღმაფრენა, მათი სიხარული!
მათი რწმენა მომავლის და თავისუფლების!

აქ და ახლა! აქ და ახლა! ახლა ამ კაბაში! ახალ კაბაში!

წარმოვიდგინო, რომ ის დროა. ბედნიერი დრო.
დროშა ფრიალებს. წვიმის სუნი დგას. ცაზე - ცისარტყელა.
გოგოები მღერიან, იცინიან. ისევ მღერიან.
პეპლები იწყებენ ფრთხიალს ჩემს გულში, სულში. ჩემს სხეულში.

მე ვარ ეს ქალი! *(ფეხს უჩქარებს, მისი კოჭლობა უფრო შესამჩნევი ხდება).*
შვილმკვდარი დედა, ახალი კაბით!
ეს კაბა არ უნდა იყოს შავი კაბა,
არ უნდა ყოფილიყო შავი კაბა,
არ არის შავი კაბა!!!
დიახ, არ არის!!!

ჩემს ცხოვრებას აზრი ჰქონდა ზუსტად ამ დღისთვის, ამ წუთებისთვის, ამ წამებისთვის!
ტანჯვა, რაც მერგო, უნდა მეზიდა. ვზიდე და ვზიდე. ბოლომდე ვზიდე.
ღირსებით ვზიდე.

ახლა ეს კაბაა ტანჯვისგანაც თავისუფლების!
ახლა ეს კაბაა გლოვისაგან თავისუფლების!
გლოვის დასასრულის!
გლოვის დასასრულის!!! *(ისმის „შევარდენის“ გოგოების ხმა, სიცილი და სიმღერა).*

ახალი დასაწყისის!
სიცოცხლის და თავისუფლების!
შიშისაგან თავისუფლების!

და მონსტრმაც რომ მკითხოს, ახლა ამ წუთში:
ვინ ხარ შენ, **მინადორა ორჯონიკიძე?**

მე უნდა ვუთხრა: გამარჯვებული!

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელა სამნიაშვილი

ბონდდება

ასე იქცევა თურმე ბორჯღალო - სვასტიკად,
ასე უხმება ზედ მზის სხივები - შავ სისხლად
და ილესება გული - სიპ ქვაზე სასტიკი
და სასულეში მიწას იყრის და ზღვას ისხამს
და ვერ ივსება ვერც სასულე ვერც წადილი
და ეხიზნება ბოროტ ზღაპრებს და იგავებს,
რადგან სამშობლოც - საუზმედ სურს და სადილად,
ვიდრე სულ ბოლო ნამცეცს არ ჩაიპირქვავებს
და უკაკუნებს სასოწარკვეთა მის კარებს
და არ აღებენ მსახურები და რისკავენ -
რადგან ბატონის ტვირთი - მსახურის ტვირთია,
რადგან მსახურებს აკლდამებისთვის ითვლიან,
დრო კი მიქრის და ცარიელიც კი სავსეა,
დროის მიღმა კი რჩება ციფრები - ბოდვებად,
მილიარდების საქმე უბრალოდ - ასეა -
მილიონების მიღმა უკვალოდ ბონდდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვობაში

ბავშვობაში ძალიან დიდი თვალები მქონდა
ყველაფერი ეტეოდა, ცვიოდა მათში -
კიბის თორმეტი საფეხური, ოთახები თავისი ჭრელი
კედლებით, სარკით, სკამებით და მაგიდით, მჭრელი
დანა-ჩანგლებით და წკრიალა ვერცხლის კოვზებით.
არ ვიღლებოდი ცქერით, ფსკერის ვერ ამოვსებით
ყველა კარადის ყველა უჯრა დავიზეპირე -
ყველა ნემსი და ყველა ძაფი, რაც კი ეფინა
უჯრების ძირზე, იატაკზე და გარეთ - ცაში -
ყველა ვარსკვლავის ჭუჭრუტანა ვიცოდი - წაშლილ
ნაფანქრევ სიტყვებს ვკითხულობდი
ძველ ალბომებში,
ალისას ვგავდი, ვეშვებოდი ფერად მორევში
ნივთებისა და სახეების, და ვისრუტავდი,
სივრცე კი ისევ ბლომად იყო - და მეც - თუ სადმე
რამე თუნდ ოდნავ ბრჭყვრიალებდა - ვიპირქვავებდი.
მერე გაუჩნდა ამ სამყაროს გრძედი, განედი -
იქაც მსოფლიო გაიშალა კონტინენტებით,
ძველი, ახალი წელთაღრიცხვით - როგორც ვეტევით
აქეთ - სივრცეში - ჩაეტია და გაეფინა -
რომ ზედ ურემსაც ეჭრიალა, ხომალდს - ეფრინა -
პარალელური სივრცეები გამოიზარდა -
შიგ ბეღურების თაობებმა გამოიზამთრა
და არც კი მახსოვს, როდის გაჩნდა პირველი ბზარი.
მივხვდი - სავსეა. და რაც არის, მხოლოდ ეს არის -
მონეს ნახატი ავაფარე მსოფლიო ომებს,
ჯერ ფრთხილად, მერე - არც კი მახსოვს - რომელი- რომელს
და სარდაფებში გამოვკეტე დიქტატორები -
მკვდრები. ცოცხლებსაც მივაგორე მძიმე ლოდები.
მერე დღეებიც დაემსგავსნენ ერთმანეთს. მათში
ყველა ყაიმი აირია ყოველგვარ მატში.
და თითქოს ასე გაიყინა - კარგა ხანს - დიდხანს
და მერე გაჩნდა არსაიდან - ასეთი კითხვა:
რომელი დღეა უფრო ნამდვილი? რომელი?
ეს ნაცრისფერი, სარკმლის მიღმა - მიუწვდომელი
თუ მზიანი და გზიანი და ტალახიანი?
თითქოს ყველა დღე - ყველა - უკვე ნანახი არის
და მისდევს - წრეზე - წამი-წამებს - გრაფიკი- გრაფიკს,
ამბავი-ამბავს, ეს გზა- იმ გზას, ის ფიქრი - ამ ფიქრს
და ყველა კერძი, ყველა ლექსი - უკვე მზად არის
და დატკეპნილი ზღაპარია ყველა სკანდალი
და რაც არ უნდა მოხდეს, უკვე ათასგზის მოხდა
და ახლა მხოლოდ ეტიკეტი და ვალის მოხდა
ითხოვს - დაარქვა ორშაბათი, მიყვე კვირამდე
და ყველაფერი მერე ისევ ამოყირავდეს
და აღფრთოვანდე პატარა თუ დიდი წრებრუნვით
და შეიცხადო, რომ ნადირზე აღმატებული
არაფრით არის, სულ არაფრით - ადამიანი.
ალბათ ეს არის, რაც არის და ალალი არის -
ეს კოსმოსი და დედამიწა, ეს მთა და ეს ზღვა,
და ალბათ უკვე აღარაფერს სჭირდება შეთხზვა,
მაგრამ თუ შეთხზვა არ სჭირდება, თუკი დავნებდით,
როგორ აქვთ ბავშვებს ერთმანეთზე დიდი თვალები

კოღოები

კაცს ჰქონდა
სისხლი და ხორცი და ნიჭი
და ყველაფერს ლამაზად ხედავდა

სამადლოდ
ისხამდა ღვინოს და ღეჭავდა
ლუკმას და ხატავდა დღედაღამ

თვალები ასხდნენ
მწკრივად - კოღოები -
ნახატებს - მის ხორცს და მის სისხლს

და ვერ ძღებოდნენ
და გატაცებით -
სიმპოზიუმებს მისი

სახელით ხსნიდნენ,
ბეჭდავდნენ აფიშებს,
ფიქრობდნენ ფონზე და ხედებზე

დააბზრიალებდნენ
ვრცელ გალერეებში
მეეზოვეს და მეთევზეს

და შერჩა
ტილოს და ზეთსა და წყალწყალა
ღვინოს და ღიღინა დაღმართს

და თქვეს -
საფლავიც არ დარჩა საწყალსო,
თუმცა აღდგომის სწამდათ.

* * *

ჩვენზე ჭკვიანი ჭიანჭველები
მიაქანებენ ბუდისკენ სარჩოს,
ჩვენ - ერთმანეთზე უფრო ჭრელები
ჭაპანს ვეწევით - უმისამართოდ -
ვისი სიმართლე უფრო მეტია -
სულ საკუთარი სასწორით ვწონით
და ერთმანეთზე უბოროტოებს -
მხოლოდ ჩვენი გზა გვგონია სწორი
და ერთმანეთზე უსიკეთოებს -
სამშობლოდ მხოლოდ სამხარი გვრჩება
და ტერმიტების ბუდის გეტოზე -
ერთმანეთის ძვლებს ვიმზადებთ ჯვრებად.

ალისფერი

რა აძლევს ძალას - ადამიანს - ეძებოს გზები,
უდაბნოში, ოკეანეში გაჭრას ბილიკი,
აქლემის კუზი - ქვიშის საათად ამოაბრუნოს,
ხისგან ხომალდი შეკრას, აფრად გააკრას ქარი,
გაეშუროს ცარიელი პლანეტებისკენ
ყვავილის ბოლქვის გადასატანად?

ან რამ დატოვა ყინულეთში ესკიმოსები,
ერთგულ ძაღლებს - მარხილებში -
რა რადიუსი შემოუსაზღვრეს იგლუს გარშემო -
პოლარულ ციალს,
არქტიკის რკალს რომ არ გაცდენოდნენ?

ალბათ დიდი მოგზაურები
იყვნენ დიდი ვნებებით სავსე,
მაგრამ დიდი სიყვარულისგან თავისუფლები,
ხოლო ყველა მებაღეს ქონდა დადებული
უსიტყვო აღთქმა -
ეს არის ზღვარი,
რაც მებაღეს მოგზაურად აქცევს,
ხოლო მოგზაური - შეიძლება ბაღს შეეხიზნოს

და იგივე ვნებებშია -
პლანეტის მთელი მოსახლეობა -
გზებზე, ჭიშკრებთან მიმოფანტული
გულები - კანის მიღმა ელავენ.
ამ ლექსის მიღმაც ალისფერია

და ერთადერთი, რაც ოდესმე სუსტად მაქცევდა,
იყო სიყვარული.
სიყვარული - ადამიანის, მიწის, სახლის, გზების, სიცოცხლის.
მკვეთდა ფრთებს, მუხლებს, დროს,
მზერას და გზას მიკვეცავდა.
მის გარეშე კი არც ვიყავი ფეხის გამდგმელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ია ჯინჭარაძე

* * *

მდინარეე, ლურჯო,
როგორც უპე თვალის,
დღეს ვის ამბავს ჩამოატარებ,
მთაში წასული თეთრი თამბის,
სამტროდ წასული მირანგულას?
მდინარეე, ლურჯო,
როგორც უპე თვალის,
დღეს ვის ჯავრს ჩამოატარებ?
რა ჰქვიათ
თმებში გახლართულ ყვავილებს,
რა ჰქვია სიმღერას? -

არა ცხენი, არა ბეე,
არა ღორი,
ბატი, სამად სამი ცალი,
ერთიც - ვარია,
იმდენი ქვა-ღორღი მოვიდა საგვიანოდ,
ვერ იტევს ბელელი და ნალია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უყვება ბებოჩემი
თავის თავს სიყვარულზე:
- ი კაცი, კაი კაცი, დომენტი.
მეც მეტი რა მინდა -
ენა მოგიტანეთ
და სხვა იდიომაც -
პირს ვარდი აფენია.

ნეტავ მას,
ხსოვნაში და წყვეტილ ღამეებში
გაბნეულ ყველაზე ძვირფასს
და საყვარელს,
ნეტავ მას,
ვისთვისაც
სიკვდილი წყალია,
ჩუმად რომ ჩაყლაპავს
ყლუპებად
და-

ტე-
ხილს.

* * *

უყვარხარ! -
მითხრა გვირილამ და მოკვდა.

ვითომ შენი შვილი ვიყო ქარო,
საკატაოდ გაპარული საქანელაზე,
ვითომ ჩემი კატა ვიყო,
კარში უხმაუროდ გამძვრალი.

ის ერთი ხე -
რომ მგონია, მელოდება
და რომ კარგი მეხსიერება
აქვთ ხეებს.
და მიწა!

ნართი, ხახვის ფურცელი,
თეთრი ქვა - ყველივით
და ყვითელი ქარვა.

აირევიან ფრინველები
მზეს უგალობენ უგალიოს,
ბედნიერება - უმიზეზოდ.
ბედნიერება, ცის ვარსკვლავებო.

- მივეგდები ჯაგლაგივით -
მწვანე ბალახს დავისიზმრებ.
ამის ნაცვლად -
მდინარემ გატეხა კალაპოტი.

მდინარემ გატეხა კალაპოტი.

მითხარი, დედა მარიამო,
როგორ დამიამდეს წუხილი -
წყალში ჩამდნარი მარილივით
მლაშე და უხილავი?

* * *

როგორც სურებიდან - აიები,
ან წყლის ზედაპირზე სიარული
და დედაენიდან - „აი ია“,
ვინც თქვა: - „წმინდა არს“
და თქვა: - „ვითარცა ყუავილი ველთა?“.

ის, ვინც ქსოვს ოქროს ყაისნაღით
ლურჯ მინდორს,
ისე ვით ლურჯ სუდარას,
ვინაც სიყვარული აიხირა,
უდაბნოს ხელი ყაისივით.

ვისაც უხარია - ბალახია,
აყრილ ლიანდაგს რომ ყარაულობს
და მწვანე წვიმები ბრუნდებიან,
დიდი წვიმები, წინვოვანი.

მე კი თითქოს ხე ვარ, უკენწერო
და ვცდილობ, ცისკენ ავიწიო,
მაგრამ გულმოდგინედ მამრგვალებენ.

საით მიფრინავდით, წეროებო,
თეთრო, წითელგულა წეროებო.
სული თუ დალიეთ
ცის გზაწვრილზე,
როგორც მამაჩემმა - უწვალებლად?

და მე ვაკაკუნებ.
ძველი სახლის
კარებს ვინ გამიღებს?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ვინ ილაპარაკებს
ყვავილების სახელით?
მისი ხმა მივა
კადეშის უდაბნომდე,
და შეაღწევს
უდანაშაულო კლდის გულში.
და შიშის სახელით:
- დაბნელებიდან ალიონამდე ყველანი
        დავბრუნდებით
საშიში თიხის,
ლიანდაგების ბალახის,
რელიგიური წიგნების გავლით
და არ ვიუარებთ რომ
ჩვენ ყველანი
ვესწრებოდით მსხვერპლშეწირვას.
ცეცხლი ტკაცუნობდა.
ყვავილები ისევ ყვიროდნენ.
ვინ ეტყვის
ზურგს უკან გადამალულ
თოჯინას:
- ჩემო სულის სულო,
სულის სულო,
ახლა თავი უნდა მოვიმძინაროთ.

* * *

ნათიას

როგორც თანატოლი ღამე
ჩემი უძველესი ტომის,
როგორც გამნალმველი ცის და
როგორც იავნანა, ბეწვის
ხიდზე გავდივარ და მომდევს
სუსტი იავნანა დედის.

ცას კი ალისფერი ედება.

რას უსტვენს პატარა ჩიტი,
ხმაში სამოთხეს რომ იტევს,
ნეტავ მან თუ იცის ბავშვებს
ქვები რად უჭირავთ ხელში,
ქვები რატომ ხვდებათ ჩიტებს?!

თოვლის ყვავილები, თოვლის,
იქნებ დამიკრიფო, იქნებ.
ჩრდილი, მონაზონის კალკი,
მოდის და სიბნელით მიკლებს.

დაო, დაზე უფრო დაო,
მწარე სადარდებლით დავალ,
როგორც მამიდაჩემ კირკეს
და ან მამიდაშენ დავარს,
ჩვენც გვაქვს გრძნეულების ნიჭი,
თითებს უცხო წყალში ვაწყობთ.

ცას კი ალისფერი ედება.

* * *

არც არაფერი,
თუ ბრწყინვალე ვესტიბიულს
დაფარავს ჭვარტლი.
ბეტონის ფილებით მოაპირკეთებენ.

ბაღშიც დარგავენ
ბინდის ვარდებს,
ნათელ შროშანებს,
აუზში თევზებს, ყინვაგამძლეს,
გაუშვებენ.

და გვეტყვის კეთილი ბატონი:
- თუ ქრისტიანს, უზიარებელს,
შეანევ ლოცვას,
როგორც ბერძენს
ქარონის ობოლს,
სულაც არ ნიშნავს,
რამე გესმის
მკვდართა საუფლოსი.

და გვეტყვის კეთილი ბატონი თავაზიანად:
- რა მშვენიერია სიცოცხლე!

რა ლამაზები ვართ ჩვენ,
როგორც პეპლები ჰერბარიუმში,
ვიდრე გავხუნდებით
და ჩვენი ჩვევა -
მზის ჩრდილს შევეფაროთ,
ან ხელი მოვიჩრდილოთ
მზისგან -
ვერაფრით დავინყებული.

ალიონისკენ ისვენებს ქარი
და მერე ისევ
ქარი ტირილით
ეძებს ბავშვებს,
უფრო მეტად ნანგრევებში.

დილა იწყება ფეირუზით:
- ნუ მეკითხები თეთრო ჩიტო
ამის შესახებ.
ან შენი ჰიმნით,
ჰერ ვესელ,
ყავისფერ ბატალიონებზე.

* * *

სად არის გამოსავალი, დედა -
მეთექვსმეტე ფსალმუნში,
თუ „გამოსვლათა წიგნში“?
ვინ უფრო ბრძენია -
სოფელი, ათას მეტაფორას
რომ დაატეხავს თავის პატარძალს,
თუ ლამექია -
უბრალო ფანქარივით - რომ თქვა?

ამ ცოტა დროში
რა სჯობია - გელაპარაკო,



თუ დავწერო რამე ფერადი?
ან გაგიმხილო -
სიზმარში ახლაც თვალი დავხუჭე
გელავერის უღელტეხილზე
და თეთრი ქორმა
თვალბრჭყვიალამ, ბამბისბრჭყალებამ,
ქარის ამბავი მოიტანა,

მიწის და ქვების.
- შვილი თუ დაგირჩა, ქარო?
- შვილი ცხრა მთას იქით გადავმალე,
მინდვრების ანაბარა,
ნეტავ რას ისწავლის
მინდვრების ანბანიდან?

ისევ დირექტორის
კაბინეტში გიბარებენ.
ნუ ტირი დედა,
შენმა გოგომ დაე იცელქოს
და იცინოს ისე ხმამაღლა,
რომ გადაფაროს
ყველა მისი დაბნეულობა.
ნახე, მეგობრებს როგორ უყვართ,
როგორც ვარსკვლავს შესცინინებენ.

ნუ ჯავრობ დედა,
შენი გოგო ისე მარტივად
დაცურავს მღვრიე,
მღვრიე წყალში
და ყინულის ნატეხებს შორის
და ისე მღერის,
რომ ტკბებიან ნაიადებიც.

და არაფერი -
მარტოობა ზოგჯერ კარგია,
როცა სიტყვები არსებობენ,
როცა ჩიტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თემურ ჩხეტიანი



კირჩხიბის ტროპარი 69

ნუთუ უკვე ამ ხნისა მოვიყარე?!..

სარკე ყოველთვის მახსენებს, რომ ჭაღარა ვარ,
რომ სახეც უკვე საიდუმლო რუკას მიმიგავს,
რომ თვალებშიც სევდა მეტყობა;
მაგრამ ხანდახან ეს თვალები რატომ მიციმციმებს?
რატომ გამირბის საამო სანახებისკენ
და სახეზე ღიმილი რატომ მეხატება?..
ზოდიაქოს ნიშნით კირჩხიბი ვარ.
სწორად სვლისა რა მოგახსენოთ,
უკვე აცაბაცა დავფაჩუნობ,
მაგრამ თურმე მაინც წინ მივდივარ.
საით? რა ვიცი?..
ალბათ ახალი ნიშნულებისკენ -
ახალი ცრემლისთვის,
ახალი ღიმილისთვის...
გამარჯობა, ტკბილო სიბერევ!..

* * *

ახლა მხოლოდ იმიტომ წვიმს,
რომ ამინდის გუშინდელი პროგნოზი გაამართლოს.
პირადად მე სხვა ახსნა არ მაქვს:
რადგან ითქვა სიტყვა, ის უნდა აღსრულდეს!..
და მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იყო მთქმელი -
იდუმალი წინასწარმეტყველი
თუ გაფუყული თუთიყუში ტელეეკრანიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლექსი, რომელსაც სახელი ვერ დავარქვი

დილის შვიდ საათზე
აკორდეონის ჟღრიალა ხმა გვაღვიძებდა.
გრძელი დერეფნის თავიდან ბოლომდე
გამოივლიდა ხოლმე რუსი მეგარმონე
(ალბათ ნასალდათარი იყო
და იმ დროისთვის ალბათ გადაკრულშიც
გახლდათ).
გამოივლიდა შავ-თეთრად მოლაპლაპე
ინსტრუმენტით;
გამოივლიდა ცმუკვა-ცმუკვით და ვითომდა
სახალისო რეპერტუარით,
პალატების ღია კართან ყოვნდებოდა,
უკრავდა და იცინოდა,
როცა ჩვენ, ბავშვები - ჩემხელები და უფრო
დიდებიც -
დაფეთებულნი ვახელდით თვალებს
და ძალის-ძალად ვიღიმებოდით,
თუმც ატირებას ბევრიც არ გვაკლდა.
შვიდი წლის ვიყავ
და მალე პირველკლასელი უნდა გავმხდარიყავი.
ასე გვაღვიძებდნენ მაშინ და იქ...
ვდგებოდით, პირს ვიბანდით და დარბაზში
ვგროვდებოდით.
რატომღაც სიას კითხულობდნენ
(აქედან გამქცევს არავინ ვგავდით)
და მე ჩემი სახელის გაგონებაზე
ყოველთვის ვკრთოდი,
ფეხზე ვდგებოდი და სუსტი ხმით ვამბობდი:
„- ვარ...“
მერე... საუზმე და უფრო მერე: მასაჟი თუ
აბაზანები -
სავალდებულო და უხალისო პროცედურები.
მერე შუადღის მოსვენება, სადილი და
ნებადართული თამაშები:
კენჭობანა, დახუჭობანა;
ხან აღმართულ ხელების ქვეშ დერეფნის გავლა,
ხან იმავე ხელებით შეკრულ და შემოსაზღვრულ
წრეში ტრიალი...
პატარა ვიყავ,
პატარებში ვითვლებოდი,
შესაფერისად მექცეოდნენ - მტუქსავდნენ ან
მეფერებოდნენ.
წერა-კითხვა უკვე ვიცოდი,
მაგრამ იქ ჩემთვის არავის უკითხავს:
„გინდა, წიგნი ნავიკითხოთო?..“
სანატორიუმი იყო წყალტუბოში
და ასე იყო ამ სამოცზე მეტი წლის წინ;
ასე იყო,
სახელი კი იმ დიდი სახლისა,
არ მახსოვს, ვერ დავიმახსოვრე.

* * *

ახლა, რასაკვირველია, არავინ მაღვიძებს -
ჩემს თავსა და ბედსა ვარ მინდობილი.
ცხადია, სიასაც არავინ კითხულობს
და მეც არავინ მახსენებს,
რომ წამოვდგე
და ჩემი გაბზარული ხმით ვუპასუხო:
„ - ვარ!..“

ზაფხულის ცხელი დღეები

კოღოს ნაკბენი N1

ჰო,
ეს პირველი იყო ამ ზაფხულს:
იდაყვთან, რბილ ადგილას;
თან როგორ მზაკვრულად
და როგორ მწარედ!..
როცა ნასადილევს წავუძინე
სულ რაღაც ნახევარი საათით
და სიზმარში რატომღაც თოვდა.

კოღოს ნაკბენი N2

თვალს ვარიდებ საინფორმაციო გამოშვებებს,
სმენას ვიხშობ მავანთა ბზუილისგან...
და მაინც:
რაღაც ეკლად მხვდება თვალში,
რაღაც კი მწარედ ჩამესმის ყურში.
გაბრაზებული ვირტყამ ხელს მკლავზე
და თეთრ ფონზე
მკვეთრად მაჩნდება საკუთარი სისხლის წვეთი
შავი წერტილით.

კოღოს ნაკბენი N3

რაღაცის გახსენება მინდოდა.
გადმოვიღე წიგნი: აკაკი ბაქრაძე, „ნიკო
ნიკოლაძე“
და ისე გავერთე კითხვით,
არც შემიმჩნევია.
როცა წიგნი დავხურე,
მერეღა მოვიფხანე წვივზე ამობურცული ბუშტუკი
- ღუდუდი.

კოღოს ნაკბენი N4

„წარვედ წყალის პირს...“
მაგრამ ფიქრი ვინ დაგაცადა?..
გამიზნულად შემომიტიეს -
ყოველი მხრიდან
და გაბმული ზუზუნ-ყიჟინით;
დამზაფრეს და ხელ-ფეხიც მაქნევინეს.
გაწეწ-გამოწეწეს ჩემი ფიქრები,
დაინანილეს.

არ ვიცი, ვის რა ერგო და როგორ მოერგო;
არ ვიცი, ვინ როგორ გაიაზრა:
რა დაარქვა თუ გადაარქვა...
რას ვიზამდი? - გამოვიძურწე,
სიმწრით დავტოვე ის ადგილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მათგან იავარქმნილი
ჩემი რომანტიზმი.

კოღოს ნაკბენი N5

ბესიკ,
შენ რაღა კოღომ გიკბინა, კაცო,
ფეხბურთზეც რომ გვითხარი ლექსები?!..
დიდი ხნის წინანდელი ამბავი გამახსენდა,
სულ პირველად რომ მოვედი „მნათობში“
ჩემი სანყალი ლექსებითა.
მაშინ მხოლოდ ერთპუბლიკაციიანი ვიყავ
და მხოლოდ ერთი ლექსით მივიქციე
შენი ყურადღება.
დანარჩენები, ასე, ათორმეტი, გვერდზე
გადავდეთ.
ერთ-ერთი ლექსი ფეხბურთზეც იყო -
ერთადერთი ევროპული თასი
ახალი მოგებული გვქონდა
და ყმაწვილკაცს ხელი წამიცდა
და, რა თქმა უნდა, ლექსიც ვერ იყო.
...
ახლა სხვა დროა,
ახლა, ასე თუ ისე, ქვეყანა გვაქვს
და ჩვენი ბურთიც დაგორავს ევროპაში;
ახლა ჩვენც ავზუზუნდით
და უკვე გვიცნობენ
და ისევ შენ - ბესიკ ხარანაულმა გვითხარ ჩვენდა
გულგასახარად:
„- ჯვრიანი დროშა ფრიალებს,
საქართველო აწერია!“

კოღოს ნაკბენი N6

ვესაუბრე საყვარელ მეგობარს
(ვიდეოთვალი და რამე),
თურმე ორივეს არა გვიშავს,
და ორივენი ვსვამთ Staropramen-ს.
სრული ჰარმონია არც ჩვენთან არაა
(იმედს გაგიცრუებთ მსმენელთ):
ის ცხოვრობს კატების თანხლებით და
მე ისევ კოღოები მკბენენ.

კოღოს ნაკბენი N7

როგორ გამიუცხოვდნენ წიგნები,
როგორ გავუუცხოვდი წიგნებს...

არადა, რაც თავი მახსოვს,
სულ ერთმანეთისკენ ვიყავით დამზერილნი:
ერთად ვიყავით,
ერთად გვიხაროდა,
ერთად გვტკიოდა
და ბევრჯერ ერთმანეთთან ჩახუტებულებს
გვეძინა.
როგორ გავუუცხოვდით ერთმანეთს! -
სულ თვალს ვარიდებთ,
გავურბივართ...
ხანდახან თუ წაგვძლევს სული
და ერთმანეთს მივეახლებით
და ერთმანეთში ჩავმყუდროვდებით,
მაშინაც კი სიახლოვე ისეთი არ არის
და საბაბს ვეძებთ ერთურთისგან
თავდასახსნელად.
აი, ახლაც...
საკმარისი აღმოჩნდა ჩემი მკლავიდან
წიგნის ფურცელზე კოღოს დაცემა
და... წიგნი ტაშივით შემოვკარი
და ის კოღო წიგნს შევატოვე.

კოღოს ნაკბენი N8

პირველი ნოველა,
რომელიც ამ მწერლისა წავიკითხე,
იყო „აღუ“ - თბილი, თბილი და ძალიან კეთილი.
მერე იყო „ვანო და ნიკო“,
იყო სხვებიც...
და ყველა იყო თბილი და კეთილი;
მერე იყო ფილმები -
ამ მწერლის სცენარების მიხედვით შექმნილი
და ყველა იყო ძლიერი, შთამბეჭდავი...
მაგრამ რატომღაც ისე მოხდა
(მრცხვენია კიდეც),
რომ ამ მწერლის ბოლო წიგნი
„კოღო ქალაქში“
არ წამიკითხავს.

კოღოს ნაკბენი N9

იყო ზაფხულები,
რომლებსაც ჩემთვის ლუდის გარეშე ჩაუვლიათ.
ახლა, ვერ ვიტყვი, რომ განძი ვიპოვე,
მაგრამ სამნაირი ლუდი მაქვს მაცივარში.
ლუდის მსმელები ვუყვარვართ კოღოებს,
თანაც თურმე
მხოლოდ მდედრი კოღოები იკბინებიან.

სიბერის განცდა

1.
ველარ გამომაქვს
სიმწრით ნაპოვნი სტრიქონები
სიზმრიდან ცხადში.

2.
მილიარდი ყვავილი აპრილში -
ველად თუ ხეებზე...
მე კი ის ერთი დამამახსოვრდა,
ალუჩის განაპირა ტოტიდან:
დიდხანს მიყურებდა
თვალდაუხამხამებლად.

3.
რომ ვუთხრა
„მიყვარხარ!"-მეთქი,
ვინ დამიჯერებს?..
ალბათ ისევ შენ,
ლოყაშეფაკლულო ატმის ყვავილო.

4.
რამდენი ყვავილი მოუკვდება
ამ გაზაფხულს
და რამდენი შერჩება
ხანგრძლივი კვდომისთვის?..

5.
ვილაცამ
მზესუმზირას ჩენჩოებივით გადმოფანტა
მერცხლები ცაში
და
სარკმელი დახურა.

6.
იყო, სუნთქავდე, მოძრაობდე,
ფიქრობდე და ვილაცას ელოდე -
ეს ყველაფერი ფერადი სხივებია
გულის პრიზმაში შეკრებილი -
დიდ სინათლეში დასაბრუნებლად.

7.
რა მსუბუქია
დედამიწა
პეპელასათვის!..

8. საღამო
ცოტა მთვარე,
ცოტა ნიავი
და ცოტა სიმშვიდე
ამ თავზარდამცემ სამყაროში.

9. ფოთოლი

მოვწყდი,
ვეშვები,
მოვფარფატებ...

მოასწარით და ჩამითქვით,
რაც გსურთ.

მერე რა, თუ ვარსკვლავი არ ვარ -
მე უფრო მესმის
თქვენი სურვილები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კირმენ ურიბე

ლექსები

ბასკურიდან და ესპანურიდან თარგმნა ირაკლი მენთეშაშვილმა

ბასკურენოვანი მწერალი კირმენ ურიბე ურბიეტა დაიბადა ონდაროაში, ბისკაია, ესპანეთი, 1970 წელს. მრავალი, მათ შორის ლიტერატურის სახელმწიფო ჯილდოს ლაურეატია. თარგმნილია ოც ენაზე. ეს ლექსები თარგმნილია კრებულიდან „17 წამი“ (2019).



ქარხნიდან დაბრუნებული ქალები

ბებია კონსერვების ქარხანაში მუშაობდა,
დედაჩემიც, დეიდებიც.
მუშები იყვნენ და არა დიასახლისები,

ან იქნებ იყვნენ კიდეც.
მიყვარდა ის სუნი სამსახურიდან
დაბრუნებულებს რომ ასდიოდათ.

თევზის, ოფლის და მარილის.
მათ კი ეს სუნი სძაგდათ,
შეუძლებელი იყო მისი გაყვანა,
დავინყებაც შეუძლებელი გახდა.

ჩემი ოჯახის ქალები
ჯერ ქარხნებში, შემდეგ სახლში მუშაობდნენ
სამზარეულოში ასუფთავებდნენ ხამსას.

მე იქვე ვთამაშობდი, მაგიდის ქვეშ.
ხამსის ერთ ნაჭერს გადმომიგდებდნენ ხოლმე.
ყველაზე მეტად ხამსა და პური მიყვარდა,

ძეხვსაც და შოკოლადსაც კი მერჩივნა,
რაზეც მეგობრები სულ დამცინოდნენ
სხვა დრო იყო.

მაშინ ქალები ქარხნებში მღეროდნენ.
უფროსები მათ დროს აძლევდნენ
შვილების ძუძუთი გამოსაკვებად

ისინიც დროს იყენებდნენ და ისვენებდნენ
სამუშაო ფორმით მზეს ეფიცხებოდნენ
ქარხნის ქვის კედლებს მიყუდებულები,
სიგარეტს გრძელ ნაფაზებს ურტყამდნენ.

ნეტარების წუთები,
როდესაც ავიწყდებოდათ ყველაფერი
სამსახური, ოჯახი, ქმრები თუ შვილები.

რამდენი წელია გასული
თვალებს ვხუჭავ მეც და იმ გაელვებას დავეძებ
იმ სიმშვიდის წუთებს...

ხახადაფჩენილი ველი
რომ რომელიმე მათგანი მოვა და
პირში ჩამიდებს ერთ ცალ გემრიელ ხამსას

ძღვენს იმ მაღალი სუფრიდან,
რომლის ქვეშაც ვთამაშობ,
მათ კი საქმე აქვთ.

მუნჯი ბავშვი

ბაგა-ბაღში ხმას არ ვიღებდი.
ჩუმად ვიყავი.
მთელ დილას მარი-კარმენის,
მასწავლებლის კალთაში ვატარებდი.
მხოლოდ ვუსმენდი.
და ხანდახან ვუცქერდი,
ჩემი მეგობრების თამაშს.

სამყაროს შეცნობა მიჭირს.
ახალი არაა.
მიჭირს საჭიროს სიტყვის მოძებნა.
შეიძლება ამიტომაც გავხდი მწერალი,
რომ დავეძებ სიტყვებს, დღედაღეე,
დაკარგულ სიტყვებს.

ჩიტები ზამთარში

ჩვენი მიზანი ჩიტების გადარჩენა იყო,
თოვლში მოყოლილი ჩიტების გადარჩენა.

ძირითადად სანაპიროზე იყვნენ ხოლმე,
რუხი ზღვის ქურქში მიმალულები.
სამალავებიდან გამოგვყავდა და
ჯიბით სახლში მიგვყავდა.
პაწაწინა ჩიტები, რომლებიც მთლიანად
ეტეოდნენ ჩვენ ბავშვურ ხელისგულებში.

სახლში, რადიატორთან ვათავსებდით,
მაგრამ ჩიტები დიდხანს ვერ ცოცხლობდნენ.
ორ-სამ საათში კვდებოდნენ.
არ გვესმოდა რატომ,
არ გვესმოდა რატომ იყვნენ ასეთი უმადურები.
არადა პირში ვატენიდით საჭმელს,
რძეში დასველებულ პურის ნამცეცებს,
საწოლსაც კი ვუმზადებდით შემდეგ,
ჩვენი საყვარელი ყელსახვევებისგან.

მაგრამ ყველაფერი ამაოდ: მაინც კვდებოდნენ.

გაბრაზებული ჩვენი მშობლები გვეუბნებოდნენ,
რომ აღარ მოგვეყვანა ჩიტები სახლში,
რომ ძალიან ცხელოდა და ვერ უძლებდნენ.
რომ ბუნება ბრძენია და
თავისთავად მოვიდოდა გაზაფხული,
თავის ჩიტებს მოიყოლებდა.

წამიერად ვუფიქრდებოდით:
„იქნებ მართლები არიან ჩვენი მშობლები“.

და, მაინც, მეორე დღეს
ვბრუნდებოდით სანაპიროზე ჩიტების
გადასარჩენად.
თუმცა ვიცოდით რომ ჩვენი ძალისხმევა
ისეთივე ფუჭი იყო როგორიც ზღვის ზედაპირზე
დაცემული თოვლის ფანტელი.

და ჩიტები იხოცებოდნენ,
რადგან ჩვენი მიზანი მათი გადარჩენა იყო.

ხე

ბიჭუნა იქნება ალბათ შვიდი წლის. დედა
შეჰპირდა, რომ თუკი კარგი ამინდი იქნებოდა,
ისინი მანქანით გასტეისში წავიდოდნენ, გამარას
აუზზე, გაზაფხულის იმ ცოცხალ, ნათელ და მზიან
დილას. სანამ დედა ექსკურსიისთვის ემზადება,
ბიჭუნა აივანზეა, სახლში ვერ ჩერდება. აივნის
რკინის მოაჯირზე სათამაშო პატარა მერანს აქეთ-
იქით აჯირითებს. მაღლიდან დასცქერის ეზოს და
ეზოს გასნვრივ ქუჩას. ქუჩის მეორე მხარეს
ყაზარმაა. ყაზარმა მეოცე საუკუნის დასაწყისში
ამენებული, აგურის პირქუში შენობაა ორი
კოშკით. საშინელებათა ზღაპრის იერი აქვს,
მაგრამ გამოირჩევა ერთი საინტერესო დეტალით:
თითოეულ კოშკზე ქვის ლოკოკინას ფორმის
გარგულიებია განთავსებული, რომლებიც თითქოს
კედელზე მიცოცავენ თავისი ნიჟარებითა და
რქებით. ბიჭუნა ფიქრობს იმაზე, რომ ისინი
ვერასდროს მიაღწევენ კოშკის გუმბათს.

თითქოს არაფერი იძვრის იმ სოფელში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაფერი მშვიდადაა. კვირა დილას ქუჩებში ჩქამიც არ ისმის, სადღაც შორს მანქანა თუ გაიხრიგინებს, და პატარა ბიჭას ხმა, რომელიც მარტო ლაპარაკობს. ყაზარმის პირდაპირ სავალ გზაზე მაღალია ხეა, კვიპაროსი, და მის ჩრდილში მოდარაჯე პოლიციელი. მას შემდეგ რაც ყაზარმაში ის სოფლელი ბიჭი ჩაცხრილეს, ამ მონაკვეთზე არ დადის არცერთი ქვეითი. ბავშვმაც კი იცის: დედამისმა რამდენიმეჯერ უთხრა, რომ იქ არ გაეკლო, და ყოველთვის, როდესაც უახლოვდება ამ ადგილს, ქუჩის მეორე მხარეს გადადის.

ბავშვს სათამაშო ხელებიდან უვარდება, საბედნიეროდ, მოაჯირის კიდემ გადაწყვეტა, რომ ქუჩაში არ გადავარდნილიყო. ცხენის ასაღებად დახრილს ქუხილის ხმა ესმის და წევს თავს მაღლა, იხედება ქუჩაში. მთელი ძალით გარბის მამაკაცი პისტოლეტით ხელში. მის უკან დაჭრილი პოლიციელია. პოლიციელი ფეხზე ვეღარ დგება. ხეს ებღაუჭება, ნელ-ნელა ქვევით მიცურავს, და ძირს უსიცოცხლო ეცემა. შეშინებული დედა გადის აივანზე და ბიჭუნას სახლში აბრუნებს, ძალით მიათრევს. აივნის კარებს კეტავს და ფარდებს წევს. თვალებში ჩასცქერის პატარას, აღელვებული, როგორც კატა, რომელიც კნუტებს დაეძებს.

- დედა, ვიტორიაში აღარ მივდივართ, ჰო?



ანტო-მენდის საბილიარდო

პატარაობისას ანტო-მენდის ბარში
ვიკრიბებოდით.
უზარმაზარი ფართობის მქონე ტაბერნა,
ბილიარდის მაგიდით ცენტრში,
ხის იატაკით.
Velvet Underground-ი
და Ziggy Stardust-ის ფონზე.
ბარის ბოლოში, გრძელ სკამებზე ახალგაზრდები
სხდებოდნენ და გაუთავებლად ლაპარაკობდნენ.
ბიჭები სხვადასხვაფრად შეღებილი თმებით,
ტყავის შარვლები და მაღალქუსლიანი
ფეხსაცმელი.
გოგოები მაღლა აწეული თმებით,
ლეოპარდის მაისურებით.
ბილიარდის მოგების შემდეგ
დიდებთან თამაშის შანსი გვეძლეოდა.
კიით ბურთის დარტყმისას,
სამაჯურების ჟღარუნი და
ყელზე მობნეული ძეწკვების ჟღრიალი.
სხვებისთვის ისინი იყვნენ დემონები.
ჩემთვის ისინი ანგელოზები იყვნენ,
რადგან მათთან ერთად ვისწავლე ფრენა.

მეზღაპრე დეიდა

შენთვის არ არსებობს „მე“. მხოლოდ „ჩვენ“ იცი.
შენთვის ყველაფერი ოჯახია,
სამეგობრო, სოფელი.
არ გიყვარს ნივთების ქონა;
შენი სამოსი ელეგანტურია, კი,
მაგრამ ცოტაა, და უბრალო.
შენი საგანძური სხვაა,
ჩვენი წინაპრების ათასი ისტორია,
როგორ მოხდა ყველაფერი,
ლამის სამყაროს დაბადებიდან.
შენი საგანძური ზღაპრებია.
და ღირსება.
აბა, სხვა რა დარჩენია დამარცხებულს?
შენ იყავი, ვინც პირველმა გამოაჩინა
არესტეს თარგმნილი ინტერნაციონალი.
როდესაც პრემიების მოგება დავიწყე
მითხარი: „არ დაგავიწყდეს, რომ ყოველთვის
მშრომელი, უბრალო ხალხი ვიყავით“.
ჰოდა ეგა ვარ, დეიდა,
მშრომელი უბრალო მწერალი.
არავინა ვარ,
არაფერი გამომიგონებია.
უბრალოდ ვყვებოდი იმ ისტორიებს
რომლებიც შენ მომიყევი.
შენს დაუსრულებელ ამბებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლში მოქსოვილი ჯემპრები

ჩვენ ვიზრდებოდით დედის ხელით მოქსოვილ ჯემპრებში,
ქუჩაში, იქ სადაც თავს ყველაზე კარგად ჩიტები და ბავშვები გრძნობენ თავს.

მდინარეში ჩახტომა გვიყვარდა უკანმოუხედავად
და მოძრავ სატვირთო მანქანებზე ძრომიალი.

ერთმანეთში ვურევდით სიტყვებს dauka ქონა და Dakar მოტანა.
ზღვის გარდა, ხომ ისედაც არაფერი გაგვაჩნია.

ყველაფერს იქიდან ვეზიდებოდით რაც გვჭირდებოდა.
სახლი კი პატარა, ხის, ძველი სახლი.

საცხოვრებლად რა თქმა უნდა ზღვა გვირჩევნია,
ჰორიზონტი და მიუწვდომელის ნატვრა.

ადრე გავიწაფეთ სიყვარულში. სმაში. ნარკოტიკებში.
შრომაც ადრე დავიწყეთ. და ზოგჯერ ნაადრევადაც მოვკვდით.

კიდევ კარგი, რომ ყველაფერზე გვეცინება,
პირველ რიგში კი საკუთარ თავზე და ძლიერებზე ამა ქვეყნისა.

ამბობენ, რომ ეუსკერა, ჩვენი ბასკური ენა, უცნაურია,
ხმამაღლა ვსაუბრობთ და ხალხი ვართ ხიფათიანი.

ვაღიარებთ, ალბათ ასეა. პირდაპირი გვიყვარს სიარული.
მაგრამ, ისიც უნდა ითქვას, რომ არ ვართ ჩაკეტილი ხალხი.

ბევრი ჩვენგანი აქ სამუშაოდ ჩამოვიდა.
გალისიელები, ანდალუსიელები, სენეგალელები.

არ ვიცი რა გითხრა, მეგობარო,
მე აქაური ვარ, ეს ჩემი ხალხია.

ჩამოდი ჩვენთან თუ გინდა, შენც მოგიქსოვთ ჯემპრს.
არ გეგონოს! ჯემპრებს ვქსოვთ სიფაქიზით.

მატყლის კი არა, სიამოვნების,
ფანტაზიის, თავისუფლებს ძაფებია

სახლში მოქსოვილი ჯემპრები.

დედის ხელით მოქსოვილი ჯემპრით ვიზრდებოდით,
ქუჩაში, იქ სადაც თავს ყველაზე კარგად ჩიტები და ბავშვები გრძნობენ თავს.

რადიომიმღები

მამამ საავადმყოფოში რადიომიმღები გვთხოვა,
საქმის კურსში რომ ყოფილიყო მოვლენების.
მისი თაობის ხალხისთვის პოლიტიკა ხომ წმინდაა:

რადიოში ახალ ამბებს რომ გადმოსცემდნენ
გატრუნულები უნდა ვყოფილიყავით ყველა, სრული სიჩუმე.
ცეცხლის შეწყვეტამდე ორი თვით ადრე გაგვიხდა ავად.

ღელავდა, წინათგრძნობა ჰქონდა, რომ საქმეს
არ ექნებოდა კარგი ბოლო; რომ ბოროტება მრავლდებოდა,
როგორც პოლიტიკაში, ისე მის სხეულში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიბადა იმ წელს, როდესაც ომი დაიწყო,
ოცდათექვსმეტში;
და მშვიდობაში აღარ უცხოვრია არასდროს.

ერთ დღესაც მისი რადიომიმღები ჩაქრა სამუდამოდ.
ცუდი ამბების გაგება არ სურდა და
ცდილობდა ჩვენ გამხნევებას,

„ყველაფერი კარგად იქნება“,
ყველამ ვიცოდით - მან ყველაზე კარგად -
რომ მშვიდობა დიდ ხანს არ გასტანდა.

ვერ მოესწრო ცეცხლის შეწყვეტას.
მას მერე ვრთავ ხოლმე რადიომიმღებს,
მაგრამ სიტყვები, რომელიც მესმის

უცნაურად და გაუგებრად მეჩვენებიან.
როგორც რაღაც კლინიკური სურათი.
მას მერე აღარასოდეს ჩამირთავს რადიომიმღები.

მირჩევნია ვიყო ჩუმად
და გავიხსენო მისი სიტყვები:
„ყველაფერი კარგად იქნება“

დონ ხუანი

მოწოდებით კონკისტადორმა
დონ ხუან დე ონ?ატემ
ვერ მოისვენა იქამდე, სანამ
ინდიელები არ დაიმორჩილა.

თუმცაღა მაინც,
ადგილობრივები ყურს არ უგდებდნენ.
თოთხმეტი ჯარისკაცი მოუკლეს ერთხელ.

დონ ხუანმა შურისძიების მიზნით,
იქვე უბრალოდ გამვლელი ინდიელები დაიჭირა,
თოთხმეტნი ისიც, და მოედანზე, შემწყნარებელმა,
არ მოკლა, თითო ფეხი მოაჭრა ყველას.

უნდოდა ყველასთვის ეჩვენებინა
რომ შემდგომში დანდობა
არ იქნებოდა არავის.

მას შემდეგ საუკუნეებია გასული
სანტა ფეს მოედნის ცენტრში მისი მემორიალი,
ცხენზე აღმართული ძეგლი დგას.

მეტისმეტად თავდაჯერებულად მაცქერალი.

მეტისმეტად ამაყი, ერთი ფეხი აკლია მხოლოდ.

მეც დავიცავ

მეც დავიცავ მშობლიურ კერას.
აბა რას ვიზამ, გაბრიელ არესტი.
ჩემი საყვარელი პოეტი.
ის სიტყვები, შავ-ბნელი
დიქტატურის დროს რომ დაწერე,
ვაღიარებ კიდევ ახდენენ ჩემზე გავლენას.

მათ ხშირად ვიხსენებ
და საკუთარ თავს ვეკითხები:
როგორ გაუძელი ამდენ
უსამართლო შეტევას ყოველი მხრიდან.
არადა სასაცილოა,
ახლა ყველა გადიდებს,
ისინიც კი, ვინც ტყავს გაძრობდა.

კარგი წიგნების წერა ჩვენში ადვილი როდია.
ბასკები სივიწროვეში გაზრდილი ხალხი ვართ,
ავად თუ კარგად.

ჯერ კიდევ შიშით ვწერთ.
წაგების, ანდა
იქნებ მოგების შიშითაც.

მაგრამ, გპირდები გაბრიელ,
მტკიცედ დავდგები,
სანამ ყურში ჩამესმის
ჩვენი ძველი მშობლიური ენა.
მეც დავიცავ მშობლიურ კერას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმცა მაინც მომეცი უფლება არ ვიყო წმინდა
ერთგული,
მომეცი უფლება შევცვალო რაღაცეები სახლში:
სხვადასხვა ფერებში შევღებო კედლები,
მივყარ-მოვყარო იაფფასიანი ავეჯი
და ჩემ სენეგალელ ძმაკაცებთან
გემრიელი სადილები გავმართო,
ქუჩაში ნაყიდი უგემური საჭმლით.

მეც დავიცავ მშობლიურ კერას,
მაგრამ მომეცი უფლება ხანდახან დავტოვო.
ჩავრაზო ფანჯრები, კარები დავკეტო,

რომ მეზობლად ეზოში ბანაკი დავცე
და ზაფხულის ღამეები გავათენო იქ ბავშვებთან
ერთად.
მეტი არაფერი, მხოლოდ ეს მინდა.

ნებაყოფლობითი ემიგრაცია

დაბერდა სოფელი, მოხუცებით სავსეა ქუჩა,
პატარები თითქმის აღარ ჩნდებიან.

აქამდე გავძელი, მეტი უკვე აღარ შემიძლია.
სამუშაო არსად არაფერია, სინდისი მქენჯნის.

დავიღალე, აღარ მინდა ცხოვრება ოცნების ამარა,
უბრალოდ ცხოვრება მინდა.

თუ მივატოვე ის, რაც ასე ძალიან მიყვარს,
დამიჯერე, დამისხლტება ხელიდან სამარადისოდ.

არ იფიქროთ ვიღებ არასწორ გადაწყვეტილებას,
თუმცა ერთხელ თუ მიიღე, უკან დასახევი გზა
არაა.

წავიდეთ სიყვარულო, წამოდით ბავშვებო,
აქამდე გავძელი, აწი მეტისმეტია.

ემიგრაციაში მივდივარ საკუთარი ნებით,
თუმცა ვიცი, რომ საკუთარი ნებით ეს არ ხდება.

პირველი დაბადების დღე შენს გარეშე

The death who had already donned your features,
The mask of his disguise.
Ted Hughes

ბოლოს სიკვდილმა იმარჯვა, ძმაო
ასე გვეგონა, გვწამდა, გვჯეროდა,
რომ ის არასდროს შეგვეხებოდა.

და ის მაშინ გწვდა, როდესაც არ ელოდი,
როგორც არასდროს წარმოიდგენდი.
მარადიული გვეგონა ეს მეგობრობა.

არაფრის გვეშინოდა, განშორებები ხანდახან
ხანგრძლივი იყო, შორეულ გზებზე დადიოდი
ხოლმე.
როგორ მიხაროდა შენი ზარის მიღება.

არავინ ჰყვებოდა ამბებს ისე, როგორც შენ:
შენგან გამოსული უბრალო სიტყვები
შეუდარებელ, ჯადოსნურ ძალას იძენდნენ.

იმ საზარელ დილას, ვიგრძენი, რომ ჩემი სხეული
ორად იხლიჩებოდა, რომ ანტარქტიდიდან
წყდებოდა ყინულის უზარმაზარი ლოდი

და ტკივილის აისბერგები, ნაპრალს შორის
ჩემი გული იფერფლებოდა, ვცდილობ გავიხსენო
ყოველი სიტყვა ჩვენი ბოლო შეხვედრიდან.

მოუსვენრად ვარ, ქუჩაში დაკარგულ ბავშვივით,
რომელიც სახლის ნომრის გახსენებას ცდილობს.
ვისაც თითებს შორის უსხლტება წვიმის წვეთები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძმაო, ახლა რაღა ვქნა.
რა მოვუხერხო ამ მგლებს შუა ზამთარში,
როგორ მოვიქცე საკუთარ შავბნელ ფიქრებს
ამარა.

შენ მათ აფრთხობდი ასე ადვილად
შენს სიტყვებს ჰქონდათ მკურნალი ძალა
გინდაც მათ სულაც არ ვიაზრებდი.

შენთვის კარგი მეგობარი ვიყავი, როგორც
ამბობენ ისინი, შენ კი ჩემთვის მეგობარზე მეტი,
შენ ჩემთვის ძმასავით იყავი, და ძმაზე მეტიც.
ამას წინათ სიზმარში გნახე
მეუბნებოდი ოპტიმისტურად: „ნურაფრის გეშინია,
ვერ ვნახავთ ერთმანეთს, მაგრამ ლაპარაკს
შევძლებთ“.

ასე, შენგან სიტყვებს ყოველთვის ველი,
როგორც მაშინ, სამოგზაუროდ რომ მიდიოდი
ხოლმე,
ვამაყობ, გული მაქვს მტკიცე,
მე მყავს ძმაკაცი, მას არასდროს არ დავკარგავ.

სუბიბარი

სუბიბარის უბანში უამრავი ხალხი ცხოვრობდა
უწინ:
პიშეროები, სანტანები, ჩაილ?ეები...
მდინარის პირას სახლობდნენ,
უბრალო ხის ქოხებში,
კონსერვების ფაბრიკის უკან.

ბავშვები თავისუფლად დარბოდნენ სახლიდან
სახლში,
კარები არასდროს იკეტებოდა.
ბანაობდნენ არტიბაის ჭუჭყიან წყალში
და თამაშობდნენ ყველაფრით რაც
ძველ საწყობებში ხელში ხვდებოდათ.

შობა-ახალ წელს
ყველას ჩუქნიდნენ თოჯინებს
ძველი საბნებისა და შალის ნაჭრისგან
დედების ხელით მოქსოვილ სათამაშოებს.
მრავალრიცხოვანი ოჯახები იყო უწინ.

იმ პატარა სახლებში უამრავი და-ძმა იზრდებოდა.
მაგრამ ზოგმა მაინც შეიფარა უპატრონო ბავშვი
სატურარანის ქალთა კოლონიიდან.
არაფერი ჰქონდათ და მაინც ყველაფერს
გასცემდნენ.

უბანი მთლიანად დაინგრა.
პიშეროები, სანტანები, ჩაილ?ეები
საცხოვრებლად სხვაგან წავიდნენ.

ძველი ხის სახლების ადგილას
ახლა გზატკეცილი გადის.

გორაკი კომერციული ცენტრით დამშვენდა
და ახლა უკვე ყველა იქ ყიდულობს თოჯინებს,
სათამაშოებს, რომლებსაც მთელ მსოფლიოში
ნახავ.

სენი მჭირს რაღაც

სისხლის სენი მჭირს რაღაც.
ბევრი რკინა მაქვს.
როგორც ჩანს, მას წარმოშობს გენი,
რომელიც გადაეცემა თაობიდან თაობას.
ექიმი ამბობს, რომ ეს სენი,
ერთგვარი თავდაცვის მექანიზმია,
რომელიც ათასობით წლის წინ შეიქმნა.

თურმე იყო დრო, როდესაც ჰომო საპიენსი
იღებდა ბევრ ჭრილობას,
ომში თუ ნადირობისას.
რკინის შემცველობა სისხლში, როგორც ამბობენ,
დიდი უპირატესობა იყო მაშინ.
მაგრამ ახლა ეს რკინა, როგორ ჩანს,
სრულიად ზედმეტია.
სისხლში ფუჭად გროვდება,
ომისა და ნადირობის გარეშე.

სამეცნიერო კვლევებიც ეძღვნება
თურმე ამ ჩემს დაავადებას.
შემთხვევების უმრავლესობა, როგორც ჩანს,
ბასკეთსა და პირენეების უღელტეხილზეა,
როგორც ერთგვარი გენური სიწმინდის ნიშანი.

ჩემი ექიმი ამ ყველაფერს
ისეთი ენთუზიაზმით ყვება
ისე, თითქოს მეგობარს
კარგ ფილმს უყვება.
ზუსტად იმ დროს
როდესაც მე საკაცეზე სისხლისგან ვიცლები.
სისხლის დაღვრა ერთადერთი
საშუალებაა ამ სენთან ბრძოლის.
(მარტივი, როგორც პრე-ისტორიული იარაღი)
ნახევარი ლიტრი თხუთმეტ დღეში ერთხელ.

და ყოველ ჯერზე, როდესაც
ნემსს მირჭობენ ვენაში,
ჩემი წინაპრები მახსენდება,
ჩემი ჯიში ასეთი სუფთა:
და საკუთარ თავს ვეკითხები,
რატომ არ დამინდეს
რატომ არ გაერივნენ სხვებს თავის დროზე
სულ ცოტა მაინც,
სულ ცოტათი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიმიტრი წიკლაური

ბუკინისტი

1.

სამყაროში, სადაც ერთდროულად ათასი რამ ხდება, კანონზომიერების ძიებას ჩიხში შეჰყავხარ. ელვას სიცოცხლის სიმცირედ მოგაჩვენებს, ხოლო მდინარეს დროის დინებად, ხან ჩქერებად, ხანაც მდორედ. ქარს კი ისე აყურადებ, გეგონება მოკარნახის ჩურჩულს უსმენდე. მრატე ბგერები - საქონლის ბღავილი, მწყემსის გადაძახილი თუ ეფვნების ჟღარუნი, - გარეუბნამდე ძლივს აღწევს. უსიერ ტყესავით მჭიდროდ განლაგებული სახლების ფერხთით წვრილი ჩრდილები გაწოლილა, ზოგან მოზრდილი ნამტვრევები დახეთქილ ასფალტზე მიწის ბელტებივით არის მიმოყრილი. უკანასკნელი შენობები სოფლის მიწებს ესაზღვრება, სადაც რეალობის ხალხი სახლობს. მათხოვრულ ხელფასზე მცხოვრებთაც, ყეყეჩი გამომეტყველების მიუხედავად, ფუნდამენტური წარმოდგენა აქვთ სახელმწიფოს გონივრულად მოწყობის თაობაზე. შეზღუდვებით განპირობებულ დარდს, მზერიდან რომ გამოსჭვივით, გულში გაჩენილი ბზარები დაშრეტს. მაგრამ ნაპრალი გაორებასაც ნიშნავს, უფსკრულის აქეთ-იქით ყოფნას და ისეთ განწყობას ქმნის, აქაურობა ღვთისგან მიტოვებულ მხარედ აღიქვა, აქაურები კი ღვთის პირიდან გავარდნილებად. გულგრილობის გამოხატვა ახალგაზრდებს სტვენით სჩვევიათ. მოხუცების შეგონებას, ანგელოზებს ნუ აფრთხობთო, აინუნშიც არ აგდებენ და თავისას განაგრძობენ, თანაც ერთგვარი აზარტით. ეზოებში მოფუსფუსე მოსახლენი ფრინველთა ფრთების ფათქუნით ხვდებიან, მათ რომ ჩაიარეს, ხოლო გზატკეცილს ჩიტების ქუჩა ჰქვია.

2.

სანამ საარჩევნო ხმების მოპოვებით დაკავდებოდი, ათასგან მივედ-მოვედე. ერთხანს რკინეულობის საწყობში ვსაქმიანობდი, სამჭედლოებით გადაჭედილ უბანში. მოყანყალებულ ტაბურეტზე მჯდარ დარაჯს მზერა ჯიბგირისას მიუგავდა. ყალიონს რომ მოქაჩავდა, ზედ ტკივილგამაყუჩებელ აბებს მიაყო-

ლებდა, გეგონება თავის მოკვლა ჰქონოდა განზრახული. ჯამაგირი წამლებში მისდიოდა, დანაზოგს თამბაქოში ხარჯავდა. იქნებ ცოტაოდენს გადადებდა კიდეც. მისას რას გაიგებდი. ხუხულასავით ფარღალალა ბუდრუგანას, სანყობის კედელზე რომ აყუდებულიყო, დროდადრო ისე გახედავდა, თითქოს სასახლის მფლობელი ყოფილიყოს. ფეთიან ღამეებს იქ ათევდა და მიტოვება რომ ეიძულებინათ, ტაბურეტსაც დაავლებდა ხელს. თუმცა დარდი ხელბარგზე მეტად დაამძიმებდა, დარაჯის თანამდებობას იმხელა პასუხისმგებლობით ეკიდებოდა. ერთფეროვანი დღეები მაშინ გასრულდა, მომწოდებელმა ყალბი საკეტების დიდი პარტია რომ შემოგვასაღა. საქმე იმდენად წამგებიანი გახდა, ზარალს ვეღარ ავუდიოდით. ვალებში ჩავარდნილმა მფლობელმა ერთადერთ გამოსავლად ქონების მოშორება მიიჩნია. თუმცა აღებული ფული რამდენ ხანს გასწვდებოდა. მან ტერიტორია მშენებლებს მიჰყიდა, საცხოვრებელი კორპუსის აშენება რომ განეზრახათ, თავი კი ვერაფრით მოაბეს. ძველი შენობა მარჯვედ კი დაანგრიეს და დარაჯის ბუდრუგანაც ზედ მიაყოლეს, მაგრამ მტვერი რომ გაიფანტა, ირგვლივ დაცვენილი ნაფშვენები კარგა ხანს არც გაუხვეტავთ. უმოქმედობას თანხების მოლოდინით ამართლებდნენ. სამუშაოდ დარჩენაზე უარი განმიცხადეს, ხალხი ისედაც ბლომად გვყავსო. მერე გული მოულბათ და ოქროს მომპოვებლებთან დაკავშირება მირჩიეს. შავ-თეთრად რუკაზე ჰქონდათ საბადოს კოორდინატები აღნიშნული. კარიერი აქედან კარგა შორს მდებარეობდა. დიდ ხანს ვეხეტე და, როგორც იქნა, მივადექი. ციებ-ცხელებით შეპყრობილი ბანაკი ორთქლის ქვაბივით დუღდა, თითქოს ქვიშაში თავჩარგული პრეისტორიული არსება ქშენით ღაფავსო სულს. ზოგადად, ახალი საქმის დაწყება, პირველ რიგში, ხელშეკრულების დადებას გულისხმობს, თანამშრომლობა კი ექვსი თვით გამიფორმეს. ალბათ, თავიდან ადვილად რომ მოვეშორებინე. მერე ვიღაც კეთილისმყოფელი გამომელაპარაკა, ბოხი ხმა რომ ჩახლეჩოდა, შენ ჯერ ახალებედა ხარ, საზრიანობა კი ზოგჯერ საზიანოა და პროტესტს ფუჭად გამოთქვამო. თურმე პირველ ჯერზე ყველანი ამ ვადით აჰყავდათ. იგი ყავრით გადახურულ ლუდხანაში წამიძღვა, სადაც ცოტაოდენი არაყი მოატანინა და წვრილმანებზე შევყევით ბაასს. მეტსახელად ჩუგოს ეძახდნენ. მაღალი, ხმელ-ხმელი კაცი იყო. თივის ზვინივით აწოწილ ტანზე კიდევ უფრო დიდი ზომის კომბინეზონი ჩამოეცვა და ისე გამოიყურებოდა, თითქოს ტომარაში მჯდარიყოს. როცა კარიერში დინჯად მიმოდიოდა განუყრელი ნიჩბით, ბრძოლის ველზე მოხეტიალე მესაფლავეს ჰგავდა, გეგონება გვამებს დაეძებსო დასამარხად. დაზიანებული ფილტვების გამო ძლექიანივით ახველებდა. მთელ ბანაკს ეღვიძებოდა და ძილს ვეღარ იბრუნებდნენ. მაგრამ ვერც თქმას უბედავდნენ და დაჭყეტილი თვალებით უცდიდნენ მზის ამოსვლას. ჩუგოც გამჭოლი გაბოხედვით მიშტერებოდა მათ. ერთი სული ჰქონდა, რამე დასცდენოდათ, სასტიკად რომ მიეზღო სამაგიერო. ვისი ნარსულიც ბრძოლის ველია, მზერაც დაცლილ ვაზნას მიუგავს. ფერმკრთალი სახე განთიადივით გასცრეცია, ზეზეური ძილი კი იმ ხეებს ამსგავსებს, ქარით დაზნექილ ანძებივით რომ ჭრიალებენ ცხოვრების მღელვარებაში. მანერებს, რომლებსაც ჩუგო ფლობდა, ციხეში დაჩვეულიყო, ხანგრძლივად რომ ეხება მანამ, მაგრამ ეს ცოდნა მხოლოდ იქ თუ გამოადგებოდა.

- თაღლითობაზე ვიჯექი! - გამანდო მან, - დიდი ამბით ჩამსვეს, გეგონება ამ თვისებას კოლონიაში გადამაჩვევდნენ. არადა, უფრო გავიღრმავე. გარეთ რომ გამოვედი, სარკმლები გისოსებად მეჩვენებოდა. საძინებელ ოთახს სატუსაღოდ აღვიქვამდი. თუმცა იქ მიბრუნებას სიკვდილი მერჩივნა. პატიოსან შრომას არაფერი სჯობს! - ეს სიტყვები ისეთი მიამიტი გამომეტყველებით და მგზნებარე პათოსით წარმოთქვა, თითქოს მისი საყვარელი საქმიანობა ჰამაკის გამართვა, ყვავილების მორწყვა და ჩიტების საკენკით უზრუნველყოფა ყოფილიყოს. ციხის თემას ხშირად უტრიალებდა. აბა, მეტი რა გაეხსენებინა. მჭევრმეტყველება ისეთი ჰქონდა, ქვას გახეთქავდა. ტიფი უტიფარი ისეულებააო, იტყოდა. იქ შეგეყრება, სადაც არ ელი, დამწვარ ტორფებსა და დასახერხად გამზადებულ მორებთან, ხემში მასალა ფიცრებად რომ გვექციაო. იმ ყიამეთში ამინდებიც ისეთი იყო, ავადმყოფთა საშველად მოხმობილი ექიმბაშები სამკურნალონი თვითონვე ხდებოდნენო. მოკლედ მრავალი ჭირი გამოევლო. ტკბილად კი მხოლოდ იქიდან წამოსვლას იგონებდა:

- თოვას რომ იწყებდა, მატარებლები თეთრად იპენტეებოდა. განძელებთან დაყრილი ხრეშიც თოვლით იფარებოდა. ვაგონები პრიალა ლიანდაგებზე ქსუტუნით მოჯაყჯაყებდნენ, მემანქანეების მსგავსად მათაც ციება შეჰყრიათო. მგზავრთა უმეტესობა ყოფილი პატიმრები იყვნენ, ჭკუიდან გადამცდარნი რომ ბრუნდებოდნენ რომანტიკულად განწყობილ მოხალისეთა დასამოძღვრად. მერე უკუღმართობისთვის განკუთვნილ გასაყართან ემშვიდობებოდნენ, გისოსებით დაგმანულ ეშელონებთან, გეგონება სწორ გზამდე მიაცილესო. იქ კიდევ დაარიგებდნენ, უდაბნოში დაკარგვისას აყლაყუდობა სჯობს, მექარავნეების თვალთახედვაში რომ აღმოჩნდეთო, ციხიდან გაქცევის შემთხვევაში კი მორჩილი ტანი გერჩივნოთ, მდევრის ტყვია იქნებ როგორმე აგცდეთო. ეს უსაგნო და უმაქნისი ლაპარაკი იყო. რა უნდა ეღონათ.

ჩუგომ ერთხელ მკითხა, აქედან წასვლა რომ მოგიწევს, რას აპირებო. ქალაქში გადავბარგდები-მეთქი, ვუპასუხე. ცოტა თუ არ შეიბერტყე, ხელი არც იქ მოგემართებაო, გამიმხილა დინჯად, გეგონება მწყევლისო. წესიერება იშვიათი ხილია, ზონაზე ასეთი არავინ მინახავსო.

- თუმცა ერთხ კი ვიცნობდი, - გამოცოცხლდა უცებ, - აბდია-ფილოსოფოსს ვეძახდით. უცნაური ვინმე იყო. მუდამ სიკეთის ჩამდენი. საშიშ ბოროტმოქმედებსაც რაიმე გამართლებას მოუძებნიდა და მათ შეგონებას დიდსულოვნად მოჰყვებოდა. საწყალი ხალხის დანახვაზე თუ წუხდებინ, გული ჯერაც ცოცხალი გქონიათო. სახელმწიფომ ხომ არ იცის, ვინ დაიჭიროს. აბა, ასეთ კაცს ციხეში რა უნდოდა. პატიმრებმა თავიდანვე აითვალწუნეს. ჯერ გამოჰკითხეს, რაზე ზიხარო და წიგნების დანაკლისზეო, უპასუხა ამანაც. მომპარავად ჩათვალეს და რა მოხელე ხარო, დაინტერესდნენ. მეო, ბუკინისტი ვარო.

სანამ ამ სიტყვის მნიშვნელობას გაიგებდნენ, ბლატართა ერთგვარი ნაირსახეობა ეგონათ. მერე კი გარიყეს და დაცინვა დაუწყეს, მაგრამ სალანძღავ სიტყვებს ყურს ისე უგდებდა, თითქოს მტრედების ლუღუნს უსმენსო. გისოსებიდან რუხ ცას მოწიწებით ასცქეროდა, გეგონება ტაძრის გუმბათი დაენახოს. მხნედ იქცეოდა, მაგრამ როგორც კი რეალობა მკაცრად შეეხო, სათვალიდან უსასო ყურება დასჩემდა, გამადიდებელი შუშები სახეზე არ მიმაფშვნანო. არადა მისი უბადრუკობის შემყურე, ჯადოქარიც კი ხელს ჩაიქნევდა, ეს ჩემამდე უკვე დაუწყევლიათო. პატიმრები ცემა-ტყეპას არ აკლებდნენ და მშიერიც ხშირად რჩებოდა. ერთხელ მთლიანი ულუფა წაართვეს, სხვა დროს ცოტას მაინც თუ უტოვებდნენ. ეს ამბავი გახმაურდა და ჩვენების მისაცემად დაიბარეს. მე თვითონ გადავყარეო, დაიჩემა. ზედ შხამიანი ბაღლინჯოები ესეოდნენო. ულუფა თუ მოწამლული იყო, სხვებმა როგორღა შეჭამესო, დასცინეს. რაც არ დამინახავს, ვერაფერს გეტყვით, მე უმნიშვნელო უწესრიგობასაც მნყობრიდან გამოვყავარ, ისინი კი ალბათ უფრო ამტანები არიანო. ასეთი იყო. შარში არავის გახვევდა და ეს დიდად დაუფასეს. როცა წიგნების მნიშვნელობაზე ლაპარაკობდა, ყურადღებით უსმენდნენ. კითხვა გვეზარება და რა ვქნათო, შესჩივლეს. ძილის დროს წიგნი ბალიშის ქვეშ დაიდეთ და დაგესიზმრებათო. ვისაც არ დაესიზმრება, მისი ინტელექტი ნულის ტოლი იქნებაო, გაგვაფრთხილა. თითქმის ყველა პატიმარი ჩაეწერა ბიბლიოთეკაში. მერე ერთმა თქვა, დამესიზმრაო, მაგრამ შინაარსი დიდად ვერ გამოვიტანეო. მას ურჩია, მეორე დღესაც დაედო წიგნი ბალიშის ქვეშ. ცოტაოდენ გადაკითხვას შეეწივნენ, წარმოდგენა რომ შექმნოდათ მასალაზე. მოკლედ, მთელი ზონა კითხულობდა. განაბები წვრილმან საქმეებსაც მაღალფარდოვნად არჩევდნენ. უფროსმა აღარ იცოდა, რა ეფიქრა. შიშობდა, ამბოხების უცნაურ ნაირსახეობასთან ხომ არ მაქვს საქმეო. ამიტომაც სამაგიეროს გადახდა მოინდომა მასზე, მაგრამ აბდია ერთადერთ დასჯად იმას მიიჩნევდა, ციხის ბიბლიოთეკაში შესვლას თუ აუკრძალავდნენ. სინანული არ მაქვს-მეთქი, გავუმხილე ერთხელ. ჯვარცმას ხშირად უყურეო, მირჩია. ციხიდან რომ გავიდა, ამბავი მოიტანეს, ბუკინისტად დგასო ქალაქში. ჰოდა, რახან იქ აპირებ წასვლას, შემთხვევით სადმე თუ გადაეყარე, ჩემგან მოკითხვა გადაეცი!

ჩუგო ცოტა სნობი კი იყო, თითქოს ყველა ტიტულიანისთვის ერთად უნდა მოეყარა თავი. ბოლო ხანს მშფოთვარე ცხოვრებას აღარც ეწეოდა, გეგონება დამსწრის ჩაფხუტი ჩამოიცვაო, შორიდან აკვირდებოდა მოვლენებს. არც კარიერის მფლობელთა აღტყინებას იზიარებდა, სურვილების ჭურჭელს უძირო ფსკერი აქვსო. რამდენი ოქროც არ უნდა მოიპოვონ, მაინც ვერ იკმარებენო. მართლაც, როცა კარიერი გაიცალა, შემდგომ ძიებაში აქტიურად ჩაგვრთეს. ჰექტრობით მიწა ამოვაბრუნეთ, მაგრამ ფუჭად დავშვერით. ხელის ჩაქნევამდე არაფერი გვაკლდა, როცა ახალ საბადოს გადავაწყდით. მონაპოვარს ოქტომბრის ოქრო ვუწოდეთ, რახან შემოდგომა იყო. უვარგისი მასალა გორგოლაჭებით გამოგვქონდა, ჩვენს გასხვრივ ზვინად რომ აღიმართა. უამრავი საქმის გამო ბორბლების დაზეთვა გვავიწყდებოდა. მომაბეზრებელი ჭრიალი ახლაც ყურებში მიდგას. იმდენი ქვა-ღორღი გროვდებოდა, გატანას ვეღარ ვასწრებდით. არც მზისკენ ვიხედებოდით, მტვრის ბუღი ისე გვაბრმავებდა. ფეხსაცმელებიც ბლომად გავცვითეთ ოღროჩოღროებში აქეთ-იქით სიარულით, მაგრამ რახან შემოსავალი გაგვიორმაგდა, არაფერზე ვჩიოდით. ოქროს ისეთი შეჩვევა სცოდნია, მის სიახლოვეს სუნითაც კი ვგრძნობდით. თუმცა ეგებ ესეც ციებ-ცხელების დამახასიათებელი სიმპტომი იყო. ქვიშა უდაბნოს ვრცელი სხეულია, გამომშრალი და ფაშფაშა. ზედ გადაჭიმული გზა კი ვიწრო სარტყელს ჰგავს, გაფხრეწილი ტომრიდან წვრილად გადმობნეულ მარილს. ამ გზას მეც დავადგებოდი, როგორც კი ფინანსურ საკითხს მოვაგვარებდი. ვაგლახ, ჩემი გაქანების ხალხისთვის ფული მხოლოდ ჯოჯოხეთში იშოვება, სადაც ნათების ერთადერთ წყაროს წარმოადგენს და მნიშვნელობა აღარ აქვს, მის რომელ მონაკვეთში მოღვაწეობ. თავს მოსვენებულად მხოლოდ საკუთარ ჭერქვეშ გრძნობ, უცხო გარემოს კი იძულებით ეჩვევი. სავალი ტალახითაც რომ იყოს დაფარული და გატოპვა გინევდეს, გზის გაგრძელება არსებობის განვრცობას ემსახურება მხოლოდ და არა გამოსავლის ძიებას. ბოგანოთა შორის ბოგინმა გამჭრიახობა შემძინა. კარიერში ჩუგოს გარდა კიდევ ათასი ჯურის ადამიანს გადავეყარე, თავიანთ გასაჭირს მდუმარედ რომ უმკლავდებოდნენ. მზის სიმხურვალით გაუფერულებულ მათარებს ოაზისში ყინულივით ცივი წყლით ვავსებდით, მაგრამ უმალ თბებოდა. გემოს ვერ ვატანდით და წყურვილის მოკვლა არ გვეღირებინა. ყელი ისე გვიშრებოდა, თითქოს ქვიშის მარცვლებით აგვსებოდა. იმ ადგილს ნეტარად წარმოვიდგენდით, სადაც ცივ ბეტონს ფიფქები აცვივა. აქ კი ფერფლივით ნაცრისფერ ფანტელებს ვუშვერდით ცეცხლზე გარუჯული სახეებს. თანაც ჩვენი მეთვალყურეობა შეშლილებს ებარათ, გარეთ გამოსვლისას ზედმიწევნით რომ გვჩხრეკდნენ, თუმცა რას მოუხერხებდნენ სიმინდის გაცრილი მარცვლების მსგავს ნარევს, ჯიბეებში რომ ჩაგვყოფოდა. ქურთუკის სარჩულებიც ყვითლად გვიბზინავდა. მის ნაკეცებში ჩარჩენილ მტვერს ხშირად წავწყდომივარ, ბერტყვისას მზის შუქზე ციალი რომ გაჰქონდა.

- ტყვეებივით გვექცევიან, თითქოს მონათა ბაზარზე წასხმას გვიპირებდნენ! - გაისმოდა ჩივილი.

- გადასახლებას ნუ შეაღრით! - შფოთავდა ჩუგო, - ეს ავი ნაგაზივით მყეფარე სიტყვაა, სინონიმი რომ არ გააჩნია. ცხოვრებაში ერთფეროვანი დღეები ხშირად დგება, თითქოს უდაბნოს გავლა გვინევდეს. გზას ზოზინი განვაგრძობთ, ხრწნილებას რომ შევეგუოთ, სიკვდილის მოწმე გავხდეთ და სამყარომ შეგვირიოს. ხორცი მიწად გვექცეს, ძვლები ქვებად, სულმა კი ლაჟვარდებს მიაშუროს. ვრცელი მიწა აუარება ნამეცეცისგან შედგება, აღრიცხვას ფუჭ საქმედ რომ წარმოაჩენს!

მერე ჩვენ დიდხანს გავყურებდით უსაზღვრობის ზღუდედ ქცეულ დასალიერს, თუმცა, როგორც ჩვეულებრივ, ყველაფერს აქვს დასასრული, ერთ დღესაც ეს კარიერიც გაიცალა. შემდგომი ძიება კარგა ხანს გაჯანჯღლდა უნაყოფოდ. ერთ დღესაც მფლობელებმა თავი გაკოტრებულად გამოაცხადეს, დღეიდან თქვენს თავს თვითონვე მიხედეთო. ჩუგო ოკე-

ანისკენ გაემართა ალმასის საბადოებზე, მე კი ქალაქში გადავბარგდი. იქ დამკვიდრება მიჯობდა, სადაც ფულის მეტი ნიშნები ტრიალებდა და ცოტაოდენს გადახურდავებითაც ვიშოვიდი. ოთახი მაღალსართულიან კორპუსში ვიგირავე, ქალაქის გარეუბანში რომ მდებარეობდა და ოდესღაც რომელიღაც გაუქმებული სასწავლებლის საერთო საცხოვრებელი ყოფილა. ასე თანხაც დამეზოგებოდა. ვალებში ჩამხრჩვალი ინტელიგენტები ზედა სართულებზე დაბინავებულიყვნენ, ქირა ნაკლები რომ გადაეხადათ. ქონება, რომელიც ოდითგან მოსდგამდათ, ბოჰემურ წრეებში ტრიალით გაფლანგეს, მაგრამ რახან ყოფილი არისტოკრატები იყვნენ, ქედმაღალ თვისებებს ვერაფრით დათმობდნენ. ხატოვნად ლაპარაკი მაშინაც სჩვეოდათ, როცა ავადან მსჯელობდნენ. ზოგჯერ ისეთ იშვიათ ზედსართავებს წარმოთქვამდნენ, ჭარმაგ ფილოლოგებსაც რომ შეშურდებოდათ. მონყალების ნიშნად მდაბიო წარმოშობის ადამიანებსაც მაღალფარდოვნად ლანძღავდნენ. ისინი მნიშვნელობას ვერაფრით ხვდებოდნენ და ხოტბად აღიქვამდნენ. გასუსულები უსმენდნენ, თითქოს ერთი სიტყვაც არ უნდა გამორჩენოდათ. გაცნობის დღიდან მახინჯ და უჯიშო არსებად მიმიჩნიეს, რასაც სარკეში ჩახედვისას კატეგორიულად არ ვეთანხმებოდი. ეტყობა მოწყალე ბუნებამ ადამიანს ზუსტად იქ განულაგა თვალები, საიდანაც ყველაზე ლამაზად გამოიყურება. თუმცა არ ვბრაზობდი და ერთ მათგანზე გულიც კი შემივარდა, მზერითაც რომ მაგრძნობინებდა, მისი ტოლი და სწორი რომ არ ვიყავი. მის შოლტივით მოქნილ ტანსა და ფეერუმარილით გათხუნილ სახეს თვალს ვერ ვაშორებდი. თმის ვარცხნილობაზე ხომ საერთოდ ვგიჟდებოდი. რას არ გავიღებდი, ოღონდაც მისი ყურადღება მიმეპყრო, ხოლო პრეტენზიების აღსრულება ჩემი ცხოვრების მთავარ საქმედ მექცია. თავისი უბადლო სილამაზის ფასი მშვენივრად იცოდა. სჯობდა, არც კი მეოცნება და ის ერო გამეხსენებინა, ნიჩბით ქვიშას რომ ვაყრიდი ჟანგიანი მავთულებით მჭიდროდ აკინძულ საცერს, იქნებ ოქროს მცირედი მარცვალი მაინც შერჩენოდა. გაკოტრებული მდიდარი გაცილებით საცოდავი სანახავი ყოფილა, ვიდრე ღარიბი, რომელიც არასდროს გამდიდრებულა და ჩვეულებრივ აგრძელებს ცხოვრებას.

ერთ დღესაც ფული გადავითვალე და ბევრი არაფერი დამრჩენოდა. ამიტომაც სამუშაოს ძებნას გულდასმით შევუდექი. უცხო დანესებულებებში კარს ზედიზედ ვაღებდი, ზღურბლიდანვე რომ შემეძახა, თანამშრომელი ხომ არ გჭირდებათ-მეთქი. ერთგან პარტიის აქტივისტებმა მიმიხმეს და ვინაობა გამომკითხეს. სერიოზული ხალხი ჩანდა. მნიშვნელოვანი წინადადებებით აჭრელებულ მუჭობით ფურცელს ჭმუჭნიდნენ ურნაში ჩასაყრელად. ტექსტის ძირითადი ნაწილი ლაყბობისგან შედგებოდა, ყოველი განხილვა რითაც სრულდებოდა. ამ საქმეში დიდად გაწაფულნი იყვნენ და რაღაცას რომ აიკვიატებდნენ, საკითხის ამოწურვამდე სჩვეოდათ მიყოლა. პირველივე დღეს ლოზუნგების დასტა შემომაჩერეს და აფიშების გამკვრელად დამიქირავეს. ნება დამრთეს, მექადაგა კიდეც. მალე ისე გავიქექე, მიტინგებზე ასობით კაცს ვუყრიდი თავს. აქციაზე იმდენი მოდიოდა, აუქციონი გეგონებოდა. მალე ხმათა მოპოვების ჩემებური მეთოდი გამოვიმუშავე. ხალხის რაოდენობით თუ ვიმსჯელებდით, მშვენივრად ამართლებდა. ამომრჩევლებთან შეხვედრის დაბოლოება ხომ ჩვეულებრივ დაბოლებაა, მე კი დაპირებებით თავს არავის შევაწყენდი. მხოლოდ იმას ვამბობდი, რომ მათ ყოფას უკეთესობა დაეტყობოდა. დაეტყობინა განხილვას თავს ვარიდებდი და მიტინგის ჩატარების მისამართს ვუმხელდი. გამოცხადების პირობას რომ ჩამოვართმევდი, უწყისს ვავსებინებდი, ხმების დასათვლელად გვჭირდება-მეთქი, მყისვე ახლის ძებნას რომ შევდგომოდი. შედეგით ლიდერები კმაყოფილნი რჩებოდნენ და თანხებსაც შესაბამისად მიხდიდნენ. ფული საკმარისად დამიგროვდა და ცოტა სული მოვითქვი. შემეძლო, ხანდახან რესტორანსაც ვწვეოდი ვინმე ლამაზმანთან ერთად. თუკი მიუკადრისებდა, სხვა თემაზე ჩამოვუგდებდი სიტყვას. ძირითადად, პოლიტიკაზე ვლაყბობდი, გეგონება ამისთვის დამებარებინოს. დაბნეული ჩანდა და გამჭოლი მზერით ცდილობდა, როგორმე ჩემი განზრახვა ამოეცნო. თუმცა ხმას არ იღებდა ქარაფშუტობის დასაფარად. თუკი მეოჯახე საქმროს გამოჭერა უნდოდა, მე არაფერში გამოვადგებოდი. არც თანამდებობა მაინტერესებდა დიდად. ჰაიჰარად ხეტიალი მერჩივნა. აქტივისტებს თავიანთ რიგებში შესვლა რომ შემოეთავაზებინათ, უარს განვუცხადებდი, მიუხედავად იმისა, რომ შიდა სამზარეულოს უკეთ ზედმიწევნით გავცნობოდი. ყველაზე მთავარი უცხო ტერმინებში განაფვა იყო მსჯელობის ნიუანსებში გასარკვევად. დანარჩენს წვრილმანები შეადგენდა.

ერთხელაც აქცია ქალაქის გარეუბანში გაიმართა, ყაზარმის მოედანზე, ჩიტების ქუჩა რომ ერქვა. მოპირდაპირე მხარეს ბუკინისტური მაღაზია შევნიშნე, სადაც კითხვით დაღლილი კაცი იჯდა სქელი სათვალით. დარწმუნებული ვარ, ორასი მეტრის გარშემოწერილობაში ყველაზე ჭკვიანი იქნებოდა. ამ ორას მეტრში საკონდიტრო მაღაზია, სალონი და ბენზინგასამართი სადგური მდებარეობდა. აგრეთვე გოგირდის აბანო, საიდანაც ამოსული ორთქლი ბოლქვებად იფანტებოდა ჰაერში. მექისეებიც ბლომად ეყოლებოდათ. ბუკინისტური მაღაზიის აბრაზე წერილად ეწერა: - ვიბარებ წიგნებს. - ეს იმ პირობით, თუკი რამდენიმე ძველ წიგნში ერთ ახალს დასჯერდებოდნენ. მაგრამ საკვები ფულის შოვნით დაღლილ მოსახლეობას გამოგონილი ამბები სულაც არ აინტერესებდა. ამ წიგნებს ბიუჯეტიდან დაფინანსებული ბიბლიოთეკები თუ შეიძენდნენ გადარიცხვით. მყიდველი იშვიათად შემოიჭყეტდა, ისიც ვინმე ტურისტი, მასალას დიდხანს რომ უკირკიტებდა, აქაურობის სულში უკეთ ჩასაწვდომად. არადა, კეთილშობილ საქმეთა ისედაც მშრალი ნუსხა დავიწყებას რომ არ მისცემოდა, ამ წიგნებში იყო თავმოყრილი, რომლის თავზეც ჯვარცმა ეკიდა, თითქოს მაცხოვარი ადამიანთა უბადრუკ ნააზრევს მოწყალედ დასჩერებიაო. ბუკინისტთან გამოსალაპარაკებლად მაღაზიაში შევედი. მომცრო ოთახი მყუდროდ მოეწყო. თაროზე რაც ვერ დაატია, შეკვრებად ეწყო. ძირითადად, ერთი და იმავე ავტორის ტომეული იყო. წიგნების უმეტესობა იმ ენაზე დაებეჭდათ, პოპულარულობას დღითი დღე რომ კარგავდა. ჭრიალა ტახტს ჭრელი ნაჭერი ეფარა, ხოლო თავთით მუთაქა იდო,

რომელსაც, ძირითადად, ბებრები ეტანებიან. ბალიშზე თავის დადება ახალგაზრდებს ურჩევნიათ. მაგიდაზე ჩარჩოში ჩასმული ქალბატონის ფოტო იდო.

- ეს თქვენი გულისწორია? - ვკითხე რატომღაც.

- დედაჩემის ახალგაზრდობის ფოტოა! - მიპასუხა მან.

უხერხულობისგან პატიება ვითხოვე. თქვენ ხომ ამის შესახებ არ იცოდითო, გამიღიმა. უცებ ზღურბლზე თავშლიანი ბებიაქალი გამოჩნდა, ხელში გაცვეთილყდიანი რეცეპტების წიგნით რომ დაეკავებინა. თეთრად აქერცლილ მუყაოს ფქვილის ნარჩენები აჩნდა და ნამცხვრების სურნელიც ეფრქვია. ოთახში რის ვაი-ვაგლახით შემოჩლახუნდა. წიგნი გამჭვირვალე ქსოვილში გაეხვია ეტრუსკების ნაქონ ძვირფას ეტრატივით. ბუკინისტმა ისეთი მონიწებით ჩამოართვა, გეგონება განძის ზარდახშას სთავაზობდნენ. ორიოდე გვერდის გადაფურცვლის შემდეგ აღტაცებით განაცხადა, ვეჭვობ, ამდენი ფული მქონდესო. მერე უჯრა გამოაღო და ქაღალდის ბანკნოტები და ცოტაოდენი ხურდა მაგიდაზე მიმოაბნია, რომელსაც ბებიაქალი დაბნეული დასჩერებოდა. იქ ათჯერ მეტი მაინც იყო, რის მოთხოვნასაც აპირებდა, მაგრამ ბუკინისტი ჯიუტად წუხდა, სულ ესაა, რაც დამრჩენია და თუ ეყოფა, სიამოვნებით შევიძენო.

- ეყოფა, როგორ არ ეყოფა! - ლამის ეყვირა ბებიაქალს, ეს რა ბედნიერი დღე გამითენდაო. ბუკინისტი კი უხერხულად იდგა. სწორედ ის იყო, ჩუგო რომ მეუბნებოდა. გარეგნობაც და მიდგომაც იმგვარი ჰქონდა, მოწყალებაში გაღებულ ფულს ფუჭად გადაყრილად რომ არ ჩათვლიდა.

- მეტი არც არის საჭირო! - არწმუნებდა ქალი და წასასვლელად იწევდა, ვაითუ გადაიფიქროსო. ბოლოს გულმოცემულმა აუწყა კიდევ ერთი წიგნის არსებობის შესახებ.

- მოსახლეობის უკანასკნელი აღწერის მონაცემებია რევოლუციამდელ წლებში. ურიცხვი ციფრებით გაჯერებული ვრცელი მასალა. ამ ბოლო ხანებში თვალში აღარ მომხვედრია. ალბათ სადმე შევჭურთავდი. უეჭველად ვიპოვი და მოგაწვდიო!

ამ სიტყვებზე აბდია-ფილოსოფოსს ენთუზიაზმი გაუნელდა, საყოველთაო მხიარულებას დაბნეულად შესცინა და აბდაუბდად ჩაილაპარაკა:

- დიდად დამავალებთ! არ იჩქაროთ! უთუოდ გამოჩნდება! სად წავიდოდა!

იმას თუ გულისხმობდა, რაც უფრო გვიან მონახავ, მით უკეთესიო. ყოველ შემთხვევაში ბებიაქალი დაიმედებული გაისტუმრა. მარტო რომ დავრჩით, სათვალე ჩვრით გააპრიალა და ფრთხილად წამოიწყო, თქვენც წიგნის ჩასაბარებლად ხომ არ მოხვედითო. თან საჩვენებელ თითს ცარიელი უჯრისკენ იშვერდა, გამოლებული რომ დარჩენოდა.

- არა! მე სხვა საკითხზე ვარ! ასე ვთქვათ, მიტინგის თაობაზე! ჰო, სულ მავიწყდებოდა, ჩუგომ მოგიკითხათ!

- ჩუგომ? - სახე გაებადრა, - როგორ არის ოქროკაცი?

- ბოლოს რომ ვნახე, კარგად იყო. შორს გაემგზავრა, ალმასის საბადოებზე, თანაც დიდი ხნით! - ვთქვი მე და ვიზიტის ნამდვილი მიზეზის გამხელას შევუდექი, ხმებს ვაგროვებ-მეთქი აქციისთვის.

- იმ დროის მოყვანა გსურთ, საზოგადოებაში ნაკლები საცდური რომ შეიქმნება?!

- ამაზე არც გვიფიქრია! - ავიჩეჩე მხრები, - ფრიად ნაკითხი პიროვნება ჩანხართ, ჩვენ საქმეში დიდად გამოგვადგებოდით!

გულახდილად შევაქე და წიგნებს გადავხედე, მან კი მოკრძალებით მიპასუხა:

- მეხსიერება აღარ მივარგა. ძველი ადვილად მავიწყდება და პერიოდულად ვიხსენებ ხოლმე!

- შემოგვიერთდებით? - წარმოვთქვი პათოსით.

- მიტინგზე წასვლა რა საჭიროა, სიტყვებს აქაც მშვენივრად გავიგონებ! - პოლიტიკაში ჩართვას აშკარად გაურბოდა.

- შეცდომებზე მიგვითითებდით! - განვაგრძობდი ხვეწნას.

- შეცდომები იმისთვისაა, ნაკლოვანებები რომ გამოვასწოროთ! - აბეზრად თუ მიმიჩნია.

- სწორედ მაგის გააზრება მსურს. თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ მაინც ვერ ვლაგდებით. იქნებ ძველს რომ არ ვითვალისწინებთ, ამიტომაც ვართ დასჯილნი. წარსულის დავიწყება ხომ მომავალს ბუნდოვანს ხდის. მაგრამ ჩვენ წინაპართა სადღეგრძელოს ყოველთვის პათეტიკით წარმოვთქვამთ. მათ გმირულ საქმეებს აღტყინებით ვიგონებთ, მაგრამ სად არის ძალლის თავი ჩამარხული? ქვეყანაში ამდენი მათხოვარი რომ გვყავს, როგორ ავლაგმოთ?

- წარსულიც მომავლის ნაწილია. მათხოვრების გარეშე ცხოვრება ანარეკლთა დევნას დაემსგავსებოდა. ისინი ჩვენი სილუეტები არიან, ნაკლებად რომ გაუმართლათ. ჩრდილების მოშორებას თუ შევყევით, ბოლოს საკუთარსაც მივადგებით!

ბუკინისტს იმდენი წიგნი წაეკითხა, მწკრივად რომ განელაგებინათ, თვალს ვერ გავუწვდენდი. სახელმწიფოს მოწყობის თაობაზე ბევრი რამ იცოდა და პოლიტიკურ ყაიდაზე მისი მოქცევა შეუძლებელი იყო. საუბარმა უკმარისობის გრძნობა დამიტოვა. თან მიტინგამდე ცოტა დროღა რჩებოდა, რომელსაც ფუჭად ვკარგავდი და გამოვემშვიდობე.

3.

მიმდებარე ტერიტორია დეტალურად რომ გადავჩხრიკე, ლუდის სარდაფთან აღმოვჩნდი. ყრუ ბგერებით თუ ვიმსჯელებდი, ვიღაცები იქაც იყვნენ. ძირს ქვის კიბით დავეშვი. მოგრძო დახლს კვამლის ბოლქვები დასტრიალებდა, თითქოს ჩამწკრივებული ბოთლების მიღმა მწეველები სხედანო. ინტერიერი ძველი იყო. დაბზარული შუშა თავის მოვალეობას ჯერაც ასრულებდა და მის გამოცვლას არ ჩქარობდნენ. ამ სამიკიტნოში ოდესღაც კინტოები იცეკვებდნენ. შეზარხოშებული მაყურებლები ტაშსა და ყიჟინას დასცემდნენ, ოღონდ რიტმიდან ამოვარდნით, რადგან სმენა არ ექნებოდათ და არტისტებს გამხნევების ნაცვლად ხელს შეუშლიდნენ. კიბის საფეხურებზე ცხოვრებისგან ნაგვემი მათხოვრები ისხდებოდნენ, შიმშილისგან თავბრუდახვეულნი. ღვინო რეალობისგან მიმალვაში ეხმარებოდათ. მაწანწალების გარემოცვა მოქეიფეთა ერთგულ ესკორტს ჰგავდა. ისინი მაშინ გამოცოცხლდებოდნენ, როცა მეფის ოფიცრები შემოლაგდებოდნენ ჩვეული ხმაურით თავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განწირვამდე საქეიფოდ. დღეს თუ ხვალ ხომ გმინვით უნდა აღსრულებულიყვნენ და სატეგრით განგმირულებს გული დასწყდებოდათ, უკანასკნელ დღეს ჟინი რომ არ მოიკლეს. სამხრეები გენერლისა ექნებოდათ, საქმეები რაინდების. მათ ბრძოლის ველი მოუხმობდათ, მაგრამ სიცოცხლე გმირებისთვისაც ისევე ტკბილია და ძნელად დასათმობი, როგორც ჩვეულებრივ მოკვდავთათვის. თუმცა წარსულის ეს ეპიზოდები დღევანდელობის ძუნწ ესკიზებს გაექარწყლებინა, რადგან დარბაზში მხოლოდ ორნი ისხდნენ, თანაც ყოველგვარი სამხრეების გარეშე. ერთი მაღალი და მეორეც ჩასკვნილი. ერთი შეხედვით მლოცველებს ჰგავდნენ, სარკმლის შუქი შარავანდედად რომ დაჰფენოდათ მხრებზე და ღაჟღაჟა სახეები ნეტარად უბრწყინავდათ. სუფრაზე დოქი და თეფშები ელაგა, ცოტაოდენი მზა საჭმლითა და მწვანილეულით. ხოლო ცივი თევზეული ლანგრით ბლომად მოერთმიათ. სანამ მთლად გაილეშებოდნენ, საქმეზე გადავედი:

- იქ, ზემოთ, მნიშვნელოვანი ხალხი ჩამოიკლის!

- მნიშვნელოვანი ხალხი ამ გარეუბანში? - ცნობისმოყვარედ აიჩეჩეს მხრები.

- ისინი ადგილებს არ განასხვავებენ, სიკეთე ყველგან რომ მოეფინოს!

- ახალი წყობა მოჰყავთ?

- ჰო! ძველის რესტავრაციაზე გული აიყარეს!

- ამას ჩვენ იმედად გეგმავენ? - ისედაც სასმელით დაელმებული მზერა დაებრიცათ.

- რატომაც არა, ერთად მოვახდენდით სასიკეთო ცვლილებებს! - განვაგრძე ჯიუტად.

- მერედა ამ წვრილმანისთვის დალევა მივატოვოთ? - ჩაეცინა მაღალს და არყის ბოთლს და ლუდის ჭურჭელს გადახედა, საღ ჭკუაზე თუ ხარო.

- დალევას წინ რა უდგას, მერეც მოასწრებთ. მათ გადარჩენის შეუუვალი გეგმა აქვთ და ეს მცდელობა წარმატებით დაგვირგვინდება! - ხელი ისე მოვმუშტე, თითქოს ხავსი ჩამეგლეჯა.

- ვინც გინდა ჩამოიაროს, ჩვენ მაინც ათვალწუნებით შემოგვხედავს! - დაასკვნა ჩასკვნილმა, საჩვენებელი თითი მკერდზე მიიბჯინა და დამარცვლით წარმოთქვა, - ჩვენ გულზე არავის ვეხატებით!

- ჯანდაბას თუ არ ვეხატებით! მჯიღის ცემას არ მოვყვებით! - გაგულისდა მაღალი და ხელი სარკმლისკენ გაიშვირა, - აქედან მათ სახეებს მაინც ვერც ვხედავთ. მხოლოდ ფეხებს შეეყურებთ, თითქოს სხეულის მთავარი შემადგენელი ნაწილი ყოფილიყოს. ხმაც ბუბუნვითი ჩაგვესმის ქუსლებს მიღმა. თანაც ისე ყრუდ, სიტყვებს ვერ ვიგებთ და შესაბამისად დასკვნებიც ვერ გამოგვაქვს. ჩვენი დასწრება არაფერს შეცვლის! - თანამეინახის განწყობა ჯიუტად დაადასტურა მაღალმა.

ჩასკვნილი თავის კანტურს მოჰყვა. მაჯაზე საბერო ფსკვნილი ეკეთა, შეუსაბამობაში რომ მოდიოდა თეფშზე დახვავებული ფხების რაოდენობასთან. ეტყობა მარხვაში ბლომად თევზს ჭამდა და იმისსქე იყო, ქორჭილების მთელი აუზი ექნებოდა დანთქმული. ძალიან გაუჭირდებოდა ესოდენ გურმანს, მოხარშულ კარტოფილს დასჯერებოდა. რაღაც მომენტში მათ თვალებში ინტერესი შევნიშნე და იმედი მომეცა, რომ დავიყოლიებდი. შემდგომ წუთს მართლაც დამყაბულდნენ, გაგვიძეხიო და ჭრაჭუნა სკამებიდან ზლაზვნით წამოდგნენ.

- ამას მე თვითონ მივხედავ! - ლუდის ჭურჭელი მოიიღლიავა მაღალმა და სამზარეულოს მაცივარში შედგა. მიმტან ქალს კი მაგიდაზე მიუთითა, არ აალაგო, მალე დავბრუნდებითო. კიბეზე ასვლისას ბურტყუნებდნენ, ახალი ნეტავ რა უნდა გვითხრანო.

4.

ასე აღმოვჩნდი ქვაფენილიან მოედანზე ორ ლოთთან ერთად. მოყაყანე ბრბო სწრაფად იკრიბებოდა. აფიშებმომარჯვებული აქტივისტები სტვენითა და ყიჟინით იკლებდნენ იქაურობას, თითქოს არსებული წყობა მიწასთან უნდა გაესწორებინათ. მიკროფონში აღტყინებული მოწოდებები გაისმა. უმოტივაციო მოსახლენი, რევოლუციურ წიაღსვლებში უშუალო მონაწილეობის მიღება მიზანშეწონილად რომ არ მიაჩნდათ, ფანჯრებს აჭკვრდნენ, რათა სანახობისთვის შორიდან მაინც ედევნებინათ თვალი. აივანზე გადმომდგარი მსუქანი მამაკაცი ქუჩას ცნობისმოყვარედ გადმოჰყურებდა. ეტყობა მიმდინარე ამბები მისთვისაც უცხო იყო, მაგრამ არ იმჩნევდა და მეზობელ აივანზე მდგარ ქალბატონს თავმომწონედ მიეალმა, რომელსაც ხელში მარაო ეჭირა, ვიტრინის ექსპონატს უფრო რომ ჰგავდა, ვიდრე უთოს, სარკეს ან ყოველდღიურობაში გამოსაყენებელ სხვა რომელიმე საყოფაცხოვრებო ნივთს. ისედაც გრილოდა და ეს არაფერში სჭირდებოდა, მაგრამ რახან თვალთახედვის არეში აღმოჩნდა, სახეს საქმიანად ინიავებდა. ჩვენ აივნის ქვეშ ვიდექით, ბუკინისტური მაღაზიის საპირისპირო მხარეს, საიდანაც სამკუთხა სივრცე ხელის გულივით მოჩანდა. მოგვიანებით საერთო განწყობამ დამაინტერესა და ხალხში გარევა მოვისურვე, ყური რომ მიმეგდო, საწინააღმდეგო მოსაზრებებს თანმიმდევრულად რომ აყალიბებდნენ, თითქოს რეალურ ცხოვრებაში ურთიერთგამიმრიცხავი ვარიანტების შეთავსება შესაძლებელი ყოფილიყო.

- სჯობს ჩრდილოეთს მივემხროთ! - მგზნებარედ ამტკიცებდა წარსულის მოგონებებით გაბრუებული შუახნის მამაკაცი, ირგვლივ ახალგაზრდა მრევლი რომ შემოეკრიბა და სინამდვილეში ის დრო ენატრებოდა, როცა მათი თანატოლი იყო, - გამოუსწორებელ შეცდომას ნუ დაუშვებთ! ჩრდილოელები ულამაზესნი არიან. ქალთევზებივით მოქნილი გოგოები ჰყავთ, ნაძერწი ტანითა და ნატიფი მიხვრა-მოხვრით. ისე მიმზიდველად გამოიყურებიან, ათაშანგიც რომ სჭირდეთ, მომაკვდინებელ სნეულებას ჩირადაც არ ჩაადგებთ! - ამ სიტყვებზე ნერწყვი გადაყლაპა და ძველი დროების ხოტბა შემართებით განაგრძო. მოსაზრების დასაყრდენს მხოლოდ მშვენიერი ქალბატონები განაპირობებდა. სხვა ფაქტორებს გაფანტული ნისლივით უმნიშვნელოდ მიიჩნევდა.

- აბა, სამხრეთში რას ნახავთ საინტერესოს? სახეებს ჩადრებში მალავენ და არც ტანი უჩანთ ხეირიანად. შავ, მოფლეშილ კაბებში გამოწყობილნი ჭაობში ჩაძირულს ჰგვანნენ, თითქოს ლოტოსის ფესვებს ჩაეთრიოთ. ხვატსა და პაპანაქებაში ჯაჯგური მოგბეზრდება. ეგ არის, უსაშველოდ მდიდრები არიან, მაგრამ საქმეში ფულს არ ჩადებენ, თუკი პარტნიო-

elibrary.nplg.gov.ge

რი მოგების უმცირეს პროცენტს არ დასჯერდება!

ხალხის უმეტესობა საკითხს ამგვარად აყენებდა, აუცილებლად რომელიმე მხარეს უნდა მივმხრობოდით. ჩრდილოეთი იქნებოდა ეს თუ სამხრეთი, ამას არსებითი მნიშვნელობა არ ექნებოდა, რადგან მათ შორის ომი გარდაუვალი იყო და ყველა შემთხვევაში ბრძოლის ველზე აღმოვჩნდებოდით. მაგრამ ახალი დროების ცრემლის ღვრამდე მომხრენი არამდგრად პოზიციას არ შეიწყარებდნენ. ძველი შეხედულების ადამიანებს წარსულის გადმონაშთად მიიჩნევდნენ და კაცობრიობის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით აღვსილნი გულაჩუყებით უსურვებდნენ სრულ განადგურებას.

- კიდევ დიდხანს აპირებთ იმ საზოგადოების წევრობას, სადაც ჩაგვრა ცხოვრების წესად ქცეულა?! - გაჰკიოდა ორატორი, - მჩაგვრელებსა და ჩაგრულებს საზოგადოების ყოველი ყოველი ფენა მოუცავთ და გაიძულებენ, ერთ-ერთს მიეკუთვნო, თუკი განდეგილობის ვიწრო გზას არ დაადგები, ცხოვრების ყველაზე გრძელსა და ძნელ სავალს. ასე როდემდე გაგრძელდება?! ყურს ნუ მიუგდებთ, ვისაც შუბლზე კოპები არ აზია. იმას ქვეყნისთვის არც უღვაწია და ერის წინაშე თავს ვერაფრით მიოწონებს. მისი სიმართლე ფუტურო ხეა და სჯობს, ხმა სულაც არ გაიღოს!

ახალგამომცხვარი ლიდერები მოწინააღმდეგეების სინდულვილს ისე დაებრმავებინა, ლამის ერომანეთიც დაეხოცათ. თუმცა მოსახლეობას დარაზმვას ერთპიროვნულად განაგრძობდნენ, რაც უმეტესობისთვის უცხო ხილი იყო, იმდენად შესჩვეოდნენ ქაოსსა და უწესრიგობას. შემართული აგიტატორები მჭექარედ ირწმუნებოდნენ, ყოველგვარ სიძნელეს დავძლევთო. ხოლო არსებული იმდენად სძულდათ, თვით შენობის ფასადებსაც დაანგრევდნენ, ოღონდაც ძველი ხედვა ახალი სულისკვეთებით ჩაენაცვლებინათ. მზერა იდუმალი რისხვით გაჟღენთოდათ, რომელშიც საწუხარიც ბევრი იკითხებოდა. პატიებას ითხოვდნენ, დედის მუცელში გვიან რომ ჩაისახნენ და თანამემამულეთათვის სანუკვარი დროის დადგომა ამ უბადრუკი მიზეზით გაიწელა. ქადაგების ტექსტი ქაღალდზე რომ გადაეტანათ, ფურცელი ძახილის ნიშნებით აჭრელდებოდა. სათქმელს დიდხანს იმიტომ აყალიბებდნენ, წაკითხვისას ხელის ერთი მოსმით დაწერილს ჰგვანებოდა. სიმართლით ცხოვრებას ლამპიონების გასწვრივ სიარულს ადარებდნენ, ხელის ცეცებას კი ცრუთა საქმეს. აღტყინებული ყიჟინა ორი საათის განმავლობაში გრძელდებოდა, პათოსს კი ისეთს ინარჩუნებდნენ, თითქოს ათასკაციან არმიას ათი ათასის დასაძლევად მოუწოდებენო. ეტყობა, ძალუმ სიამოვნებდათ აღგზნებულ ბრბოში აღტყინებულ სახეთა ხილვა, მათი შეშლილი გამომეტყველება. მაგრამ სამშობლოს სიყვარულსაც სცოდნია დაღლა. როცა სათქმელის მიჯნები წყვდიადით მოცული სამანივით მიილია, ქვეყნის უახლოესი პერსპექტივა როგორღაც გამოიკვეთა და მოშვებულმა ხალხმა დაშლა იწყო. მიტინგი აღლუმი ხომ არ იყო, დიდხანს გაგრძელებულიყო. როცა ყველაფერი მორჩებოდა, ესტაფეტას მეეზოვეები გადაიბარებდნენ, ყველაზე საქმიანი ადამიანები, ყოველგვარ ნარჩენს რომ გახვეტდნენ, ქაღალდის ნაფხრეწებსა და მუყაოს გროვას, წამკითხველს სისხლს რომ უჩქროლებდა და დაჭმუჭნილ აფიშებთან ერთად ღუმელში შეუძახებდნენ, აქციის კვალი მხრჩოლავი კვამლით რომ გადაეფარათ და უსიცოცხლო დღეები ლანდად ქცეულიყო, როგორც შეღამებისას სჩვევია. მთვარე შუქს კი მოჰფენდა, მაგრამ მზის მაგივრობას ვერასდროს გასნევდა. ძველებური მხედრული სიმღერა, გმირულ სულს რომ ეხმიანებოდა, საომარ განწყობას აღძრავდა, მაგრამ დასასრულის მიმანიშნებელიც იყო. ზოგადად ზეიმმაც იცის მოყირჭება. სიყალბე, რომლის დაცვასაც ეტიკეტი მოითხოვს, ადრე თუ გვიან ყელში ამოგვივა, მაგრამ იძულებული ხარ, დადგენილ ნესებს თანმიმდევრობით მიჰყვე. მომიტინგეთა შორის მოხვედრა ადვილია, წამოსელისას კი გეგონება ლაფსა და ტალახში გიწევდეს გავლა. ამგვარ ლაბირინთებს მრავალი ჩიხი ქმნის. ძალაგამოლეულ ლიდერებს არაქათგამოცლილი მასებისგან ვერც განასხვავებდი. სათქმელს თავისი ხიბლი დაჰკარგოდა და ზლაზვნით ეწყოთ მიმოფანტვა. თანაც შხაპუნა წვიმამ დაუშვა და ხალხიც საგრძნობლად დაცოტავდა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ფეხს მაინც ითრევდა, რადგანაც ზურგში უხილავ მზერას გრძნობდნენ. ვიღაცები ყოველთვის აღნუსხავდნენ, ვინ როდის მიატოვა საპასუხისმგებლო სცენა, მთავარ შტაბში რომ ეუწყებინათ. როცა მოედნის ხმაური დაიხშო, დაღლილობა ვიგრძენი და ჩირაღდნის ბოძს მივეყრდენი. ნათურა სწორედ იმ წამს გაჩახჩახდა. ეტყობა ჩართვა და გამორთვა ერთსა და იმავე დროს ხდებოდა დღე-ღამის განმავლობაში. უცებ ის ორი ლოთი შევნიშნე, სარდაფისკენ წყნარად მიმავალნი. რომ დავეწიე, თითქოს მელოდნენო, ჩემი დანახვა არ გაჰკვირვებიათ. შიმშილი ისე მქონდა სახეზე აღბეჭდილი, გეგონება ქარში აგლეჯილი აფიშა ამკვროდა მაწანწალას გამოსახულებით. მაღალმა შუბლი შეიმშრალა და მოღუშულ ცას გახედა. მრეში ღრუბლების გრძელი მწკრივი ბინდით მოცულ სივრცეს დაენთქა. წვიმა შეწყვეტას არ აპირებდა.

- ახლა შენ წამოგვყევი, ორიოდე სიტყვა იქაც ვთქვაო! - მომიბრუნდა ჩაფსკვნილი და მუჯლუგუნებით წამიძღვა სარდაფისკენ.

- ღუდხანაში რომ ჩავალთ, ღუმელთან გაეშრეთ! - თქვა მაღალმა, რომელიც ჩვენ წინ მიდიოდა. ჩაფსკვნილი უბრად დაეთანხმა, მაგრამ მაღალს მისი თავის კანტური არ დაუნახავს. ღუმელი ჩამქრალი დაგვხვდა და გაზქურის სითბოს დავჯერდით. დაღლილები ვიყავით და მაგიდის სკამებზე რის ვაი-ვაგლახით ჩამოვსხედით. მაღალმა მაცივარი გამოაღო და ღუდის ჭურჭელი მაგიდასთან მოიტანა. ჩიბუხს რომ მოუკიდა, ნაპერწკალმა იელვა. ჭილოფის სქლად გამოშვერილ ძაფებს ლამის ცეცხლი მოედო. თუმცა აალება ვერ მოასწრო. როგორც აბრიალდა, ისევე სწრაფად ჩაქრა. რით ვერ შეეშვი მონევასო, უსაყვედურა ჩაფსკვნილმა, მაგრამ მაღალს არაფერი უპასუხია. მხოლოდ შეიშმუშნა და შუბლი უკმაყოფილოდ შეჭმუხნა, შენიშვნების მოცემას შეეშვიო.

- ორი ბოთლი არაყი მოგვიტანე და კიდევ ცარიელი კათხა შემოსწრებულისთვის! - გასძახა მიმტანს, ცოტა ხანში ბუზღუნით რომ მოგვადგა, წვრილმანებზე მაცდენთო. ყვავილებიანი წინსაფარი გიმნაზიის მოსწავლეს ამსგავსებდა, თითქოს სესიების პე-

რიოდი ჰქონდა. მჭმუნვარების ნამდვილი მიზეზი ის იყო, ნიჭი უქმად რომ გაფლანგა და დაფხავებულ სარდაფში ლანგრის მიტან-მოტანით იყო დაკავებული. ასეთები ხომ დიდი საქმეებისთვის არიან დაბადებულნი. ციფრებს ჯიუტად უკირკიტებენ, ანგარიშები რამდენჯერმე რომ გადაამოწმონ, გადახარჯვა ხომ არა გვაქვსო. მერე კი ანკეტებს ავსებენ კანცელარიის მოხელის ან რომელიმე ბიუროს წარმომადგენლის მსგავსად.

- დიდხანს დაგვტოვებთ უნუგეშოდ მშიერ მეომრებს?! - გასძახა ჩაფსკვნილმა.

- ომიდან დაბრუნებულებმა დილამდე უნდა ვიქეიფოთ! - აჰყვა მაღალიც, გეგონება კერძს განზრახ უგვიანებდნენ და მუშტი ისე დასცხო მაგიდას, მჭიდროდ შეკრული ფიცრები ტორტმანით აჭრიალდა და ჭურჭელმა ზრიალი იწყო, თითქოს უფსკრულზე გადებულ კონნიალა ხიდზე მიმავლებს ფეხქვეშ სიმაგრე გამოსცლოდათ. შეშინებული ქალი შიშმა მოიცვა და მაჯაზე ტუშით აღბეჭდილი ლათინური ასოები გადაიკითხა: - „ავე, ცეზარ!“ წარწერამ ჩემი ყურადღებაც მიიპყრო და მაღალს ცნობისმოყვარედ ვკითხე:

- ეს რა სვირინგია, კეისარს ესალმებით?

- ჰო, სიკვდილმისჯილივით! - ცივად გამეპასუხა. მიზეზის ახსნა არც უცდია.

- საჭმელი აღარ მოგაქვთ?! - მშიერი ლომივით დაიღრიალა ჩაფსკვნილმა.

- უქმად ხომ არ ვზივარ, ვამზადებ, მალე იქნება! - შეცივნული ხმით გამოსძახა მზარეულმა. ეტყობა მის არსებაში პროტესტმა ამოხეთქა, მთელი ცხოვრება მორჩილად რომ დასტრიალებდა ემალის ქვაბებს და ამბოხებული განიხილავდა არჩეული პროფესიის ავკარგიანობას. ყველაფერი უცებ უნდათ, თითქოს გამზადებული მქონოდესო, აღშფოთდა. მერე დაბებკილ ხორცს მწვანილი წვრილად დაათალა, მოზელილი მასა ნახევრად წყლით სავსე ქვაბში ჩაყარა და მოხარშვას შეუდგა. ბავშვობა გამახსენდა, საამო სურნელით ავსებულ ჰაერში სუფრასთან მომხმობი ხმა, როცა დედაჩემს სამზარეულოდან ოხშივარადენილი ტაფა გამოჰქონდა, ისეთი კერძია, თითებს ჩაიკვნეტო.

- მზად არის, ახლავე მოგართმევთ! - როგორც იქნა დაგვჩხავლა მზარეულმა, მზერაც ყორნისა რომ გახდომოდა. ხმის ჩახლეჩა შეღებულ ფანჯარას გამოეწვია, ბოლის გასაფანტად ორპირ ქარში რომ ირჯებოდა. ჭურჭლის თაროზე მობუზული ჩაიდნების, ლაღი ფუუერებისა და მომცრო ლამპიონებივით თავჩაქინდრული ჩამჩების მშვიდობიან მწკრივში უცებ რაღაც გაჭახუნდა, გეგონება ფაიფურის ჭურჭელი დაიმსხვრაო. მიმტანმა ხელის შევლებაც ვერ მოასწრო, ფინჯნები ზედიზედ გადმოცვივდა. უმეტესობა გადარჩა, მაგრამ თითო-ოროლა მაინც დაიმტვრა. იგი მოზრდილი ნამსხვრევების აკრეფას შეუდგა, მზარეულმა კი ცოცხი მიაწოდა აქანდაზით, ხელი არ გაგეჭრასო. გამოგვას რომ მორჩა, ხელსაბანში შეკიდა, კერძი სათუთად რომ მოერთმია. მაღალმა ლანგარს მაინც ეჭვით დახედა, შუშები შიგნით ხომ არ ჩაიყარაო, ეს ეჭვი კი რიხით გამოთქვა.

- რას ამბობთ! - აღშფოთდა მიმტანი, ისედაც დამცირებულ მდგომარეობას საყვედურები კიდევ უფრო გაუსაძლისს რომ ხდიდა.

- არასწორ გზას რომ ვადგავართ, ეს ორომტრიალი იმის შედეგია! - თემა გადაიტანა წვნიანის სურნელით გაბრუებულმა ჩაფსკვნილმა და ცხელი ულუფის გადაღებას ცივად შეუდგა, თითქოს ამას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა, არადა მისი მთელი სული და გული წარეტაცა.

- არასწორ გზაზე დადგომა კი ომის შედეგია! - დაიღმუვლა მაღალმა, მისი ხმა რომ გადაეფარა და ჩამჩა მოიმარჯვა.

- მაშ ვისხდეთ სარდაფში და ლუდის სმა განვაგრძოთ? - აღმოვთქვი ბრაზით, თუმცა მაშინვე გამაწყვეტინეს.

- ზემოთ რომ ვიყავით, რა შევცვალეთ?

- შედეგის დადგომა ძალისხმევას საჭიროებს! აბა, როგორ განვითარდება ქვეყანა, თუკი მის ბედს სხვაგან წყვეტენ, თანაც ჩვენთან შეუთანხმებლად და მხოლოდ შედეგის შეტყობინებას სჯერდებიან. განა ამას გულხელდაკრეფილნი უნდა ვხედებოდეთ?

კიდევ დიდხანს რომ გვეკამათა და გაურკვევლობაში საფეხურებივით ამოჩრილი საყვედურებით ჭეშმარიტებამდე როგორმე გაგვეღწია, ჩვენი ხმა მაინც სარდაფში გაისმოდა, სადაც იქამდე ვისხდებოდით, სანამ ამომავალი მზის ათინათით გასხივოსნებული ღრიჭოები და ჭუჭრუტანები ახალი დღის დადგომას არ გვაუწყებდა. თუმცა ჩვენთვის ჯერჯერობით ყოველი დღე ერთმანეთს ჰგავდა და ზეიმიც ისე თავდებოდა, თითქოს არც კი დაწყებულაო. ამომწურავ პასუხს ვერაფერზე ვიღებდით.

5.

სანამ ინათებდა, ღრმად ჩაგვეძინა. მერე წამოვდექი და ხვრინვისგან თავის დასაღწევად კიბეს ავუყევი. ზღურბლიდან გამძლე მასალით აგებული ჯებირი გამოჩნდა, ახორხლილ ხიდს მყიფედ რომ შებჯენოდა. ცაზე წვრილი ღრუბლები ტაატით გადადიოდა, თითქოს გულაღმა მწოლი მიწა სივრცეში გამოსახული ვრცელი ტექსტის კითხვით გართულიყო. ირგვლივ ყველაფერი ისეთივე ჩანდა, როგორც მიტინგამდე. სასახლის დიდებულებას უგემოვნოდ აგებული ყაზარმა გადაჰფარებოდა. წუხანდელი ნაწვიმრისგან მოედნის რუხ ქვაფენილზე გუბეები წარმოქმნილიყო. ჯარისკაცს რომ ჩაეარა, ყაზარმაში მისული პირველ რიგში ჩექმებს გაიწმენდდა, რადგან ისეთი შეფერილობა მიეღო, თითქოს ჭაობის მცენარეებს დაესვარათ ლელქაშის გატოპვისას. გუბეებში სასახლის ჩუქურთმები ძუნწ ფრაგმენტებად ირეკლებოდა. ეს პროცესი მდიდარი კაცის ხელის გაშლას ჰგავდა, წვრილმანად გამოხატულს, გეგონება სპილენძის წკარუნი სიამოვნებას ჰგვრისო. ასფალტზე დაყრილ მონეტებს მათხოვარი მარჯვედ აკრეფდა, წყალობის გამლებს კი ლაღად შესცინებდა.

უცებ უცნაური ჯგუფი გამოჩნდა, კუნაპეტის აჩრდილებს რომ ჰგავდნენ. ზედმეტად მშვიდობიანად მივესალმე, თითქოს თავს უნდა დამსხმოდნენ. წინამძღოლმა საჩვენებელი თითი გუბეში ჩაანო, ტუჩებთან მიიტანა და დინჯად თქვა:

- წვიმის წყალია!

- მაშ რის უნდა ყოფილიყო? - ხორხოცი აუტეხეს

ამფსონებმა, სიდუხჭირის განცდა ძალუმ რომ აღძროდათ.

- ეს ცენტრალური პროსპექტია. იდეათა ჭიდილის ვრცელი ასპარეზი, სადაც სისხლის ტბორებიც მინახავს! - განაგრძო წინამძღოლმა და ტუჩები გაანკლაპუნა, თითქოს გემოც ჰქონოდა გასინჯული. მთვარის შუქზე კაციჭამიას ჰგავდა, დღისით ჯურღმულებს რომ აფარებდა თავს. მერე ცათამბჯენის სახურავი რომ დაენახა, შენობას მზერა ცამდე ააყოლა. ერთხანს გალოკილი თითით ქარის მიმართულების დადგენას ცდილობდა, თუმცა საითაც არ უნდა გაეშვირა, საწინააღმდეგო მხარეს გასწევდნენ. ეს სცენა კოშმარულ სიზმრად წარმომიდგა. მერე ჩიტების ქუჩაზე ჩიტების ყივყივი გაისმა. ჩუგო მართალი იყო, როცა ბუკინისტის უცნაურობებზე მიამბობდა. გაზეთებიდან მიღებული ცოდნით მასთან ვერაფერს გახდებოდი. როგორც ფრინველი კენკავს მარცვლებს, ისე დაზოგვით გიზიარებდა სიბრძნეს. აბდია-ფილოსოფოსი ხმაურის უმნიშვნელობას მიყრუებულ ადგილებში ჩასწვდენოდა. დუმდა, რადგან ლაპარაკს ყავლი გასვლოდა. ფილოსოფია, თეოლოგია და უამრავი მხატვრული ტექსტი, მწერლებს რომ შეეთხზათ და უცხო ენების სპეციალისტებს ეთარგმნათ, ზედმიწევნით ჰქონდა შესწავლილი, მაგრამ რამე რომ გეკითხა, მხრებს აიჩეჩავდა, აბა ეგ საიდან უნდა ვიცოდეო. მანქანის მართვა და საკეტების დაზეთვა ნამდვილად არ ეცოდინებოდა, მაგრამ რაც იცოდა, ვერ წაართმევდი. მის გადაბირებას ვერც ერთი პარტია ვერ შეძლებდა. ჩიხიდან თავი იმით დააღწია, რომ სიცოცხლეს გარდაუვალ სასჯელად მიიჩნევდა, უდრტვინველად რომ უნდა გაევლო. ხოლო ისედაც შემოსაზღვრული ცხოვრება უხილავი რკალით მოეზღუდა.

წიგნის მაღაზია დაკეტილი დამხვდა. ღამისთევის ლოცვაზე იქნებაო, მითხრა მეეზოვემ. მერე ეკლესიის გზა მიმასწავლა. ხიდზე რომ გადავდიოდი, ჭავლებს ჩავხედე. მდინარის ზანტ ლივლივს განთიადის შუქი მსჭვალავდა. სწორ გზას ვადექი, რადგან აჩრდილები სხვა მხარეს წავიდნენ. ტაძრის სიახლოვე საკმევლის სურნელით ვიგრძენი. ჩრდილებად ქცეული მლოცველნი იდუმალ სიტყვებს იმეორებდნენ. მრევლში გავიკითხე, ასეთ და ასეთ ვინმეს ვეძებ, ბუკინისტად მუშაობს და სქელ სათვალეს ატარებსმეთქი. ჯვარცმასთან იდგებაო, მიმასწავლეს, მაგრამ არც იქ დამხვედრია. თქვენი ვინ არისო, გამომკითხა ტრაპეზარმა ქალმა, უღიმღამო, ღამენათევი მზერა რომ ჰქონდა. უბრალოდ ნაცნობია-მეთქი, ვუპასუხე. ჩამქრალი თვალები უცებ აენთო. სიტყვა უბრალო მასთან მიმართებაში იმდენად იუცხოვა. იწყინა კიდეც. მისდღემში სხვებზე ზრუნავსო, მისაყვედურა.

- ამ დილით რეცეპტების წიგნი მაჩუქა, სატრაპეზოში გამოგადგებაო. ისედაც გემრიელ ნამცხვრებს აცხობ, მაგრამ კიდევ უფრო დახვეწავო, გული არ გამიტეხა!

- სად შეიძლება, იყოს?

- დედამისის საფლავზე წავიდოდა. პირდაპირ იარე და მიადგები, - ხელი მინდვრისკენ გაიშვირა, - დიდი ხანი არ არის, რაც შემოღობა. იქ აუთვისებელი საფლავებიც ბევრია. ვინც შეისყიდა, კიდევ დიდხანს იცოცხლებს, მაგრამ ცას ხომ არ გამოეკერება. ხის ჯვარცმა მხოლოდ დედამისის საფლავზეა აღმართული. მონაზვნისა გეგონება. თუმცა ვინ იცის, იქნებ იყო კიდეც...

განთიადის ბინდბუნდში ბუკინისტის სილუეტი შორიდანვე დავლანდე. აქ ალბათ ხშირად ხართ-მეთქი, ვკითხე მისალმების შემდეგ. ამის მეტი რა დამრჩაო, საფლავის ქვაზე მიმითითა. როცა მზე აცხუნებს, ჩრდილში დგომა მიყვარსო, თქვა. ვისი ცხოვრებაც ზეიმია, დაე იმანვე იმხიარულოსო. აღარ ჩავძიებივარ, მწარე მოგონებები რომ არ აშლოდა. იქ ყოფნას დუმილი უხდებოდა. როდის-როდის გამომკითხა, მიტინგმა როგორ ჩაიარაო. თქვენი მსჯელობა გაცილებით მართალი იყო, ვიდრე იქ წარმოთქმული ლოზუნგები-მეთქი. გენიალური აზრიც რომ გამოთქვა, შემდგომი წამი გაცვეთილ მონეტად აქცევსო, თქვა მან. მერე კი დაამატა, ფინანსების ბრუნვამ რომ წარიტაცოსო.

- სამყაროში არაფერი არ იცვლება. საზოგადოებას ძველზე გულის აყრა სჩვევია, მთელი სასოება ახალზე რომ დაამყაროს. როცა მაცხოვარმა მოგვაკითხა, სამშობლოს ნაცვლად ეშმაკთა მიტაცებული ტერიტორიები დავახვედრეთ. ძალაუფლების წყურვილმა კი ჩიხში შეგვყარა. ეს ჩიხი შემდგომ სამოსახლოდ გადავაკეთეთ. ჩვენ ამ ქმედებას კი სიყვარული განსაზღვრავდა.

- მაშ სიყვარულით მივალურსმეთ მაცხოვარი ჯვარზე?! - ჯიქურ შევუტიე ჯვარცმასთან მიმწყვდეულ აბდია-ფილოსოფოსს. როგორ განსხვავდებოდა ეს ბრძენი კაცი იმ ოქროსმაძიებლისგან, რომელთანაც ოდესღაც ვმეგობრობდი. იქნებ ჰქონდათ კიდეც რაღაც საერთო თაღლითებსა და მოაზროვნეებს და ეს თვისება მაახლოებდა მათთან. ორივეს ადვილად ვეჩვეოდი, განშორება კი მიჭირდა. ჩუგოს ალბათ ვეღარასდროს ვნახავდი. ადამიანსაც ისევე უნდა შეეღიო, როგორც გაწყლილ დღეს, რომელსაც ვეღარ დაიბრუნებ. სახლისკენ მიმავალ გზას ხომ საგზალზე მეტი მნიშვნელობა აქვს. კიდევაც რომ გვქონოდა გადაკვეთა, ჩვენ დროს უკვე ჩაეარა. ის პერიოდი, ერთმანეთთან რაც გვაკავშირებდა, გამოკიდებად არ ღირდა. აღმოსავლელი მოაზროვნისგან განსხვავებით, მდინარის ჭავლებს რომ ჩასაქერის, მტრის გვამებს ჩამოატარებსო, აბდია-ფილოსოფოსი მთებისკენ სინანულით იყურებოდა, იქ გაცილებით მეტს ტირიანო, გეგონება ხევხუვები ცრემლების თავშესაფარი ყოფილიყოს.

- ჯვარცმულის განცდაში თუ არა ვართ, ჯვარმცმელის ვნება გვიპყრობს, - თქვა მან, - როცა სიტყვები მნიშვნელობას ჰკარგავს, ცრემლების მეტი რა დაგვრჩენია?

- სამსჭვალებზე რაღას იტყვი? - ჩავაცივდი მე, - იმ ჯალათებსაც მოუძებნი გამართლებას?

აბდია-ფილოსოფოსი ერთხანს სივრცეს გაჰყურებდა, როგორც უბრ მოსაუბრეს. მერე კი საკუთარ ხელებს დაჩერდა:

- ის ჯალათებიც ჩვენ ვიყავით, იმ ჯვრის დამსობნიც და იმ სამსჭვალების გამჩარხავნიც. ყიყინის დამცემნიც და ფერდში შუბის მაძგერებელნიც. ქრისტე-ღმერთი ხელგაშლილი მოდიოდა ჩვენკენ გულში ჩასაკრავად... გვინდოდა, ასეთი გვხსომებოდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალხაზ ხარბედია

ვასილ ბარნოვის თბილისური ეთნოგრაფია და წარმოსახვა[1]

სახელები, ადგილები, ინტერიერები და პანორამები

ვასილ ბარნოვთან ძალიან ბევრი თბილისური სახელი და ტოპონიმი გვხდება: უბნები, ქუჩები, მიკროუბნები, ადგილები, სადაც ტექსტის მოქმედება (ხანდახან საომარი მოქმედებაც) ვითარდება ან პერსონაჟები, მათი შეყვარებულები და ნაცნობ-მეგობრები ცხოვრობენ, შესაძლოა გმირები უბრალოდ გაივლიან ამ ადგილებში ან სულაც უთვალთვალებენ, დარაჯობენ ვინმეს[2]. ეს პირველი თავიც, შესაბამისად, ყველაზე დადარაჯებული გამოვა, რადგან ბევრი დასახელება, ადგილი, ქუჩა და უბანია განსამარტავი, რათა უფრო გავუშინაურდეთ მკითხველიც და მეც, ავტორი, ქალაქს, სადაც ასე გადაიხლართა ვასილ ბარნოვის პროზის ნაკადები.

სასახლის ქუჩა და მუშტაიდი, ასევე თამამშევის ქარვასლა (დამწვარი თეატრი, ახლანდელ თავისუფლების მოედანზე) ყველამ ვიცით სადაც იყო. შედარებით ძნელი გასარკვევია მაგ. ამირაღლოვის მაღაზიის ადგილმდებარეობა. დახურული ბაზარი ახლანდელი შარდენის ქუჩაა, გვაქვს ზემო ბაზარი, შემდეგ სახელოვანი შეითან ბაზარი, თათრის მოედანს მიბჯენილი, მეიდანი, ძველი ხიდი[3], ხიდის ყურთან წმ. აბოს ნიში, გიორგი ბატონიშვილის სასახლე, წმ. გიორგის ეკლესიის გვერდზე[4], დიდი სახლის გადასწვრივ. ასევე არაერთხელაა ნახსენები სოღანლუღი (სოღანლუღის გზა, სოღანლუღის ფონი), გვხვდება წყაროს უბანი, სიონი კი მრავალი მნიშვნელოვანი მოვლენის მომსწრე ხდება.

მოგონებების წიგნში „სამწუხრო ღიმი“[5] ვასილ

1 წინამდებარე პუბლიკაცია გახლავთ ერთი თავი კვლევიდან ვასილ ბარნოვის თბილისური ტექსტის შესახებ. სრული ტექსტი გამოქვეყნდება წიგნში, „ქართული ლიტერატურის თბილისური ტექსტი“, რომელსაც 2024 წელს გამოსცემს გამომცემლობა „პალიტრა L“.

2 ამ ადგილების განმარტებისას ვსარგებლობდი თენგიზ კვირკველიას წიგნით „ძველთბილისური დასახლებანი“, თბ. „საბჭოთა საქართველო“, 1985. ასევე თეიმურაზ ბერიძის, „ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია“, თბ. „მეცნიერება“, 1977, ნ. კვეზერელი-კოპაძის „თბილისის ხიდები“, თბ. 1961. ასევე სხვა კვლევებით, პუბლიკაციებით, ზეპირი გადმოცემებით.

3 აქ მეტეხის ხიდი იგულისხმება, რომელზეც „ისნის ცისკრის“ პერსონაჟი, საამ გოსტაშაბიშვილი გადადის.

4 კარის ეკლესია ერეკლეს მოედანზე.

5 პირველად გამოქვეყნდა „ლიტერატურულ მატიანეში“, N1-2, 1940, გვ. 41-96.

ბარნოვი ასახელებს ყველა იმ უბანსა და ქუჩას, სადაც უცხოვრია, სადაც თავისთვის პატარა ოთახს, მცირე ყურეს დაეძებდა: *„სიონის ქუჩა, სალაყბოს მიდამოები, შუაბაზრის კენ ამავალი ქუჩა, პატარა წმინდა გიორგის ქუჩა, ანჩხატის უბანი, გარეთუბანი, ვანქის უბანი, მუხრანაანთ ხიდის ყური. ტანტალის მიზანი იყო რაც შეიძლება ნაკლებ ფული მოსდომნოდა გაძღომას და გათბობას“ (X, 347)*[6]. იგი თავის ხარჯზე იყო, სხვისი დაფინანსების გარეშე და *„ეს ხარჯი ისე სუბუქი იყო, ნეკით აიწეოდა“*. ერთ-ერთ თავში („დავაცხრავეთ“) ბიჭებს (მონაფეებს, ვასიკოს და სოლიკოს) ჩურჩხელების მოსაკითხად გააგზავნიან და აქაც ზუსტად აღწერს ავტორი მარშრუტს: *„გავეცდით წმინდა გიორგის ქუჩას. შევბრუნდით საყდრისაკენ. შევდექით გიორგი მეცამეტის სასახლის კუთხეში“ (X, 369).*

ბარნოვის მოთხრობებში ხშირად მოხვდებით მეტეხთან და მეტეხის გაყოლებაზე გოგილოს აბანომდეც შეგიძლიათ ჩახვიდეთ. მეტეხის სასახლის გასწვრივვა კოხტა სადგომი ვენახში მჯდარი, რომანში „ისნის ცისკარი“. ქალაქის თითქმის ყველა კარში გავივლით ბარნოვთან: განჯის კარი[7], ციხის კარი[8], წყლის კარი[9], ქართლის კარი[10], კოჯრის კარი[11], მტკვრის კარი[12] და ნუგზარ ერისთავის ხიდი[13], ყაბახი[14], ლელვის ხევი (ლელვთა ხევი)[15] და აბანოები, სეიდაბადი (სეიდაბადის კარი), ისნის ხიდი, ავლაბრის მოედანი, მთავარანგელოზის ეკლესია, ანჩის ხატი (ანჩხატის უბანი), ქაშვეთის ბაღი და ბულვარი, მთაწმინდა, ხარფუხი, სოლოლაკის აღმართი, ჩუღურეთი, გარეთუბნის ვიწრო ქუჩები, ავლაბრის ხიდი, ავლაბრის მოედანი, ისნის აღმართები (ისნის ველი, ისნის პატარა სასახლე), მთელი კალა-ქალაქი, ნარიყალა (შურის ციხე), კუკიის ხიდი, ზარაფხანა[16], ბაზაზხანა[17], მდუღარეთი[18], კრწანისი და წოწოქას ბაღი[19] (კრწანისის ბაღები, კრწანისის კლდეები), წინანაური (წინანაურის ხევი)[20] და ორსული კლდე[21], ვარდისუბანი[22], ვანქის ქუჩა[23] და მუხრანიანთ ხიდი, ყველგან მტკვარი! ორბელიანთა სახლები[24], იარმუკა[25] და ნახშირის მოედანი[26], სირაჯხანა[27], შუა ბაზარი[28], სალაყბო[29], თაიროვის სახლები[30], შაიტახტი (შაჰტახტი)[31],

---

6 აქ და სხვაგან ვასილ ბარნოვის ციტატები დამოწმებულია მისი ათტომეულიდან. თბ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1961-1964.

7 დაახლ. ბოტანიკური ბაღის შესასვლელთან.

8 იგივე „განჯის კარი“ ან „კარის კარი“.

9 ახლანდელი შავთველისა და ბარათაშვილის ქუჩების გადაკვეთაზე. ვახუშტის მიხ. მას ჰქვია „ქვემო კარი ხიდით“. სახელს ზოგი იმით ხსნის, რომ მასში შესასვლელი ავანაანთხევის ხიდზე გადიოდა, ზოგის აზრით კი მტკვართან უშუალო სიახლოვის გამო დაერქვა წყლისკარი.

10 „დიდმის კარის“ (ახლ. ვერცხლის ქუჩასთან) ერთ-ერთი სახელწოდებაა.

11 დაახლ. კოტე აფხაზის ქუჩის კუთხეში, თავისუფლების მოედანთან.

12 იგივე წყლისკარი, დაბლაკარი.

13 ახლანდელი ბარათაშვილის (მუხრანის) ხიდის ადგილას, XVII საუკუნეში აგებული ქვიტკირის ხიდი (2 ან 3 მალიანი)

14 ახლანდელი 9 აპრილის (ალექსანდრეს) ბაღის ქვედა ნაწილი, სადაც იდგა „ყაბახი“, საასპარეზო მაღალი სვეტი. სვეტზე თასი იდგმებოდა, რომელიც ისრით უნდა ჩამოეგდოთ მოასპარეზეებს.

15 იგივე წავკისისხევი, დაბაღხანა.

16 მდებარეობდა კალაში, როსტომ მეფის სასახლის ტერიტორიაზე.

17 მაუდით, ჩითით, ფარჩით, ბამბითა და მატყლით მოვაჭრეთა დუქნების რიგი, დღევანდელი კოტე აფხაზის ქუჩაზე, სიონის ქუჩის პარალელურად.

18 ამ ტოპონიმს ბარნოვის წინარეთბილისურ ტექსტში, „არმაზის მსხვრევაში“ ვხვდებით კალასთან, ვარდისუბანთან, კალაუბანთან ერთად.

19 წოწოქა - იგივე ტყემლის საწებელი. ეს ტოპონიმი კრწანისთანაა დაკავშირებული.

20 წირანავორ - წითელსარტყლიანი ღვთისმშობელი (სომხ.), ტაძარი კრწანისში.

21 ადგილი კრწანისში, წინანაურის წყაროსთან.

22 მიკროუბანი ვერისუბანში, ახლანდელი მელიქიშვილის ქუჩასა და სემიონოვკის დასახლებას შორის. ვარდისუბანი ერქვა ამჟამინდელი ჯანაშიას ქუჩასაც, „სადაც ამავე დასახლების სოფელი იყო. არსებული ცნობებით ეს ტერიტორია ასკილის ბუჩქებით ყოფილა დაფარული და ალბათ სწორედ ამიტომ მიიღო ეს პოეტური დასახელება. აქ ქალაქური განაშენიანება გასული საუკუნის 80-იან წლებში ისახება“ (თ. კვრიკველია).

23 ვანქის უბანი, დაახლ. საზღვრები: ახლანდელი ორბელიანის მოედანი, ათონელის, ქუჩა, ბარათაშვილის ქუჩა, მტკვრის ქუჩა.

24 ორბელიანთა უბანში, ვანქის უბნის მეზობლად. დღევანდელ მშრალ ხიდამდე.

25 ბაზარი ახლანდელი ორბელიანის მოედანზე.

26 შეშის მოედანი, დღევანდელი ბარათაშვილის ქუჩის ტერიტორიაზე, ავანაანთხევის პირას, ხევის ამოვსებამდე.

27 ახლანდელი ღვინის აღმართი.

28 იგივე სომხის ბაზარი, ახლანდელ კოტე აფხაზის ქუჩის ჩაყოლებაზე.

29 იხ. ამ წიგნში: „ლავრენტი არდაზიანის თბილისი - ქუჩა, ინტერიერი, ხასიათები“, პირველი თავი: „შესავალი - ამბავისტების დრო“.

30 ნახსენებია ვასილ ბარნოვის მოთხრობაში „პრაფესორი“ (1901). ამ კონკრეტულ შემთხვევაში იგულისხმება სახლები დღევანდელ კოტე აფხაზის ქუჩის მიმდებარედ, მაშინდელ სალაყბოსა და შუა-ბაზარს შორის.

მღებრების ქუჩა[32]. გარდა ამისა, ვასილ ბარნოვის მოთხრობებში და რომანებში თბილისის შემოგარენში არსებულ ლამის ყველა სოფელს შეხვდებით: კოჯორს (კოჯრის სიო ქალაქური საგანცხრომო რიტორიკის განუყოფელი ნაწილია), ოქროყანის სანახებს, წოდორეთს, სათოვლეს მთას, ვერის ხევს, ლისს, თხინვალს, წყნეთს, საბურთალოს, ვაკეს, დიდუბეს, კუმისს[33], ტაშირის გარშემო მორანან ვაშლოვანი, ერტისი, ღოუბანი, ბორბალო, „ნარგიზები“, მარაბდა, *„და ძირს, ქვაყრილ დასწვრივ, თელეთი; ზედ ვაკეზე - წალახური, კოდა, ჭაობი და მუხათი“*, იაღლუჯი, შავნაბადა...

ვასილ ბარნოვი ხან პანორამულად ხედავს ქალაქს, ხანაც თავის რომელიმე პერსონაჟს დაჰყვება და მისი თვალით ახასიათებს თბილისის ქუჩებს და უბნებს. ამ სეირნობა-ხეტიალს ხშირად მონოლოგიც ახლავს თან.

აი მაგალითად, საამ გოსტაშაბიშვილის თბილისური მარშრუტი რომანში „ისნის ციხკარი“. კარზე 1795 წელია, ქალაქი თავდასხმის მოლოდინშია. საამი ნელა მიუყვება ქალაქის ქუჩებს, გაივლის დახურულ ბაზარს, ჩაივლის მეიდანზე, გავა ძველ ხიდზე, ხიდის ყურთან წმ. აბოს ნიშზე პირჯვარს გადისახავს, ხატს ემთხვევა და ახლანდელ ღვინის აღმართს შეუდგება. მარჯვენივ იგი ხედავს, რომ მეტეხის ციხეს ამაგრებენ, თუმცა იცის, რომ ციხე ისედაც მიუდგომელია. იგი თვალს არ აშორებს სიმაგრეს, *„სიამოვნებასა გრძნობდა, რომ ესეთი დარაჯი ედგა თავს დედაქალაქს“ (I, 342)*. შემდეგ საამი მაღლა ადის და მტკვრის ხეობას გადახედავს. ქალაქი ხელისგულივით გადაიშალა:

„შურის ციხიდან დაწყებული სოღანლუღამდის. ამ მტკვრისა და კრწანისის შუა მომწყვდეულ ადგილს განიერი ბოლო მდინარისა და წინანაურის ხევის შუა აქვს, წვერი სოღანლუღისაკენ. აღმოსავლეთისაკენ მტკვარი თანდათან უახლოვდება კლდეს. ადგილი თანდათან ვიწროვდება და იქ, სადაც კლდე დაწყდება, საურმე გზაღა დარჩება მთისა და მდინარის შუა. ეს ვიწროები კარებია, საიდანაც შემოდის ტფილისში სპარსეთიდან მომავალი გზა, რომელიც ერთადერთი ფარსაგი გზაა ჯარის გამოსატარებლად მტკვრის მარჯვენივ, რადგან კლდე თუმცა ძალიან მაღალი არ არის, მაგრამ სალია, საშინლად დახრამული და შეუძლებელია იმაზე ლაშქრის გადაყვანა, თუ გზა მცირეოდნად მაინც არის გამაგრებული. კარგა ხანი იდგა აქ საამი და გულდასმით ათვალიერებდა ადგილმდებარეობას. ეტყობოდა, ამ თვალიერებამ კარგ გუნებაზე დააყენა ვაუკაცი, რადგან მოღუშული სახე ნელ-ნელა გაუბრწყინდა და თვალებში სიხარული დაეტყო“ (I, 342-343)..

იქვეა აღწერილი მეტეხის გაყოლებაზე დასახლება, რომელიც იმდენად მჭიდროა, რომ მტკვარზე გადახედვა თუ გინდა, ვინმეს ეზოში უნდა შეხვიდე და იქიდან დატკბე ხედით, ანდა *„ერთ-ერთ წუმპიან ბილიკს უნდა ჩაჰყვეთ“ (I, 344)* მდინარის ნაპირამდე. საამი მეხანჯლეების უსტაბაშთან, იოთამე ბურჯელთან მიდის. მისი სახლის კედელი *„ზედ კლდის პირზე იყო მოკიდებული და ისე მკვიდრად, რომ სალის დანგრევა უფრო საფიქრებელი იყო, მინამ ამ კედლისა. ოთხ დაბალ სვეტზე ებჯინა ფართო საჩეხი, რომელიც ზაფხულობით მშვენიერ საგრილობელს წარმოადგენდა: სიო არასოდეს არ აკლდა, მტკვრის გუგუნი ნანად მოისმოდა, თვალთ დასატკბობლად დიდებული სურათი იხატებოდა წინ. სახლის მარჯვნივ ბაღჩა იყო გაშენებული. ფიცრულითშემოზღუდული ეზო წინ ჰქონდა მოქცეული, მტკვრისკენ კი არა, ქუჩის მხარეს.*

საამი რომ მივიდა, იოთამე ბაღჩაში ჩუჩუნებდა. ქოშებზე იდგა, თავზე ლურჯი ხელსახოცი ეკრა, ახალუხი ეცვა ღილებჩახსნილი. ხელოსანი მიეგება სტუმარს, პატივცემით მოიკითხა, სახლში შეიწვია. საამმა ბაღჩაში ამჯობინა ყოფნა და სტუმარ- მასპინძელმა უნაბ ქვეშ მოიკეცეს ხალიჩაზე“ (იქვე).

ამ შეხვედრის შემდეგ საამის ხეტიალი გრძელდება, ქალაქურ გეოგრაფიასთან ერთად მისი თვალით აღვიქვამთ ადგილობრივ ტრადიციებსაც. დადის, თვალს წყალს ალევინებს, თან უნდა, რომ *„დანამდვილებით“* იცოდეს აქაური ქუჩა-მეიდნები და ადგილები. როგორც ვთქვი, ბრძოლაა მოსალოდნელი და ქალაქის ვიწრობების და სხვა ადგილების ზედმიწევნით ცოდნა აუცილებელია. იგი ჩრდილო-დასავლეთისკენ მიდის[34] მტკვრის კარამდე (ზემოთ რომ წყლის კარი ვახსენეთ), ახლანდელ ბარათაშვილის ხიდამდე, გაივლის ამ კარს და ნუგზარ ერისთავის ხიდის ბურჯებს აკვირდება. გაივლის გარეთუბანს და ყაბახზე გადის:

„ასპარეზი ეხლა ცარიელი იდგა, ქვეითა თალარზე მტრედები შემომსხდარიყვნენ. მოაგონდა, რამდენი ხალხი ზიმზიმებდა აქ იმ დღესასწაულში, როდესაც იმან პირველივე შეტყორცნით გადმოაგდო თალარიდან ვერცხლის თასი. თვით ერეკლემ უქო მაშინ სიმარჯვე. ომს რომ გადიყრის ბატონი მეფე, კიდევ გაჰმართავს აქ დღესასწაულს. მაშინ საამი თინანოს სახელზე გავა მეიდანს. როგორი შურით შეხედავენ ბანოვანნი, როდესაც საამი ცალ მუხლზე დაყრდნობილი მიართმევს თინანოს ჯილდოდ აღებულს თასს!..“ (I, 348).

შემდეგ საამი ქაშუეთთან ავა[35], შემობრუნდება,

31 ციხესიმაგრე ქალაქის გალავნის სამხრეთ და დასავლეთ კედლების შესაყარზე. შაჰტახტი ობსერვატორიის დანიშნულებასაც ასრულებდა.

32 ნახსენებია „ისნის ციხკარში“, რომელიც 1795 წელს აღა მაჰმად ხანის მიერ თბილისის აღების მოვლენებს ასახავს, შესაბამისად უნდა იგულისხმებოდეს დღევანდელი ანტონ კათალიკოსის ქუჩის მონაკვეთი, რომელიც ბატონის მოედანზე იწყებოდა და კოტე აფხაზის ქუჩამდე ადიოდა. მოგვიანდებით, 1808 წლიდან სამღებრო სახელოსნოები ახლანდელი სამღებროს ქუჩაზე გადავიდა.

33 მოთხრობაში „ფერია“ (1927) კუმისის კლდეები და ბუღამის აღმართია ნახსენები, თავად კუმისის ტბაზე კი ვკითხულობთ, რომ იგი „მცირე ნაშთია იმ დიდი ტბისა, მტკვრისაგან რომ იყო აქ შემოღვრილი. კრწანისის ბოლოს მაშინ მდინარე მდინარე მარჯვენივ უხვევდა; ავსებდა ტაფობს, დიდ მორევად ატრიალებდ. იაღლუჯის დასაწყისში სადინელსვე გადადიოდა“ (VIII, 268).

34 „აღმა ჰქნა პირი“ (I, 348). დედანში თავიდან ეწერა: „პირი ჩრდილოეთისაკენ ქნა“, რომელიც ავტორს გადაუშლია.

35 ამ დროისთვის ქაშუეთის ახალი ეკლესია დგას აქ, 1753 წელს აშენებული.



ხევს გახედავს[36] და ქართლის კარით შებრუნდება ქალაქში. სიონისკენ გასწევს, გასცდება სიონს და დახურულ ბაზარში აღმოჩნდება, შემდეგ მეიდანზე გამოვა[37] და კარგა ხანს ცხვრების, ყოჩების დაჭიდებას ადევნებს თვალს.

საამი ისევ აგრძელებს გზას და ლეღვის ხევამდე მიდის, შემდეგ აბანოებისკენ შეუყვება, გაიფიქრებს, *„კარგი იქნებოდა, ბარემ მებანა“ (I, 349)*, მაგრამ მალევე გადაიფიქრებს. გადადებს სეიდაბადზე[38] გასვლასაც, პირს იბრუნებს და როგორც წინა დღეს, კვლავ ისნის (მეტეხის) ხიდზე გადავა, მეტეხს აუვლის, ისევ გადახედავს მტკვარს და წმ. ბარბარეს მოლოცვას გადაწყვეტს[39]. თან აკვირდება, რამდენად მოსახერხებელი იქნება მტრის შეჩერება მეტეხთან, თუკი მან მტკვარი ქვემოთ გადმოლახა, კახეთის ხიდით[40] ან სოღანლუღის ფონით.

შემდეგი გეოგრაფიული ეპიზოდი უკვე დაპყრობილ და განადგურებულ ქალაქში ვითარდება. ზარაფი მიღუა, თბილისის მოქალაქე, საუკეთესოდ შემკულ ხანჯალს არჩევს და დამპყრობელს, სელიმ-ხანს ეახლება, რომელიც ამ დროს *„გიორგი ბატონიშვილის სასახლეში ცხოვრობდა, წმ. გიორგის ეკლესიის გვერდზე, დიდი სახლის გადასწვრივ“ (I, 369)*. *„ტფილისი რომ აიოხრეს, ბატონიშვილის მეგობარმა განჯის ხანმა არც დაანგრევინა ეს სასახლე. სელიმი აქ დაბინავდა. მოგეხსენებათ, რომ უმთავრესი ბანაკი ყიზილბაშებმა სოღანლუღში დაჰკრეს, თითონ ტფილისში-კი რამდენიმე ადგილი დაიჭირეს ჯარებით“ (იქვე)*. მოგვიანებით სელიმ ხანი თავად აღა-მაჰმადხანს ეახლება, რომელიც ხალიჩაზე ზის და ბალიშზე დაყრდნობილი გაჰყურებს მთებს.

შემდეგ ისევ ჩნდება საამი, რომელიც უკვე *„ტაბახმელის თავქვეეშიდან“* დაჰყურებს თბილისს: *„გული მძლავრად აუტოკ-აუჩქროლდა. ეხლა მიხვდა, რა საუნჯე დაეტოვებინა ქალაქში. დაიწყო თვალიერება, უნდოდა მოეაზრნა თინანოანთ სახლი. <...> ჩასცდნენ ოქროყანას. ციხეს რომ გადახედა საამმა და ზედ ყეინის დროშა დაინახა, ბოღმით ცრემლები წამოსცვივდა“ (I, 381)*.

უმიზნოდ დახეტიალობს ქალაქში ოთარი რომანიდან, „სევდის საგუბარი“ (1917), *„მოუსვენრად, უაზროდ და უმიზნოდ“ (IV, 110)*. იგი შეყვარებულია და თავისი *„სულისდგმის“* წარმოსადგენად ქალაქის მაღალ ადგილებზე ადის:

„და მაღლიდან დაუწყო თვალიერება ქალაქს, რომ ეაზრნა ის უბანი, ქუჩა, სახლი, რომელშიც იმ-

36 სავარაუდოდ დაახლ. დღევანდელი თავისუფლების მოედნის და პუშკინის ქუჩის ადგილას.

37 აქ ერთი დეტალი აქვს გადახაზული ავტორს. როცა საამი მოედანზე გამოვა, დაინახავს, რომ „ზოგს ისევ ფეშატაღზე ეძინა პირდაღრენილს და გაღეღილს“ (I, 457). სავარაუდოდ ფეშთაყ (სპარს.), ბენვისაგან ან დაუმუშავებელი მატყლისგან, თექისგან დამზადებული ნოხი უნდა იგულისხმებოდეს (მნიშვნელობის გარკვევაში დახმარებისთვის მადლობა აღმოსავლეთმცოდნესა და მთარგმნელს, გიორგი ლობჟანიძეს და აღმოსავლეთმცოდნე დათო საკაძეს - ავტ.).

38 უბანი დღევანდელი აბანოთუბნიდან 300 არაგველის მემორიალამდე.

39 ალბათ ნავთლუღის წმ. ბარბარეს ეკლესია იგულისხმება.

40 დაახლ. დღევანდელი 300 არაგველის ხიდის ადგილას. მოგვიანებით მნაცაკანოვის ხიდი (XIX საუკუნეში). მანამდე აქ ხიდი XV-XVII საუკუნეებში არსებობდა.

ყოფებოდა მისი სულისდგმა. თავს ძალა დაატანა, დაახლოვებით მიიკლიკივა ის სასახლე, დააშტერდა; თითქო შესაძლო იყო განეჭვრიტა სივრცე თუ ყოველი სხვა დაბრკოლება და დაენახა სანატრელი, აწ ერთადერთი საგანი თვის მისწრაფებათა. ხელქმნილის თვალთან ერთად წაესწრაფა იქით მისი არსება: შეუგებლად დაეშო თავქვე, სწრაფად გაიარა მთელი ქალაქი და გაჩნდა იმავ მოჯადოებულ ქუჩაზედ, იმავ სახლთან, იმავ ალაყაფის კარებთან. ამაოდ! ქალწულის აჩრდილსაც ვეღარ მოჰკრა თვალი" (IV, 90).

მას გულისსწორის ნახვა სურს, მაგრამ ვერ ახერხებს, რადგან გზა, მარშრუტი არ აძლევს ამის საშუალებას. ქუჩა, სადაც ქალი ცხოვრობს, მიყრუებულია, იქ გზად ვერ შეივლი, მხოლოდ მაშინ მოხვდები იმ ადგილას, თუკი მყარად გადაწყვეტ, რომ იქ მიდიხარ და არა სადმე სხვაგან, ეს კი არ გამოეპარებათ ადგილობრივებს[41]. ამიტომ ოთარი ფეხს იორვეს, ქაშუეთის ბაღში დაეხეტება, ხეივნებს გაივლის უაზროდ, „უსაზღვრო დროის მისაწურ-დასალევად" *(IV, 111)*, ჩაუვლის აუზს, ჩამოჯდება სკამზე, ხის ქვეშ, თვალს მიადევნებს გამვლელებს, მოუსმენს შადრევნის ხმიანობას. ერთი შეხედვით, ჩვენ წინაშე ჩვეულებრივი, შეყვარებული ფლანერია[42]. თუმცა უეცრად ოთარი დაინახავს, რომ მისი გულნაზი ბაღში ჩამოსასვლელ ქვის კიბეზე ეშვება მარდად *(IV, 112)*,:

„მწყობრად მოაბაკუნებდა სპეტაკ ფეხთსაცმელს, თითქო სიმებს ურბენენო ბროლის თითები. ჩალის შაპო ეხურა ვარდით გარმოდებული. მისი კისკასი მოძრაობა, სხარტი აგებულობა, მსუბუქი ტანისამოსი ეთეროვან ქმნილებადა სახავდნენ მას, რომელი მიწას ფეხს არ აკარებდა, ჰაერში მოფრინავდა. პირს ღიმი უქროდა ქალწულს: სამხიარულო ჩვენებას თუ შესტრფოდა".

ისინი უკვე ერთად აგრძელებენ სეირნობას ხეივნებში, რითაც ფლანერის საქმიანობა დროებით სრულდება. გამვლელების ჭვრეტას ერთად-ერთ სასურველ ქალზე ზრუნვა და ფიქრი ცვლის. მოგვიანებით ოთარი ისევ იმავე უბანში, ცენტრში ტრიალებს, სასახლის ქუჩაზე. ახალი დაღამებულია და ლამპრებიც ეს-ესაა აინთო. თეატრის შესასვლელიც განათებულია, საგანგებო წარმოდგენაა დანიშნული, ოთარი თავის „გულნაზს" ელის. მალე ისიც მოშრიალდება და მოგოგმანდება.

„ამქრის მშვენებაში" (1918), კიდევ ერთ ქალაქურ ტექსტში, მორიგი დარდიანი ხეტიალი გვხვდება:

„ამ დროს დრტვინვით მოცული ვანო ვერ შემდგარიყო ერთს ადგილას: ნიადაგი ფეხსა სწვავდა განწამებს და არ აჩერებდა. დუქნიდან წასული მუხლჩაუდრეკლად გადადიოდა ქუჩიდან ქუჩაში, მთელი ავლაბარი შემოიარა შეუფერხებლივ; ბოლმა ბუშტივით აწვებოდა ყელში, ჯავრი აქანებდა თავის შავ ტალღებზედ, როგორც მსუბუქ ნავს საჭემილეწილს; მოზღვავებული გრძნობები გულის აფრებს ჰბერავდნენ გრიგალის ძალით და ლამის დაეხიათ იგინი, მთლად დაეგლეჯნათ" (V, 22).

„განსაკვილ სიმში" (1920) მთხრობელი მრავალთაგანია გარემოცული და მაინც *„მარტოებულია"*, *„ხალხით აღსავსე უხმო უდაბნოში"* (VI, 98) დადის[43]. საკუთარ თავს მიმართავს:

„განიმარტოვე თავი! მთლად კი არ განშორდე კაცთ სავანეებს, ადამიანთა ტალღებს[44], წუთიერ ყოფის ბილიკებზედ მიმავლებს[45]. იარე იქ, სად აბნეულ ხმაურობით სავსეა არე და მაინც სიჩუმეა შენთვის, უცხო დუმილი; სად აღსავსეა მიდამო ხლართულ მოძრაობით დაუდგრომელით და მაინც უძრავია შენთვის, გარინდებული" (იქვე).

ეს კაცთა სავანეები, დასახლებული ადგილები უკაცოა, აქაური მდუმარება კი სავსეა შეუცნობელი ხმებით[46]. ამ **ხალხით აღსავსე უხმო უდაბნოში** სახეტიალოდ მთხრობელს ყველაზე მეტად ისნის ვიწრო ქუჩები უყვარს:

„ქუჩაბანდები, ძველ ნანგრევებზედ შიგადაშიგ დაშენებული ახალი ქოხები; თუნდ ხარფუხის ქუჩაბილიკნი, სადაც სხვის ეზო თავის ზესვლაში თავს წასდგომია სხვა სახლის ბანსა, სარდაფი დასწორებია სართულს მეორეს. არ გინდა ისანში, აღარც ხარფუხში, თუნდ ჩუღურეთში? მაშ ანჩხატის კენ, ან გარეთუბნის ვიწრო ქუჩებში, თუნდ მთაწმინდაზედ, ოღონდ სულ ზევით, განაპირებში...

ნაღარ-ნალეწი სავალი ძნელი, მიყრილ-მოყრილი ბუნაგ-ბინები, კაცთა საჯგუფი რამ ყორეები... *ყველა თაობას სორო მიუდგამს წინაპართ სადგომისათვის, ყუდე რამ მიუშენებია წარსულთ ბუნაგზედ. იქ ყველა შუკა თუ ქუჩაბანდი სავსეა ხალხით, კაცთ ნალექის სიმრავლით უამრავით; გარდასრულ ხალხითაც აღსავსეა ძველის-ძველითა. ვის არ შეხვდები! ოღონდ კი თვალნი გესხდეს ხედვად სხვებისა, ხილვად აჩრდილთა; ყურნი გქონდეს ხმათა სასმენლად, შორეულ სიტყვათაც სულ უწინდელთა. რამდენ გარდასრულს მოსწყენია ბნელ აკლდამაში ყოფ-*

---

41 ასეთი რამ „თეთრ გვირგვინშიც" გვხვდება. ქალის დევნა უხერხულია, „ასევე ქუჩაში ერთსა და იმავე ადგილას ბრუნვა-ტრიალი; ხალხი მიაქცევდა მათ ყურადღებას და დასძრახადდა. შორს წასვლა და მიფარებაც საფიქრად სჩანდა: შესაძლო იყო, სწორედ მაშინ გამოევლო ქალს და ჩასცდენოდა. დაკარგული იქნებოდა კარგი ჟამი ქალის ნახვისა, მთელ კვირაში ერთი დილა მოხერხებული" (VI, 366). ზოგიერთი მთხრობელი ან პერსონაჟი საკმაოდ გაბედულია ამ თვალსაზრისით. შდრ. „ვი შენს დამკარგავს"-ში: „არ დაიჯერებთ, ყოველ კვირა განგებ მიდიიოდი მარმაშას სანახავად, მისი ეშხით დასათრობათ. სხვა არაფერი სიამოვნება არ იყო ჩემთვის საჭირო. სევდა რომ შემნომწოლია, მომიგონია ახირებული რამ, დავთხოვნივარ და მარმაშანთან ქუჩას მოვქცეულვარ, ეგება თვალი მოკრა-მეთქი სიხარულს" (I, 266).

42 ამ ცნების შესახებ (Flaneur) იხ. ამავე წიგნში: „ფრაგმენტები შოთა ჩანტლაძის ქალაქური ტექსტიდან"

43 შდრ. ვალტერ ბენიამინის სიტყვები: „ბოდლერს მარტოობა უყვარდა, მაგრამ ბრბოში მარტოობა სურდა".

44 შდრ. ვარიანტებში: „ადამიანთა სიმრავლეს გროვებს", „კაცთ სავანეების გროვებს, ადამიანების ბრბოის სიმრავლეს", „ადამიანთა ჯგუფთა სიმრავლეს" (VI, 489).

45 ვარიანტებში: „ბილიკ-ხვეულებზე მიმომრბენ ჯგუფებს და ხროვებს", გვხვდება „მიმოვსლელიც" (VI, 489).

46 შდრ. ვარიანტებში: „იქ, დასახლებულ უდაბნოში, ჟრიამულით სავსე მდუმარებაში", „არა დასახლებულ ადგილს უკაცოს სუფევს ცნობილ ხმებით სავსე მდუმარება" (VI, 489).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნა განმარტოებული და გამოსულა თავის სახლისა თუ ქუჩა-უბნის დასახედავად!..“ (VI, 99-100)

ზემოთ ფლანერი ვახსენე და მთხრობელს გვარიც ასეთი აქვს, მჭვრეტელობითი, იგი მამზერალიძეა, მარტოსული ქალაქელი, ვისაც სუნთქვა უჭირს, ვერ ძლებს ოთახში და ქალაქში გამოდის სასეირნოდ, ქვევით დაეშვება, დაღმართზე მოდის და ისე სწრაფად ჩაივლის ქუჩას, თითქოს „პირაშკმული სიბოროტე“ მოსდევს *„ვეშაპის სახით“ (VI, 101)*. როცა გონზე მოდის, უკვე ავლაბრის ხიდის ყურეზეა, მტკვრის ზვირთებს ჩასცქერის, რაც, ცხადია, თვითმკვლელობაზე ფიქრს აჩენს მკითხველში[47]:

„ჩქეფდა უფსკრულში მძლავრი მდინარე, ქაფდებოდა ურყევ სალთაგან შეზღუდვილი, იწროებული; გული უდუღდა გამძვინვარებულს. განწირვით ეხეთქებოდა კლდეებს, შოლტავდა, ზედ ასკდებოდა, ღრღნიდა ბოროტად პირქაფებული; წამს განშორდებოდა, ჩაიზნიქებოდა; წამს ახლტებოდა, აფრინდებოდა, ზედ ემტვრეოდა, ელეწებოდა. ამაოდ მძვინვარებდა! ყრუ სალს ურყეველს ვერა სწვდებოდა ვერც მისი ბრდღვინვა, ვერც თუ ქუხილი“ (VI, 101).

მონოლოგი გრძელდება. უფრო სწორად, საუბარი საკუთარ თავთან, რომელიც მტკვრის ბარნოვისეულ მითოლოგემას ძველი და ახალი შინაარსებით ავსებს:

„- საშინელია! ღრმა იქნება აქ?

- ძლიერად მოგხვევს მკლავს. დაგკოცნის ისე, ვეღარ ისუნთქო. კლდეს დაემზღვრევა აღბორგებული, შენც ზედ დაგაწყვეტს.

- ზედ დამახეთქებს შესამუსრავად?

- ჩაგნქთამს, მოსწმენდავს კვალსაც სისხლისა.

- რა ცივი იქნება სასტიკი!

- ხარბია, გაუმაძღარი. ნაჩვევიც არის აქ მდინარე შესაწირავსა, ადრინდელ დროდან შეჩვეულა.

- ძველ დროიდგანვე?!

- უწინდელ დროში საწამებელი ადგილი იყო ეს[48]. შეხედე ზევით ციხის საძირკველს: კლდის ქიმი რომ არის გადმოზნექილი, აღქაფებულს რომ დაჰმზერს უფსკრულს წამდგარი...

- ვხედავ იმ კონცხსაც, ქვეშ მჩქეფარესაც...

- იქიდან გადმოამზღვრევდნენ შეუნდობელს, რომ დასთხეოდა წყალიდან ოდნავ ამოჩენილ წვერებს სალისას და ჩაენთქა უფსკრულს იგი იმ წამსვე, მოეწმიდ-მოერეცხნა კვალიც მისი არსებობისა.

- ნიშანიც კი მისის ყოფისა...

- საწყალი უშანგ!

- ხმალი ღვთის გულისათვის!.. წარმკვეთეთ თავი!.. - იძახდა სასომიხდილი, როს მიათრევდნენ უფსკრულისაკენ.

- ცოდვაა ხმალი მოღალატისთვის!

- მიშველეთ!.. - გაისმა კივილი და მოეფინა საზარი ხმა ისნის აღმართებს, მთელ კალა-ქალაქს, ნარიყალასაც.

- მიამბე? - მერმე, შემდეგში...

აბოს ძვლებიც ამ უფსკრულს ჩაანთქმევინეს, წმიდა აბოსი. უამა თურმე გულჩახვეულსა: აციაგდა მორევი.

- აშუქდა?!

- თურმე შენთადა...

- იყუჩე, ბესიკ! ჰბეედავ, უმღერი ბატონიშვილსა?! მაღლა შეჰმზერი, უჰ, ძლიერ მაღლა! შეჰმართავ მზესა ღია თვალებით... დაგბუგავს თვალებს, წაგართმევს ხედვას და... და გადმოგამზღვრევს ამ ფრიალოდან. ჰბეედავ, შეჰხედო ზეამაღლებულს!..

მოვშორდი ხიდსა: ისნისკენ წაველ. სანთელი დავუნთე წმინდანის აჩრდილს[49] მიყუჟულ ნიშში: ციაგად მოევლინება წამებულს. ერთს წამს გაუნათებს ყოფას შავეთში“ (VI, 102).

„თეთრ გვირგვინში“ (1922) სამძივარი ყაბახზე სეირნობას ეჩვევა, მაღაზიებში შედის, ვაჭრობს:

„ჰაზრი ჰქონდა მას იდუმალი: გაეტანა თვისი მშვენება, ეჩვენებინა, თვალი მოეჭრა სანდომებისთვის. აქამდინ სწადა, რომ მისი კეთილქმნილება თითონ მიიზიდავდა ღირსეულებს; იმის გალიაკს სურვილით შემოჰგრაგნიდნენ მზეჭაბუკები, ვით ზღაპრულ ქალის მარმარილოს კოშკს, მის გულისათვის ძნელ ბრძოლასაც ჩასთვლიდნენ მღერად. რწმენა ჩაშლილმა აწ თითონ იწყო ვაჟკაცთაკენ სვლა, რომ მოეხიბლა ის გულქვავები, გამოება სარტყელის ფოჩებზედ, შებორკილნი მიეყვანა თვის გალიაკში. ერთ ამისთანა სეირნობის დროს შეამჩნია მისკენ მიმავალი იასე. მარტო მიდიოდა. ნავაჭრი რამ ეჭირა ხელში. ვერ დაინახა ქალი შორიდან, ვერც იგრძნო მისი მიახლოება. დაუსწორდა მას. შენიშნა, შედგა. ერთს წამს დაიბნა, თითქო შეკრთაო. თავი დაუკრა მდაბლად ქალთამზეს“ (VI, 440-441).

ეს დარდიანი სეირნობა და ვაჭრობა მერეც გრძელდება, *„დადის, დაეძებს თავის საძებარს: ყაბახი, ქუჩა, მაღაზიები, თეატრი, რაღაც საღამოები <...> ახლაც ბაზაზ ყასუმას დუქანშია ფანცის[50] სასყიდლად“ (VI, 461).*

ისტორიულ რომანში „ედიფალი ბიზანტიისა“ (1927), რომელიც XV საუკუნის საქართველოს ისტორიის ერთ მონაკვეთს ეძღვნება[51], ჭაბუკი ბაკური ლეღვთახევში დარდიანობს, ბაღნარში, მაგრამ დიდხანს ვერ ძლებს და აზიულას კარით[52] გადის ციხიდან, ბილიკებით მიიწევს ოქროყანისკენ, სოფელში არ შედის, მთაწმინდისკენ გადაუხვევს, ფრიალოზე. წინ ქალაქი გადაეშლება, მტკვარს და მეტეხს დაინახავს, დაძონძილი ტყით შემოსილ ფერდობებს, აღმოსავლეთით თვალუწვდენელ ტაშირებს, ქალაქის მარცხნივ კი მინდორ ვაკეს. ეს საბურთალოა, იქვე, მდინარის გადაღმა მოჩანს დიდუბეც, სადაც თამარ მეფემ ქორნილი გადაიხადა. ბოლოს ისევ მეტეხზე შეაჩერებს მზერას, რადგან იქაა მისი სატრფო, ხა-

47 ერთ-ერთ ვარიანტში, რომელიც ხელნაწერში გადახაზულია, მთხრობელი მოაჯირსაც გადაეყრდნობა.

48 შდრ. ამ ადგილის შესახებ იოანე საბანისძესთან, „აბოს წამებაში“ ტოპონიმები „სადილეგო“, „საგოდებელი“... იხ. ამ წიგნში: „გალაკტიონის ქალაქური ტექსტი - პოეტური ნარცისიზმი და ინტერტექსტუალობა“.

49 აბოს.

50 ფარჩა, ძვირფასი აბრეშუმის ქსოვილი.

51 კონსტანტინოპოლის დაცემა, გიორგი VIII-ს მეფობა და ა.შ.

52 კოჯრის კარით.

თუთა, მაგრამ „ჯიღოსანი გველეშაპი ზღვით გამოცურდა“[53] *და წაართვა მას ხათუთა.*

სააღდგომოდ იმპერატორზე დანიშნული ქალი მშობლიურ ქალაქს უბრუნდება. აქ კიდევ ერთხელ ვხედავთ ქალაქურ სცენებს, როგორ ამზადებენ კალაში მეფის სასახლეს სადღესასწაულოდ, მიმდინარეობს საგაზაფხულო ბარვა, კარის მებაღეები ფოცხავენ, ყვავილებისთვის კვლებს ავლებენ, „ფოთოლ-ჩინჩხვარს“ მტკვარს ატანენ, რომელიც იქვე ჩამოუდის ბაღის ბურჯებს, ასუფთავებენ სალაყბოს სასახლის წინ. ხელმწიფეს, გიორგი VIII-ს, ჩვეულება ჰქონდა, აღდგომას კალას სასახლეში ხვდებოდა, იქ თიბათვემდე რჩებოდა და მხოლოდ შემდეგ მიემგზავრებოდა „საგრილობლად“. სასახლეს „ისნის ხიდიდან ანჩხატამდინ ბაღი გასდევდა. მდინარეს მხარე უფშხვნელ კედლით თუ ბურჯებით გამტკიცებული, ჩასდევდა კედელს . <...> შესაძლო იყო მდინარის პირს ჩასეირნება: კიბე ჩასდევდა გვირაბამდინ, კარის წმინდა გიორგიდან მდინარემდინ რომ გაეყვანათ. ჩახვიდოდი, სასმისს რასმე აავსებდი, ქოჩორზედ ხელს გადუსვამდი მოცეკვავე ჭავლებს“ (VIII, 221-222).

კლასიკურ ქალაქურ ტექსტში „მტკვრის ვაუი“ (1934), პერსონაჟი, მღელვარე სულით გატაცებული მთაწმინდისკენ მიისწრაფვის (VIII, 264). მას სიხარული გულში აღარ ეტევა და მთაწმინდაზე ასული ხარ-ხარებს, ხტის, ცეკვავს, ლოდებს აგორებს, სალებს სტყორცნის.

„სახიფათო სიყვარულში“ (1909) ერთხელ პერსონაჟები ქალაქი არც შედიან, ისნის ბოლოზე ჩაუვლიან მას და გორაკებიდან მოჰკრავენ თვალს „ქალაქის ზედიზედ მიყრილ სახლებს“ (II, 228), თუმცა იმავე რომანში დეტალურადაა აღწერილი ქალაქის ერთ-ერთი ისტორიული ღირსშესანიშნაობა, როსტომ მეფის სასახლე - სალი კლდე მტკვარზე, ბურჯები, სარდაფები, ბაღები, მეფის პალატები, მოკლედ, ანჩის ხატიდან - ისნის ხიდამდე გაშლილი ნალკოტი, რომელსაც ქვეცნობიერივით აქვს ჩაშენებული ჯჯურღმულები:

„როსტომ მეფემ როცა ახალი სამეფო პალატები ააშენა ტფილისში, ძველ საძირკველზე ამოიყვანა შენობა, მხოლოდ გაამაგრა ეს საძირკველი, გააფართოვა და წაუმატა ქვეით მტკვრის ჩაყოლებით. არც საჭირო იყო ახალ საფუძვლის ამოყვანა: აქ სალი კლდეა მტკვრის ნაპირას და ამ კლდეში იყო ძველი საძირკველი გაჭრილი, დუღაბია ჩასხმული და ისეთი შეურყეველი რამ კედელია ამოყვანილი, რომ მისთვის დღევანდლამდისაც ვერ დაურევია ხელი ვერც მძვინვარე მტკვარს, ვერც ყამთა ბრუნვას. რომ მაინც უკეთ დაეცვათ მდინარისაგან შენობა, რამდენიმე ბურჯი წასწიეს წინ.

ეს საძირკველი ძირში ბითუმი იყო, ხოლო ზევით წვრილ-წვრილი სარდაფები ჰქონდა დატანებული, მთლად თაღად ნაქცევნი. ამ სარდაფების ძლიერ ვიწრო და მაღალი ფანჯრები მტკვარს ესე ორი ადლის სიმაღლიდან დაჰყურებდა. ფანჯრებს შუაზე ბორჯღლიანი რკინა ასდევდა. ეს ფანჯრები და თითონ ჯჯურღმულები უფრო საქარეებსა ჰგვანდა, ჰაერის სამუშაოდ დატანებულებს. ადიდებული მტკვარი ხანდისხან უწევდა ფანჯრებს და ჯჯურღმულებს, მაგრამ რას დააკლებდა ქვაზედ უმაგრეს კედლებს! ზევიდან ქვის ვიწრო ხვეული კიბე ჩასდევდა ამ სარდაფებამდის.

ჯჯურღმულების ზევით იყო გამწკრივებული თაღიანივე ფართო და ნათელი სარდაფები, რომლებიც შეადგენდნენ სასახლის საკუჭნაოს და სავსენი იყვნენ ყოველივე კეთილით.

სარდაფების ზევით იდგნენ თვით პალატები მეფისა.

მარჯვნივ და მარცხნივ მდინარის პირს გასდევდა სასახლის წალკოტი, ანჩისხატიდან ისნის ხიდამდის. მთელ ამ წალკოტის სიგრძეზე მტკვრის პირპირ ჩასდევდა დუღაბითვე ამოყვანილი კედელი და იმის დაყოლებით ადგილ-ადგილ წარდგმული ბურჯები.

როსტომს ძალიან უყვარდა ამ წალკოტში განცხრომა. შეექცეოდა ყავას თუ ყალიონს თალარის ქვეშ.

ყაფლანი რომ შეიპყრეს, უნდოდათ სხვა მოღალატეებთან ერთად ისიც ნარიყალაში დაეპატიმრებინათ, მაგრამ მეფემ არ ისურვა ეს და უბრძანა ჩაეგდოთ ჯჯურღმულში, სასახლის ქვეშ. იქნება იმ აზრითაც იყო დატანებული ეს ჯჯურღმულები, რომ საჭირო შემთხვევაში საპყრობილედაც გამომდგარიყვნენ. ამგვარად ერთი ამ საკანთაგანი შეიქმნა ყაფლან არსიანელის საპყრობილედ“ (II, 219-220).

მეფის ეს სასახლე, რა თქმა უნდა, ქალაქის ცენტრად მოიაზრებოდა იმ საუკუნეში, როცა აშენდა, თუმცა თბილისში სხვადასხვა დროს სხვადასხვა ადგილას იყო ცენტრი. მოთხრობაში „ნუშო“ (1895) სასახლის ქუჩაა აღწერილი, რომელიც სასახლის მხარეს[54] *განათებული იყო და ხალხი ბუზივით ირეოდა, გადასწვრივ კი, სადაც საჯარო წიგნსაცავი და ქალების გიმნაზია იდგა, თითქმის ბნელოდა (I, 190)*[55].

თამამშვეის ქარვასლით იწყება მოთხრობა „პრაფესორი“ (1901), დღევანდელი თავისუფლების მოედნით, XIX საუკუნის თბილისის ახალი ცენტრით, სადაც უკვე ცხენის რკინის გზის სადგომია, თუმცა იქვე თათარს ხილის მაღაზია აქვს გამართული, საიდანაც გამოდის ექვთიმე უნდობელი და ქვაფენილზე იწყებს სიარულს: „დროს გასატარებლად ქალაღდის პარკიდან ყურძენს არჩევდა და შეექცეოდა. მარჯვენაზე თათმანი არ ეცვა; თეთრ ხელს ფაქიზად შენახული ფრჩხილები და ბრილიანტის ბეჭედი უმშვენებდნენ“ (I, 329).

სწავლის დასრულება და კარგ სამსახურში შესვლა მაშინ ქალაქის ცენტრში სეირნობასაც ნიშნავდა. კოხტად გამოწყობილები აივლიდნენ სასახლის ქუჩას და გოლოვინის პროსპექტს, ჩაუყვებოდნენ ქაშვეთის ბაღს და ბულვარს, რომლის გარშემოც არაერთი რესტორანი იყო. მაგრამ, ამას გარდა, არსე-

53 ბიზანტიის იმპერატორი იგულისხმება, კონსტანტინე XI პალეოლოგოსი. ერთ-ერთ ვარიანტშია: „გამოვიდა შავი ზღვიდანა, შემოეხლართა“ (VIII, 590).

54 ახლანდელი პიონერთა სასახლე.

55 სხვათა შორის, არაერთხელ მიუქცევიათ ყურადღება იმისთვის, რომ რუსთაველის გამზირის მარჯვენა „ნაპირი“ ყოველთვის უფრო ხალხმრავალია.

ბობდა მარცხენა ნაპირიც, კუკია, დიდუბე, ჩულურეთი, შედარებით თამამი ადგილებითა და დანესებულებებით. ზემოთ სასახლის ქუჩის მოპირდაპირე ბნელი მხარე ვახსენე, მოთხრობიდან „ნუშო“. სწორედ მაგ მხარეს დგას ჭაღარაშერთულწვერიანი, თვალებზე წარბებჩამოფხატული და მარჯვენა სალოკ თითზე ფირუზისბეჭდიანი მამაკაცი, ღიპგადმოგდებული, ევროპულად ჩაცმული, რომელიც საყვარელს ელოდება. საყვარელი შავებშია ჩაცმული და ქევქვით მოდის (მუზეუმის მხრიდან გამოჩნდება[56]), ფუნჯებიანი მოსასხამი აქვს მოგდებული და ყოველ ნაბიჯზე ირხევა ეს ფუნჯები, მარჯვენა ხელში მაღალტარიანი ქოლგა უჭირავს, მარცხენაზე კი აბრეშუმის შალი აქვს გადაგდებული. სხდებიან ეტლში და ჯერ მუშტაიდისკენ მიჰქრიან:

„ეტლი რომ მუშტაიდის ბაღს უვლიდა გარს ხეივნებზე, ნუშო ყინმოსულ ვაჟკაცის მძლავრ მკლავებში თრთოდა, როგორც გველშემოხვეული ჩიტი. კაცმა გამოყო თავი დახურული ეტლიდან და უბრძანა სასტუმროში წასულიყო.

მუშტაიდის მხრიდან რკინის გზის სადგურისკენ რომ ქუჩა მიდის, იმ ქუჩაზე იყო ეს სასტუმრო, ოთახები სუფთად ჰქონდათ შენახული, ყოველთვის დიდი სიჩუმე სუფევდა აქ. არც დღიურად, არც ხანგრძლივი მცხოვრები მუშტარი არა ჩანდა; დერეფანში რომ შავი ფიცარი ეკიდა, ერთი-ორი გვარის მეტს ვერას დროს ვერ ამოიკითხავდით იმაზე. რასაც მოითხოვდით - სასმელს თუ საჭმელს - მაშინვე გააჩენდნენ. ღამე კი იღვიძებდა ეს სასტუმრო; მაშინ ხშირად ჩერდებოდნენ იმის კარებზე წამოხურული ეტლები, რომლებიდანაც გადმოდიოდნენ სამრუშოდ გამოპარულები და ფეხაკრეფით, ფრთხილად არბოდნენ კიბეზე. ეს ხალხი დაქირავებულ ოთახში სულ საათი, საათ-ნახევარი რჩებოდა, ათასფერ რასმე თხოულობდა, არ ჩინჩობდა, ფულს აბნევდა. ზოგიერთ ოთახებიდან ბანქოს მოთამაშეების ხმა გამოისმოდა. მსახურები დერეფანში არ ირეოდნენ, მარტო სასტუმროს პატრონი იღებდა ყველას. ზარის პირველსავე დაწკარუნებაზე კი გაჩნდებოდა ბიჭი, მარდად აასრულებდა ბრძანებას და ისევ გაქრებოდა. სასტუმროს მეორე კარი ჰქონდა სხვა ქუჩისკენ“ (I, 191-192).

მოგვიანებით, 11 საათზე, ფირუზისბეჭდიანი ისევ დახურული ეტლით დააბრუნებს ნუშოს თავის სადგომში:

„დახურული ეტლი ანჩხატისკენ ჩასავლელ ვიწრო ქუჩასთან გაჩერდა. კაცმა გადმოსვა ნუშო ეტლიდან. ჩაიარეს ვიწრო ქუჩა, შეუხვიეს მარცხნივ, გავიდნენ ძველ ალაყაფის კარებში, რომელსაც მუხრანიანთ ხიდზე გაჰყავს, გაიარეს ხიდი და გამოჩნდა ქალის სადგომი. აქ გამოემშვიდობნენ ერთმანეთს.

ნუშო ფრთხილობდა, რომ არავის გაეგო იმისი ამბები, ეტლს იმისთვის აჩერებდა მოშორებით“ (იქვე).

ქალაქის განაპირას აშენებული სამსართულიან სკოლის აღწერით იწყება „ნაღიტა და ფეთება“ (1898).

56 კავკასიის მუზეუმი იგულისხმება, სასახლის ქუჩაზე.

სკოლას ქვიტკირის გალავანი არტყია (I, 200), ერთ-ერთ ვარიანტში კი ჭიშკარი ქუჩაზე გამოდის, რომელიც ბოლოს სასოფლო შარას უერთდებოდა (I, 448). ეს კი გვაფიქრებინებს, რომ სკოლა გარეთუბნისა უნდა იყოს, პირველი გიმნაზია, ახლანდელი პირველი საჯარო სკოლა.

ზემოთ სამეფო ჯურღმულები ვახსენეთ, თუმცა ქალაქში სხვა, გაცილებით ბევრი სარდაფი, სორო და ხაროა, სადაც ზოგი ძვირფასეულობას მალავს, სხვები ცხოვრობენ ან პატიმრობაში ატარებენ წლებს.

„ქოჩორა ხე"-ში (1898) პატარა კიკოს პაპა თავის ახალ ბინაში დატოვებს, სადაც ორივე ფანჯარას მეზობელი სახლის ყრუ კედელი აჰფარებია, „*კარი და მესამე ფანჯარა პაწაწინა მურდალ ეზოს გადასცქეროდნენ, ეზო კი არა, რაღაც ხარო იყო, ნესტიანი კედლებით შემოზღუდული. შეეიწროვდა ბავშვი, მარტოობა და ტყვეობა იგრძნო, გული დაეხშო, თვალს ცრემლი მოედინა, ატირდა. ის ბითუმი კედელი, რომელიც ფანჯრებს ვაგლახად აჰყუდებოდა წინ, თითქო პატარის ცხოვრების გზას გადაჰლობებოდა და ბედი დაეხშო მისთვის*" (I, 219). მიუხედავად ამისა, ღამემაობით მთვარე ამ ხაროშიც აგზავნიდა თავის შუქს, „*დეე, ის ეზოც მე შემომხაროდეს, ჯურღმულივით პირი ნუ მოუქუშავს, ერთ წამს მაინც განათლ-გაბრწყინდესო. შუქი ჩაფრენილიყო ეზოში, მიფარფატებულიყო აივანზე* და შეჩერებულიყო" (I, 225).

„განასკვილ სიმშიც" გმირი ჯურღმულში ცხოვრობს, ქვემოთაა ჩასავალი, ბუნაგი აგურის იატაკით, ადგილ-ადგილ აცვენილი, ბუხრის ნანგრევით (VI, 107).

ცხადია დიდებულების, დიდკაცობის სახლები და სასახლეებიც არაერთია აღწერილი ბარნოვთან. „სადედოფლო სარტყელში" (1929) გვხვდება ორსართულიანი დიდი სასახლე მტკვარზე გადაკიდებული აივნებით, „*ზევით მხარეს მშვენიერი წალკოტი ალვის ხეებით; ლითონის ლომები ალაყაფის დარაჯებად; მარმარილოს კიბეები წითელ მაუდით დაფენილი; სამადლიანი ფანჯრები მთლიანი ბროლისა, მზის სხივებზედ რომ თვალსა სჭრიდნენ ლაპლაპით; ბატონი გრიგოლ გრძელტარიან ყალიონით, უშველებელი ნაგაზი რომ ახლავს განუშორებლივ*" (*VI, 115*).

შიგნიდან ეს სასახლე ასე გამოიყურება:

„*გაჩირაღდნებული სავანე დიდებულთა. ჭაღები, ვერცხლის შანდლები, წვივმაღალი ლამპრები, მრთელი იატაკი ორხოებით*[57] *მოფარდაგული, კედლები დიდრონ სურათებით მოფენილი. ხავერდის სავარძლები, სელები. შირმაითი მოჭედილი სკამები. ჯურა-ჯურა მაგიდა თაიგულებით დატვირთული. ფაიფურის მაშრაფები ყვავილებით. ვერცხლის სურები, თასები, ჩოღრათოები... ზეკაცთა სადგომი სამოთხისებური. რა შრიალა ტანთსაცმელი! ქალ-რძალნი პირად-პირადად შემკულნი. ჯინჯვილებიანი ვაჟკაცნი მხრებოქროიანნი. მათ შორის რიხიანი ბატონი ბაგრატ ყურთმაჯებგადაყრილი*[58]. *განა ერთი ოთახი, მთელი ჯგუფი ნაირნაირად მორთულ დარბაზებისა, გალიაკებისა. სუნნელება სუნნად - სუნნელი. საიდანღაც საკრავთ ყღერა, ტკბილი ღიღინი*" (*VI, 119*)..

მთხრობელი ან პერსონაჟი ხშირად უცხო ქუჩაზეც ხვდება. ზემოხსენებული კიკო მაგ. სკოლის „შხეპლებს" გამოექცევა, გაძვრება სკოლის ალაყაფიდან და შინისკენ დაეშვება. სახლში დიდხანს ვერ ჩერდება, ფიქრობს, რომ მიაგნებენ და ქუჩაში გამოდის, უცხო ქალაქის უცნობ ქუჩებში იწყებს ხეტიალს, ხიფათისგან გაცლას, გადამლვას ცდილობს. ხიდზე გადადის, თავისი სოფლისკენ გაიხედავს და კლდის წვერზე ქოჩორა ხეს დაინახავს[59], რომელიც მისი მფარველ-პატრონივითაა, ერთგვარი საზღვარი ქალაქს და სანატრელ სოფელს შორის. კიკო გზას აგრძელებს და ლამისაა ქალაქს გასცდეს. მიადგება ჯარისკაცების სადგომს:

„*ნაცნობი აუტანელი ბუღი ეცა ცხვირში და უნებლიედ ფეხი აიჩქარებინა: სასწავლებელი, მასპინძლის სახლი, მთელი ქალაქი ამ საძაგელ სუნს დაადარა, ეს სიმყრალე იმათ გამომსახველ ნიშნად დასახა*" (*I, 233*).

საერთოდ, ამ მოთხრობაში, „ქოჩორა ხეში", ბარნოვს ძალზე გამძაფრებული აქვს სურნელების აღქმა. ზემოთ დამოწმებულ სცენაში, სანამ კიკოს მარტო დატოვებენ ნესტიან ხაროში, გზაა აღწერილი და ის სურნელები, რომლებიც კიკოს აწუხებს:

„*დიდ საბაჟოს რომ დაუახლოვდნენ, კიკოს ცხვირში საზარელი სუნი ეცა: ჩამყავებული პურისა, ჩამპალი კომბოსტოსი, წაღებისა, ლობიანი მაზარებისა და კიდევ სხვა განსაკუთრებული ბუღისაგან შეზავებულმა სიმყრალემ ცუდად აუჩუჩუნა სუფთა ჰაერს ნაჩვევი ნესტოები. გაიხედა და ერთ გრძელ სახლში ჭიანჭველასავით ირეოდნენ ჯარისკაცები, შედი-გადიოდნენ, ერთმანეთს აწყდებოდნენ, ილანძღ-იკრიჭებოდნენ. ის საძაგელი ბუღი იმათი სადგომის კარ-ფანჯრიდან გამოსჩქროდა, არ უამა პატარას*". (*I, 218*)

გავაგრძელოთ ქალაქის თვალიერება. ზემოთ ვახსენე უკვე „თეთრი გვირგვინი" და ეს მოთხრობაც უბნის და სახლის აღწერით იწყება. უბანი ანჩხატია, სადაც იასეს მამას ორსართულიანი სახლი აუშენებია:

„*ქუჩაში გადმოკიდებული აივანი ჩუქურთმიანი სვეტებით, სურათებით; მიწური ბანი, ლაბირინთი*[60] *გარშემორტყმული. ხნიერობა დასტყობოდა შენობას: შეხუნებული საღებავი, დაჭაჭული ბათქაში, შიგადაშიგ ჩამონგრეული. არც საწვიმე ღარები ახალ-ახლობდნენ. მაინც მაგარი სახლი იყო, მკვიდრად ნაშენი*" (*VI, 361*).

თავად ქუჩები სხვადასხვანაირად გამოიყურებიან XIX-XX საუკუნეეთა მიჯნის თბილისში. ახალი უბნები მოკირწყლულია, ძველი, ხშირ შემთხვევაში, ჯერ არაა მოფენილი და ადგილ-ადგილს ნიაღვარს აქვს დახრამული, ასე რომ, ამ სახიფათო ადგილებში მამაკაცებს შეუძლიათ დრო იხელთონ და ქალების სიახლოვითაც დატკბნენ დახმარებისას. ვასილ ბარნო-

57 ხალიჩა

58 სახელო.

59 ხეები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ბარნოვის ქალაქურ პროზაში, კონკრეტულად ეს ქოჩორა ხეც არაერთხელაა ნახსენები მასთან და ამაზე უფრო ვრცლადაც ვისაუბრებ.

60 „ჭერის კოჭებს ზევით აყვანილი კედელი", ა. ელერდაშვილის უნივერსალური ლექსიკონი.

ვის მსუბუქი ეროტიზმი კიდევ ერთი ქალაქური მოტივია:

„ფრთხილად უნდოდა გადასვლა არხივით თხრილზედ. წადგა ნაბიჯი და გაჩერდა ოდნავ წახრილი, ფრთებგაშლილი გასაფრენად. გადახტა ვაჟი, გაუწოდა ქალს მარჯვენა, თხრილს გადაავლო. ნაზი ღიმილი სამადლობელი. რა თბილი ხელი! მკერდით მკერდს შეხვდა გადაფრენილს და იგრძნო სილბო ჩვილის ბირთვების“ (VI, 431).

ცხადია ვასილ ბარნოვის პროზაში ე.წ. „სამრეწველო რევოლუცია“ და ქალაქის სწრაფი განვითარებაც კარგად აისახა. „ფარჩის ახალუხი“ (1912) სწორედ ასეთი სურათით იწყება, სადაც ახალი, დიდი სახლები ღრუბლებს ეთამაშებიან, ბაბილონის გოდოლივით ცას ებჯინებიან, ზვიადად გადაჰყურებდნენ არემარეს, ზოგჯერ კი საერთოდაც არ კადრულობდნენ ძირს დახედვას:

„...თუ ოდესმე დაჰხრიდნენ თვალს, მხოლოდ მისთვის, რომ მოეთვალიერებინათ, კიდევ ხომ არ იდგა მათ ახლო ბეჩავი რამ შენობა, წელში გადახრილ-გაღუნული, რომ დაეპყროთ იგი, უფრო გაეფცრთოვებინათ თავიანთი ვრცელი მიდამო, ხოლო თვით შენობა მოეხმარებინათ ქვა-ღორღად ახალი ნაბიჯის წარდგმის დროს და ჩაენთქათ იგი უკვალოდ. შესწოვდა რომელიმე შენობა-ბუმბერაზი ამგვარ ბუნაგის სისხლს, ჩანთქამდა მის რბილს თუ ძვალს და უფრო გადიფურჩქნებოდა, ფერს დაიწმენდდა, დაშვენდებოდა, გაიზრდებოდა, გალაღდებოდა კმაყოფილი. ეს იყო მიზეზი, რომ პატარა შენობები ძრწოდნენ მათი შიშით, ილეოდნენ, უჩინარდებოდნენ“ (III, 7).

გაპიროვნების ეს მწკრივი შემდეგ აბზაცებშიც გრძელდება:

„გარნა წმიერი იყო ამ ბუმბერაზს შენობათა კმაყოფილება; მცირე მოძმეების ჩანთქმა და მათ ნაოხარზე ფესვების გადგმა მხოლოდ წუთიერად აკმაყოფილებდა მათ შეუზღუდავ ლტოლვილებას განდიდებისადმი: კვლავ აღეგზნებოდათ დაუშრეტელი ალი ზვიადობისა და მოსისხლე თვალებს მიმოავლებდნენ გარემო დაუნდობელ-გაუმაძღარნი.

შურით და შიშით შეჰყურებდნენ ბოღმამორეულნი სხვა მათსავით უსაზღვროდ განდიდებულ შენობებს, რომლებიც მეტოქედ ამოსდგომოდნენ მათ გვერდში, წინააღმდეგობას უწევდნენ და ისწრაფოდნენ თავს წასდგომოდნენ, დაეჩრდილ-დაეჩაგრათ იგინი. დაუცხრომელი შური და სევდა ჰერღნიდა მათ ქვის გულ-ღვიძლს. ამისთვის გამოიყურებოდნენ მათი ცივი თვალები ისე უკაცურად და სასტიკად. ხოლო ყველა ამ ხელთქმნილ გოლიათებს საერთოდ აწამებდათ ის, რომ თავიანთ სიდიადეში მაინც მღოღავ რამ ჭიებად მოსჩანდნენ იმ უშველებელ კლდის წინაშე, რომელიც თავს წამოსდგომოდა მათ მედიდურად და სევდიანის ღიმილით დაჰყურებდა ზევიდან“ (III, 8)[61].

თიმოქოს წარმოუდგენელია XIX-XX საუკუნეების გასაყარზე ასეთი მასშტაბისა და სიმაღლის ნაგებობების არსებობა, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იმდროინდელი თბილისისთვის უზარმაზარი ქარხნებისა და ფაბრიკების მშენებლობაც დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა, რომ აღარაფერი ვთქვათ უზარმაზარ საცხოვრებელ სახლებზე და სასტუმროებზე.[62] XIX საუკუნეში სეიდაბადში აშენდა ადელხანოვის ტყავის ქარხანა და მოგვიანებით ფეხსაცმლის ფაბრიკა, ჩითახოვმა ბამბეულის ძაფსახვევი ფაბრიკა ააშენა, ერთმანეთის მიყოლებით ამუშავდა თამბაქოს შვიდი ფაბრიკა (მათ შორის ენფიანჯიანცი, საფაროვისა და ბოზარჯიანცის) და ბევრი სხვა. საგრძნობლად იმატა მოსახლეობამ, გარჩნდა ერთი მხრივ მუშათა მოზრდილი დასახლებები, მეორე მხრივ კი, მსხვილი და ნვრილი ბურჟუაზიის უბნები. თუკი 1865 წელს ქუჩების 42 ათასი კვადრატული საჟენი ქვაფენილი იყო, 1900 წლისთვის 170 ათას საჟენამდე გაიზარდა ეს ფართობი. დაიწყო თანამედროვე ტიპის ნყალმომარაგება, გაჩნდა საკანალიზაციო ქსელი, „კონკის“ რკინიგზა, ღამის განათება. აშენდა ძალიან ბევრი 3 და მეტსართულიანი ნაგებობა, როგორც გარეთუბანში (სოლოლაკში), ისე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე.

ვასილ ბარნოვი ამ შესავალში ზვიადი შენობების აღმშენებლებსაც ასეთივე გულქვებად და გულცივებად წარმოგვიდგენს. მათ მიერ *„მარმარილოსაგან შეთხზილი“* ნაგებობებივით ისინიც ვერაფერს გრძნობენ:

„იმათი თვალიც ისეთივე მშრალი იყო და ულმობელ-მიუკარებელი, როგორც მათი მოვარაყებული სასახლეები; ისინიც ისეთივე უკაცურნი იყვნენ და დაუნდობელნი, სხვის ოფლით თუ სისხლით გასუქებულ-გამთქვინებულნი. დახშობილი ჰქონდათ მათ სასმენელი კეთილისა და ძალმიხდილ იყვნენ ქმნად სიკეთისა. მიისწრაფოდნენ იგინი ცხოვრების შარაზე და ჰქელამდნენ გზადაგზა სუსტთა და უძლურთ. ბეჩავთა გმინვა საამო ღიღინად მოესმოდათ მათ და სიხარულს აღვივებდა მათ გულში: ჩაგრულთა კვნესა ნიშანი იყო ზვიადთა აღორძინებისა, რადგან მათი კეთილდღეობა დამყარებული იყო ბეჩავთა უბედურებაზე, მათი ბედნიერების ყვავილი ირწყვებოდა ტვირთმძიმეთა ცრემლით და იფურჩქნებოდა.“ (III, 9).

როგორც ხედავთ, აქ ერთგვარი იერქარქიაც ჩანს, ხელთუქმნელი ბუნება (კლდე) - ხელქმნილი ნაგებობა - ამ ნაგებობის შემოქმედი ულმობელი, გულცივი ფენა და ბეჩავი, ჩაგრული ადამიანები მძიმე ტვირთით. მესამე თავში ბარნოვი ერთ-ერთ მთავარ გმირსაც გვაცნობს, რომელიც გულცივადაა გვარად და როგორც შესავალშია აღწერილი, მის მედიდურ სასახლეს სხვა დაბეჩავებულ ქოხთან მეზობლობის ატანა უნევს. ესაა შროშანაანთ ქოხი, ვისთან თანაარსებობაც უკადრისად მიაჩნია სასახლეს:

„მტაცებელის თვალით დაჰყურებდა მას ზევი-

61 ამ თემას ბარნოვი კიდევ უფრო დეტალურად ამუშავებს და ერთი მხრივ ხელთქმნილ სილამაზეს წარმოგვიდგენს, მეორე მხარეს კი ხელთუქმნელ მშვენიერებას. „ხელთქმნილი გოლიათნი განუქარვებელის ჯავრით შეჰყურებდნენ დიდებულ კლდეს, რადგან იცოდნენ, რა მოკლე ხნისა იყო მათი არსებობა მის შედარებით: დადგება ჟამი და მტვრად იქცევიან მის ფეხთ ქვეშ, როგორც მტვრადვე ქცეულან მათნი წინაპარნი; ხოლო იგი კლდე ურყევი იდგება საუკუნოდ და მწარის ღიმილით გაიხსენებს შემდეგში მათ წამიერ არსებობას, მათ არარაობას. ეს უნყლავთ გულს ამ ხელთქმნილ გოლიათებს და ამისთვის გამოიყურებიან იგინი უკაცურად, სასტიკად“ (III, 8).

62 ამ პერიოდის სასტუმროებზე იხ. დავით ხოშტარია, თბილისი - ძველი სასტუმროები, თბ. „არტანუჯი“, 2011. 29-92 გვ.

დან და უკვე გაწვდილი ჰქონდა თვისი მძლავრი ბრჭყალი მის ჩასათრევ-ჩასანთქმელად. ვერ გაეგო ზვიადს, რომ იმ ქოხსაც ისევე უნდოდა არსებობა, როგორც თითონ მას, რომ იმასაც უყვარდა თავისი თავი და ჰსურდა მზისთვის ეყურებინა. სასახლე დარწმუნებული იყო, რომ თვის გარშემო ყოველივე უნდა ჩაეჩრდილა და მოეშთო სწორედ ისე, როგორც ამოიჭამს ძლიერი მუხა სხვა ყველა ხეს თავის ახლო და მედიდურად გადიშლება გალაღებული.

გულცივაძეს დიდი ხანია მოფიქრებული ჰქონდა შროშანაანთ სახლის მოპობა, გეგმაცა ჰქონდა თავის სასახლის განზე გასაწევად შედგენილი და ამ გეგმაში უკვე შეტანილი იყო იმ ქოხის ადგილი. იმას უკვე გაწვდილიცა ჰქონდა ქოხისკენ თავისი მხეჭავი ხელი დაუნდობელი, ვერ შეეგნო მას და არც ენაღლებოდა, რომ მეზობელ ქვრივს სალომეს ისევე ძვირად ღირდა თავისი მიძველებული ბუნაგი, როგორც მას თავისი ბრწყინვალე სასახლე, რომ მისი სულისდგმაც ისევე იყო შედუღებული და შესისხლხორცებული იმ პაწაწა სადგომთან, როგორც თვით გულცივაძე იყო შესისხლხორცებული თავის ძვირფას შენობასთან" (III, 10-11).

ასეთ, განახლებულ ქალაქში ცხოვრება ძნელდება, ძვირი ხდება. „გველის ზეიმში" (1919) ასეა სიტუაცია დახატული:

„ქალაქ! ადგილას მხოლოდ ვაჭრებს და მტაცებლებსღა შეეძლოთ გაჭივრებულ ყოფასთან გამარჯვებულად ბრძოლა, ან რა ვიცი, ერთობ მოხერხებულებს. იწყეს ქონების გაყიდვა, რომ შიმშილით არ ამოხოცვილიყვნენ. შიშით და ძრწოლით ვუყურებდი მომავალს; ველოდით, ძირს მოგვითხრიდა ხვალინდელი დღე. რა ადვილად! ჩვენ ხომ ღრმად არა გვქონდა ფესვები გამდგარი, ძლივს მოვკიდებოდით კლდეს. ერთი შერყევაც და მოვსწყდებოდით ნიადაგს, უფსკრულისაკენ დავეშვებოდით" (VI, 57).

აქაც კლდეა გაჭირვებული კაცის საყრდენი, ის ხელთუქმნელი მშვენიერება, რომელიც გვერდს და ფესვს უმაგრებს ქალაქში დამკვიდრებულ ადამიანებს.

ზემოთ ქალაქში გავრცელებულ სურნელებზე ვთქვი მოკლედ, ამჯერად კი ქალაქური, თბილისური ხმებიც ვნახოთ. პირველ რიგში, თბილისში ყურს ეკლესიათა ზარების თანახმიერობა ხვდება და ბარნოვს ეს დეტალი ისტორიულ რომანებშიც აქვს და თანამედროვე ქალაქურ ტექსტებშიც. პირველად ქალაქში ჩამოსულ ბავშვსაც ეს მოვლენა აკვირვებს.[53] „თეთრი გვირგვინი" სულთმოფენობის დღესასწაულით იწყება, სადაც *„ანჩისხატის დიაკვანი ყურს უგდებდა სამრეკლოდან სიონის ზარს, რომ მისთვის აეყოლებინა თითონაც რეკვა; არა ჰსურდა თვით დაესწრო ზართა ხმაური, უმთავრეს ტაძარს ეკუთვნისო წინამძღოლობა.*

- ნუ გიყვარს, კაცო. სხვის დასწრობა, წინასწარობა! შენც უნდა იცნო უფროს-

უმცროსი, იმავე წესზე დააყენო შენი სამრეკვლო.

- მაჩქარებს მღვდელი, რაღას ელიო.

- ალბათ, ჰშივდება და ვეღარ ითმენს. მთელ ქალაქში ერთად უნდა ახმაურდეს სამრეკლოები, რომ ერთდროსვე გადისახოს მოსავმა ჯვარი.

- მერე რა უშავს?

- ამ წესზე იციან ზარის რეკვა დიდ ქალაქებში: იერუსალიმს, ანტიოქიას, თითონ მოსკოვში; ბიზანტიაშიც ყველა სამრეკლო წმინდა სოფიოს უცდიდა თურმე უწ...

- ჯაან! - წარსთქვა ალერსით ზარის გუგუნზე და გადიწერა წყნარად პირჯვარი" (VI, 360).

ცოტა ხნის შემდეგ უკვე უბნის მოსახლეობაც იწერს ზარის ხმაზე პირჯვარს, აივსო სახლები მბრდღვინავი ხმებით, ფანჯრებიც აზარზარდნენ.

ბოლოს ეს თავი ისევ კიკოს ეპიზოდით და მისი თვალთახედვით მინდა დავასრულო, სადაც შემდეგში „გაუცნაურების" სახელით ცნობილი ხერხის გამოყენებით[54] ბარნოვი ქალაქის პირველ შთაბეჭდილებებს აღგვიწერს:

„შეითანბაზარში და მოედანზე ხალხი რომ აირია, ყმაწვილი შეკრთა; ფეხებს მაგრა უჭერდა ცხენს, პაპასკენ იწევდა წინ: იმისთვის პაპას ზურგიღა იყო ერთადერთი საიმედო ნავი ამ ხალხის ზღვაში.

მეჩუსტეების ქუჩაში უფრო სიწყნარე ჩამოვარდა და ყმაწვილმა თვალიერება დაიწყო; გაუკვირდა: ეს რამდენიმე ქოშჩუსტი შეუკერიათ, რამოდენა ფეხშიშველა ხალხს შემოსავსო!..

სიონის ქუჩაში უტლები, ურმები, ცხენები, ქვეითი ხალხი ერთმანეთში დომხალივით არეულიყო, გზას არ იძლეოდნენ; ძლივს გაახწიეს. გავიდნენ მიყრუებულ ქუჩებში. ერთ მაღალ ფანჯარაზე ტანგაკრეჭილი თავბანჯღვლიანი ფინია გადმომდგარიყო, იყეფებოდა. კიკოს გაეღიმა: ჩემ ალაბეშას ეს წუწკი ლუკმადაც ხომ არ ეყოფაო.

მანამ ხალხით სავსე ქუჩებზე მოდიოდნენ, პაპა ჩუმად იყო, მარტო იმასა ცდილობდა მარჯვედ გაეარნა, რომ მერანას არავინ შეეხლიყო, ან არავის დასჯახებიყო ის: ფიცხი ცხენი იყო, ქალაქს შეუჩვევარი და ეშინოდა. ხალვათ ადგილებში რომ გავიდნენ, მერე კი ქუჩებს დაუწყო მოხუცმა თვალიერება და სულ ჰკვირობდა, ეს ჩვენი ქალაქი რა სწრაფად იზრდება და მშვენიერდებაო, ყველა მილეთის ხალხი აქეთ იწევსო" (I, 218).

---

63 ოთარ ჩხეიძემ ბარნოვისადმი მიძღვნილ თვის წიგნში (თავდაპირველად წიგნს ერქვა „რომანი და ისტორია" (1965). შემდეგი გამოცემები: „ვასილ ბარნოვი: რომანი და ისტორია" (1976), „ვასილ ბარნოვი" (1989), სერიაში, „გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება") ქალაქის თავს ზარების ხმით იწყებს: „ასეთი კოპალობა არც ენახა, არც გაეგონა ასეთი გუგუნი ზარებისა. ის გუგუნი იდგა, ზაქარია მღვდელს რო ენატრებოდა ტოლათსოფელში, ერთობლივი გუგუნი სიონისა, ანჩისხატისა, ქაშუეთისა, მამადავითისა, დიდუბისა, ნინოწმინდისა; საზეიმოდ გრიალებდა ზარები და მოზეიმე ხალხი გროვდებოდა გუნიბის მოედანზე, ქაშუეთის პირდაპირ გროვდებოდა და ზიმზიმებდა" (46). ამ წიგნზე იხ. მერაბ ღაღანიძის სტატია ვასილ ბარნოვის მიღწევის ათი საფეხური // ლიტერატურა, კულტურა, რელიგია, 2/1, 2010-2019. თბ. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. 2021.

64 ამ ცნების შესახებ იხ. ამ წიგნში: კენჭგადაყლაპული - მასალები ილია ჭავჭავაძის ქალაქური ტექსტისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთიუ ბევისი

მსუბუქი თავბრუსხვევა[1]

ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ

„თუკი ავტორის მთელ შემოქმედებას არ გაეცნობით, სრულ წარმოდგენას ვერ შეიქმნით მის ამა თუ იმ ნაწარმოებზე", - შენიშნა ოდენმა ინტერვიუში, გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე. ახლა ედვარდ მენდელსონის უდიდეს მცდელობათა წყალობით გამოქვეყნდა ოდენის ყველა თხზულება: პროზა, პიესები, ლიბრეტოები და, ბოლოს, ლექსები, რომელთა საერთო მოცულობა 7500 გვერდზე მეტს მოიცავს. ამ ორტომეულის შეფასებისას შეგიძლიათ წაიკითხოთ ერთი სტრიქონი „ლაბირინთიდან": *„წარმოიდგინეთ, რომ ამ ლაბირინთს აქვს გზამკვლევი"*. მაძიებელ მკითხველს მრავალი წლის განმავლობაში შეეძლო ეპოვა უამრავი გზამკვლევი, მაგრამ თუკი ოდენის ერთი რომელიმე ლექსით გზის გაკვლევას შეეცდებით, მიხვდებით, რომ გზა აგებნათ. ერთ-ერთ ლექსში პოეტი შეყვარებულ ჭაბუკს ურჩევს: *„დახურე შენი მარტოობის გზამკვლევი"*. უფრო გვიანდელ ნაწარმოებში ლირიკული გმირი ამბობს იმათ სადღეგრძელოს, ვინც *„ყველაზე უფრო საიმედო გზამკვლევებით სარგებლობს"*: *„ბუნებრივია, მათ მიმართ გულწრფელ სინანულს გამოვთქვამ"*.

ოდენის სამყარო კვლავინდებურად გამოუკვლეველი სივრცეა, რომელშიც ავტორი გვიშვებს, რამდენიმე კოორდინატს გვისახელებს და ბედის ანაბარად გვტოვებს. პოეტის პირველი კრებულის (რომელიც სტივენ სპენდერმა კერძო ინიციატივით გამოსცა 1928 წელს) შესავალი ლექსი ამგვარ სცენას წარმოგვიდგენს:

მოლზე სარწყავი ტრიალებს,
ოდნავ თავბრუს მახვევს, და იწვდის
მოკვეთილ ხელებს;
უკანასკნელი ბიჭი, პიჯაკი ცალ მხარზე რომ
ჰკიდია,
უჩინარდება ხმელ ხეებს შორის.

1 The Complete Works of W.H. Auden. Poems, Vol. I: 1927-39 edited by Edward Mendelson.Princeton, 848 pp. The Complete Works of W.H. Auden. Poems, Vol. II: 1940-73 edited by Edward Mendelson.Princeton, 1120 pp.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს არც ისე გამჭვირვალე ლექსია. აღწერილი სცენა გვაგონებს *„მშვენიერ სოფლურ იდილიას“*, რომელსაც ოდენი შემდგომ აღწერდა და რომელსაც არლვევდა ხოლმე შემზარავი სურათი: ჩოგბურთის კორტზე ან ორანჟერეაში ნაპოვნი გვამი. ძნელია არჩევანის გაკეთება სიტყვების სიმბოლურსა და კონკრეტულ მნიშვნელობებს შორის („უკანასკნელი ბიჭი“ შეიძლება აღნიშნავდეს ბავშვობის დასასრულს ან, უბრალოდ, ბიჭს, რომელიც მეგობრებს ჩამორჩა) და გვიჩნდება ეჭვები იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად გასაგებია აზრობრივად ეს სტროფი: მოკვეთილი ხელები შეიძლება გარკვეული კულტურის ატრიბუტები იყოს, მაგრამ რა დანიშნულება აქვს ხმელ ხეებს, გაუგებარია. როდესაც ბიჭი ხეებს შორის უჩინარდება - ისე, რომ იცვამს თუ იხდის პიჯაკს - გვიჩნდება კითხვა, რა იცის ან რის ცოდნა სურს დამკვირვებელს, რომელიც ბიჭს აყოლებს თვალს?

ამ ლექსების ლაკონიურ სტრიქონებში, ალბათ, ძალზე ბევრი რამ იგულისხმება - თუმცა, შესაძლოა, პირიქითაც იყოს. სხვა ლექსში ოდენი იმოწმებს თავის ერთ-ერთ „სასინჯ ქვას“ - ჩარლზ უილიამსს, რომელიც წერს განსაცვიფრებელი, წარმოუდგენელი მომენტების შესახებ, როდესაც *„ხელს, რომელიც სიგარეტს უკიდებს, უნივერსალური მნიშვნელობა აქვს; ფეხი, რომელიც მატარებლიდან აბიჯებს, მთელი ყოფიერების ქვაკუთხედია“*. ოდენის ლექსები სიცხადისა და იდუმალების უჩვეულო ნაზავია, იმგვარად, რომ მეორე როგორღაც ხელს უშლის პირველს. ზოგჯერ ეს პაროდიულ-ჰერროიკული თამაშია *(„ო, ვინ ვის დაცვას ცდილობს?/ ვის დარჩა თმის სარჭი ოთახში“?)*, მაგრამ უფრო ხშირად ესაა სამყაროების შემაშფოთებელი შეტაკება და ურთიერთგამსჭვალვა:

მყინვარი ბორგავს კარადაში,
უდაბნო ოხრავს საწოლში,
და ჩაის ფინჯანზე დაჩნეული ბზარი
გვიჩვენებს გზას მიცვალებულთა საუფლოსკენ.

ამგვარი ხედვით ოდენი დიდადაა დავალებული თავისი პირველი გატაცების, ტომას ჰარდისგან და განსაკუთრებით იმისგან, რასაც ოდენი უწოდებს ჰარდის უნარს, *„ძალზე მაღალი წერტილიდან დაჰკვირვებოდა ცხოვრებას“*, *„აღეწერა ინდივიდუალური ცხოვრება არა მარტო თანადროული სოციალური ცხოვრების, არამედ - კაცობრიობის მთელი ისტორიის, მთელი ამქვეყნიური ცხოვრების, ბედისწერის თვალსაზრისით“*. თავის ყველაზე უფრო ტიპურ თხზულებებში ოდენი ერთდროულად ყოვლისმცოდნეცაა და ცოტათი დაბნეულიც. ესაა მსუბუქი თავბრუსხვევის მდგომარეობა.

„რასაკვირველია, ოდენი პირველი „თანამედროვე“ პოეტი იყო“. ლარკინის ეს ციტატა დაგვაფიქრებს იმაზე, თუ რა შეხედულებისა იყო ოდენი თანამედროვეობის შესახებ. *„რა შეხედულებისა ხართ ინგლისზე, - კითხულობს ბერიკაცი „ორატორებში“* (1932), - *ამ ჩვენს ქვეყანაზე, სადაც ყველა ადამიანი უბედურია?“*.

ოდენის ახალგაზრდობის პერიოდი დაემთხვა შუალედს ორ ომს შორის და მის შემოქმედებაში იგრძნობა ერთგვარი აგრესიაც და თანამედროვე მოვლენებით დაინტერესებაც. და მაინც, ოდენის ტექნიკა, აგრეთვე - მისი პოეზიის საერთო განწყობილება თითქოს სრულიად არ შეესაბამებოდა ისტორიულ ვითარებას. *„სველი სანაპიროდან ან ჩაბნელებული ბინებიდან / უაზროდ ვუცქერთ წვიმას, რომელიც ზღვას შხაპუნით ეცემა მრავალი მილის მანძილზე“*. ჯონ ბეილის აზრით, ამ სტრიქონებში იგრძნობა ოდენის ტკბობა *„შესაძლებლობით, რომ ვითარება დახვეწილად ასახოს... სანაპირო, და, ასევე, ზუსტად აღწერილი სველი და ჩაბნელებული გარემო აგრძნობინებენ მკითხველს იმ რეტროსპექტულ სითბოს, რომელიც დამახასიათებელია ბავშვობისდროინდელი არდადეგების მოწყენილობისა და ხიბლისთვის“*. მაგრამ ის აღიარებს, აგრეთვე, რომ *„ყოველთვის, როდესაც გაისმის ზუსტი ნოტი „დო“, ის ანადგურებს შეხედულებას იმის შესახებ, თითქოს ჩვენ ბედისწერით ან შემთხვევით მართული უმწეო მარionეტები ვართ“*. შესაძლო ავ წინათგრძნობას აქარწყლებს ყოველი სტრიქონი, როდესაც გადადიხართ, მაგალითად, *„სიგარეტის ნამწვიდან, რომელიც იფერფლება ბორდიურზე“* - *„სპორტ-ოტელის მინის ფანჯრებისკენ“*, *„სულშეხუთული ხეხილის ბაღებისკენ“*, *„ყარყუმის თვალებისა და ბინძური წიაღისკენ“*. ეს ციტატები ამოღებულია წიგნიდან *„იფიქრეთ ამისა და ჩვენი დროის შესახებ“*, რომელიც 1930 წელს დაიწერა, შესაძლოა იმისთვის, რომ გავაცნობიეროთ, რაოდენ შემზარავი ბედი გველოდება. მაგრამ ეს ინსცენირებული შემაშფოთებელი აპოკალიფსისი თითქოს არააუცილებელი და ქაოსურია.

ჰარდის, ელიოტსა და იეიტსს თვალსაჩინო ადგილი განეკუთვნებოდათ ოდენის პანთეონში, მაგრამ თვით ოდენი არ აპირებდა, ჩართულიყო ტრადიციებისა და ინდივიდუალური ტალანტის ვინმეს მიერ შედგენილ ისტორიაში. ანაგრამების შედგენა უყვარდა და სიამოვნებდა, რომ შეეძლო წარმოედგინა თავისი თავი მავანი პიროვნების სახით, რომელსაც შეეძლო, *„მოხვეოდა სველ ჩრდილოვან მონაზონს“* [2] (საუკეთესო, რითაც შეეძლო ესიამოვნებინა ტ.ს. ელიოტისთვის, გასართობი „ლიტტესები“ იყო). საინტერესოა, რომ ელიოტი დასახელებულია „წერილში ლორდ ბაირონისადმი“ (1937), სადაც ოდენი ჩივის, რომ ელიოტი თავის ადრესატს უინტერესო პიროვნებად მიიჩნევს. ბაირონის მსგავსად, ოდენმა ხელახლა აღმოაჩინა თავისი თავი საზღვარგარეთ დ მისი გადასახლება აშშ-ში 1939 წელს მნიშვნელოვანწილად იმის გამო მოხდა, რომ პოეტს არ სურდა ისე მოქცეულიყო, როგორც მისგან ელოდებოდნენ. თუმცა ოდენმა სახელი გაითქვა იმით, რომ ჩასწვდა კლასობრივი ცნობიერების მქონე მემარცხენე თაობის განწყობილებებს, მას არ შეეძლო, ერთადერთი განწყობილების გამომხატველი ყოფილიყო, *„პოეზია გრძნობათა ნაზავის მკაფიო გამოხატულებაა“* , - შენიშნა მან „ორმაგ ადამიანში“ (1941) გარდამავალი პერიოდის უმნიშ-

2 “hug a wet shady nun“ - Wystan Hugh Auden-ის ანაგრამული ვერსია.

ვნელოვანეს ნაწარმოებში - ამერიკაში დაწერილ პირველ ლექსში „უ.ბ.იეიტსის ხსოვნას“ - ვკითხულობთ, რომ *„მისი ავადმყოფობისგან შორს /მგლები მირბოდნენ მარადმწვანე ტყეებში“* და ოდენის ნაწილიც მირბოდა მათთან ერთად. გულწრფელია ოდენის კომენტარი სპენდერის ელეგიებთან დაკავშირებით: *„ვფიქრობ, რომ თქვენი ჭეშმარიტი ბრალი გრძნობები სხვა ადამიანების სიკვდილთან დაკავშირებით ამგვარია: ძალიან კარგი. ის მკვდარია, მე კი - ცოცხალი“*. იგივე შეიძლება ითქვას, ოდენის დამოკიდებულებაზე მისი წარსული „მე“-ს მიმართ.

„სიცოცხლის ჭეშმარიტი სურვილი, - წერდა ის დღიურში, - *სხვა არაფერია, თუ არა სწრაფვა ოჯახისგან, ლიტერატურული წინამორბედებისგან განცალკევდე“*. მაგრამ პოეზიამ მიიღო სურვილის დრამის ფორმა იმ მტანჯველი ეჭვის ზეგავლენით, რომ ადამიანი ვერასოდეს აღწევს ამ მიზანს. ოდენი ყოველ ლექსში იმედოვნებს, რომ სული *„ბოლოს და ბოლოს გადაეჩვევა მარტოობაში აღტყინებას“*, ხშირად გაისმის წუმი ხმა, რომელიც ჩურჩულებს იმას, რაც ოდენმა თქვა ოსკარ უაილდზე - *„მარტოობისას მან არ იცის, ვინაა თვითონ“*. გაურკვეველი „შენ“, რომელიც ხშირად ჩნდება, ესაა ოდენი, რომელიც ნაწილობრივ საკუთარ თავს ესაუბრება, ნაწილობრივ კი სხვას - საყვარელ ადამიანს, მკითხველს, ანტაგონისტს და, თანაც, დარწმუნებული არაა იმაში, შესაძლებელია ან საჭიროა თუ არა ამ ბნელი პერსონაჟების შემოყვანა. ოდენის მიერ თანამედროვე ლირიკაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილი ისაა, რომ პოეტი აკვირდება საკუთარ მეწყვილეს - თავის მარადიულ ებბლემას, - მის ისტორიას და ფიქრობს, იდეალური იქნება თუ არა მათი თანაცხოვრება. *„შეხება - ესაა ხელის ჩამორთმევა / უცხო სივრცეში“*, - ამბობს ოდენი ერთ-ერთ ადრეულ ლექსში, ხოლო სხვა ლექსში გვაუწყებს: *„მიწა იძვროდა ზამთარში / სანამ ერთმანეთს ვკოცნიდით“*.

„სანამ“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვნესი სიტყვაა ოდენის პოეზიაში. ამის შედეგად სიამოვნება და შფოთვა არა დაპირისპირებულ, არამედ ახლო მნიშვნელობის მქონე სიტყვებად წარმოგვიდგება, მაგრამ ოდენის ნაწარმოებთა მაგია (მაგია კი, მისი აზრით, ისაა, რაშიც ფარულად ხელოვნების ხილვას ვესწრაფვით) იმაში მდგომარეობს, რომ ისინი უფლებას არ აძლევენ გამოცდილების ხმას, შეასუსტოს ჩვენი მგრძნობელობა. „ზღვა და სარკე“ (1944), რომელიც „ქარიშხლის“ გადამუშავებული ვარიანტია (ოდენი ამ ნაწარმოებს თავის ars poetica-ს უწოდებდა), იწყება იმით, რომ პროსპერო ახასიათებს მაგიას, როგორც *„მონუსხვის უნარს, / რომელიც იმედგაცრუებას მოსდევს ხოლმე“*, მაგრამ პოეზიაში მიიჩნევა, რომ იმედგაცრუება შესაძლოა ილუზია იყოს. ვილანელი, რომლითაც მირანდა მიმართავს პროსპეროს - *„ჩემი სიყვარული ჩემია, ისევე, როგორც ცარიელ სარკეში“* - ამ თვალსაზრისს გამოხატავს:

მაკოცა, რომ გავეღვიძებინე, და ეს არავის
უნანია;
მზე ანათებდა აფრებს, თვალებს, კენჭებს,
ყველაფერს,
და ზღვის პირას ყოველთვის აღმართულია
მაღალი მწვანე ბორცვი.

„არავის უნანია“ გულისხმობს, რომ სამყაროში შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ადამიანები, მაგრამ იგი დანამდვილებით როდი აღიარებს ასეთი სამყაროს არსებობას. ვილანელი, რომელშიც ნეტარი წარსულის მოგონებებიდან მოჯადოებულ აწმყოზე გადასვლაა ასახული, ოდენის ერთ-ერთი ბრწყინვალე ჰიმნია. ამასთან, აღსანიშნავია კალიბანის გესლიანი სიტყვები საზოგადოებაში ხელოვნების ადგილის შესახებ. ის გვიანდელი ჰენრი ჯეიმსის სტილს გვაგონებს, სადაც ბედნიერი დასასრული არც კი ივარაუდება: *„ახლა აქ არ უნდა ვისხდეთ სითბოში, იმ ადგილებზე, რომელთა საფასურიც გადავიხადეთ, რადგან არიან სხვები, რომლებიც აქ არ იმყოფებიან... სხვები, რომლებსაც ბედმა ისე არ გაუღიმა, როგორც პროსპეროს, მისი სიცოცხლის დასასრულს“*. ოდენმა ერთხელ თქვა, რომ ყველაზე მეტად ამაყობდა კალიბანის მონოლოგით, თუმცა, წერის დროს აცნობიერებდა თავისი შემოქმედებითი იმპულსის უჩვეულობას: *„ვცდილობ, მხატვრულ ნაწარმოებში გამოვააშკარაო ხელოვნების შეზღუდვები“*.

აბსურდული იყო ღრმა დაეჭვება საკუთარ ლირიკულ ნიჭში, რომელმაც თავი იჩინა ოდენის გვიანდელ შემოქმედებაში. *„ყოველი მწერლის პრობლემა ისაა* - წერდა ის 1940-იანი წლების ბოლოს და ეს კომენტარი გაიმეორა რამდენიმე წლის შემდეგ, ოქსფორდში წაკითხულ ლექციაში, - *რომ როდესაც იგი ოც წელს დაახარჯავს იმის შესწავლას, თუ როგორ იქცეს საკუთარ თავად, უეცრად აღმოაჩენს, რომ ახლა იმის შესწავლა უნდა დაიწყოს, თუ როგორ არ გახდეს საკუთარი თავი“*. ეს პროცესი ზოგჯერ საკუთარი შემოქმედების უარყოფის ფორმით იჩენდა თავს: ოდენმა თავისი ნაწარმოებების გვიანდელი კრებულებიდან ამოჭრა ბევრი ლექსი და უამრავი მათგანი გადააკეთა. რაც შეეხება შენდელსონს, ის თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ასრულებდა ოდენის რედაქტორის მოვალეობებს და მხოლოდ ზოგჯერ ანიჭებდა უპირატესობას საბოლოო ვერსიებს, მაგალითად, 1976 წელს გამოქვეყნებულ „ლექსთა კრებულში“, და, ასევე, წიგნში „ინგლისური ოდენი: ლექსები, ესეები, დრამატული თხზულებები“, რომელიც 1977 წელს გამოქვეყნდა, უფრო ადრეულ ვარიანტებს უბრუნდებოდა. ის ბეჭდავდა ლექსებს თავდაპირველი სახით და მოჰყავდა ყველა მომდევნო რედაქცია ყოველი ტომის ბოლოს (რედაქტორის შენიშვნები თითქმის ექვსასს გვერდს მოიცავს). დანართებში წარმოდგენილია გამოუქვეყნებელი ლექსები და სასიმღერო ტექსტები, ასევე - ის ლექსები, რომლებიც დაწერილია სასკოლო ჟურნალებისთვის სკოლებში, სადაც ოდენი ასწავლიდა. აქვე მოყვანილია რამდენიმე მივიწყებული ლექსის სტენოგრამები. მენდელსონმა ორტომეულში შეიტანა, აგრეთვე, ოდენის ლექსთა კრებულებისა და რჩეულ ლექსთა კრებულების სარჩევები და პოეტის მიერ ანთოლოგიებში გამოსაქვეყნებლად შერჩეულ ლექსების ნუსხა. ეს ტომები, ერთობლივად, გვიჩვენებს, როგორ უდიდეს ძალის-

ხმევას ხარჯავდა ოდენი მთელი სიცოცხლის განმავლობაში, როგორ გამუდმებით იღვწოდა იგი.

ოდენს, რომელიც თავის თავს არ ენდობა, ყოველთვის როდი უნდა ვენდოთ. მაგალითად, მაშინ, როდესაც ამბობს, რომ მისი ადრეული ლექსები იყო „მაკულატურა“, ან არაგულწრფელი, ულაზათო, მოსაწყენი, ან „ავადმყოფური“. ძალზე უხაროდა, რომ მკითხველები ჰყავდა, მაგრამ იმასაც შიშობდა, რომ მათი აღტაცება მავნე ზეგავლენას მოახდენდა მასზე. შეგრძნებამ, რომ პოეზიას და, კერძოდ, მის პოეზიას ზედმეტად ბევრ ყურადღებას უთმობდნენ, აიძულა ოდენი, უცნაური აზრები გამოეთქვა.

„მღებავის ხელში“ (1962) მან ახლებური ფორმით გამოთქვა ის შეხედულებები, რომლებიც პირველად 1948 წელს გააცხადა: *„წარმოვიდგინოთ საზოგადოება, რომელიც მართლაც ჰგავს კარგ ლექსს და მასში ხორცშესხმულია მშვენიერების, წესრიგის, ეკონომიისა და მთელისადმი დეტალების დაქვემდებარების ესთეტიკური ღირსებები. ეს ხომ შემზარავი რამ იქნებოდა, რადგან, ადამიანთა ისტორიული რეალობის გათვალისწინებით, ამგვარი საზოგადოება წარმოიქმნებოდა მხოლოდ სელექციის პირობებში, ფიზიკურად და გონებრივად უუნარო ადამიანთა განადგურების მეშვეობით, მმართველისადმი აბსოლუტური მორჩილების ვითარებაში და მონათა მრავალრიცხოვანი კლასის არსებობისას, რომლებსაც სარდაფებში მოათავსებდნენ, შორს, შორს“.*

როგორც ჩანს, ეს ნაწილობრივ სიმართლეა. ის, ვინც ბედავს, თავის თავზე აიღოს მმართველის ან მხსნელის როლი ოდენის პოეზიაში, როგორც წესი, აშკარა მოწონებას როდი იმსახურებს. აქვე მახსენდება ოდენის ადრეული ნაწარმოებების განწირული გმირები ან ბალადა ვიქტორზე, რომელიც დანით ხელში მღერის: *„მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე“*, როდესაც მისი სატრფოს სისხლი კიბეზე მიედინება. საყოველთაო აღიარებით, ეს უკიდურესი მაგალითია, მაგრამ ოდენი მაინც ხშირად ეჭვობს, არსებობს თუ არა სამართლიანობა, პოეტური ან სხვა სახისა. ლექსებში „ესპანეთი, 1937“ და „1 სექტემბერი, 1939“, საეჭვოა „the Just City“-ს“ ან იმგვარი ქვეყნის არსებობა, „wherever the Just/Exchange their messages“, და ეს შთაბეჭდილება, ნაწილობრივ, მთავრული ასოების გამოყენებით მიიღწევა.

ოდენს თითქოს ყოველთვის სურდა, დაჰპირისპირებოდა საკუთარ თავს. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ როდესაც გაუჩნდა უფრო სკეპტიკური დამოკიდებულება სიტყვების ძალმოსილებისადმი, კიდევ უფრო მეტი სიტყვა დანერა. მისი ესეები, ლექციები და მიმოხილვები ხშირად ბრწყინვალეა. რენდალ ჯარელის თქმით, მისი პროზის მკითხველები გამუდმებით გაიძახიან: „ოჰ, ახლა *ყველაფერს ვხედავ!“*, და, ასევე, *„თქვენ სული ეშმაკს მიჰყიდეთ ცხრამეტი მილიონი განზოგადებისთვის“*. ალბათ, აქ მართლაც ურევია ღმერთის ან ეშმაკის ხელი. ანგლიკანურ სარწმუნოებაზე გადასვლის შემდეგ (1940) ოდენი ზოგჯერ მიმართავდა *„მქადაგებლის ლაღსა და კადნიერ კილოს“*. მაგრამ უნდა გვახსოვდეს მეგობრისადმი მიმართული მისი გაფრთხილება: *„გეთაყვა, ყოველთვის გახსოვდეთ, რომ თავი შეშლილ მღვდლად წარმომიდგება“*. იმის გამო, რომ ოდენი თავისი გამოგონილი ცხოვრების ტიპურ პერსონაჟად იქცა, მან საკუთარი ცხოვრებაც შეთხზა და წარმოიდგინა, რომ იყო საზოგადო მოღვაწე, რომელსაც თავისი „მოვალეობები“ ჰქონდა. ნიშანდობლივია, რომ უყვარდა მიუზიკ-ჰოლისა და რადიოს კომიკოსის, ჯონ ფოსტერ ჰოლის ენამოსწრებული ნათქვამი: *„ჩვენ ყველანი აქ, მიწაზე ვიმყოფებით, რათა სხვებს დავეხმაროთ; რისთვის იმყოფებიან აქ სხვები, არ ვიცი“*.

კომიკოსი ოდენში ყოველთვის იგრძნობოდა, მიუხედავად იმისა, რომ ადრეული თხზულებების პირქუში გროტესკები რელიგიური სულისკვეთებით იყო გამსჭვალული. 1944 წელს ის ამბობდა, რომ ყველას *„ირონიულად ეხმარება და კომიკურ დაბნეულობას იწვევს ღვთის წყალობა“*; კარნავალისადმი შესხმული ხოტბა (ლექსში „ გზავნილი ნათლულს“ (1972)) მთავრდება სერიოზულ-კომიკური ნოტით ავიაკატასტროფისა და მომდევნო აღდგომის შესახებ. გვიანდელი ოდენი სრულიად განსხვავებულია. გავიხსენოთ ორი დასასრული, პირველი 1929 წლის ლექსისაა:

სევდიან ველზე, სადაც ახლობლები არ არიან,
ძველ მეგობრებს გაზაფხულზე არავინ
გაიხსენებს,
მაგონდება ძაღლი და ცხენოსნობის
მასწავლებელი...

ღრმა, კამკამა წყალში
წევს მშვენიერი საქმრო.

მეორე, 1952 წელს დაწერილ ლექსში, „ბუკოლიკებიდან“, ოდენი აღიარებს, რომ „ზარავს მოწვენებებით ავსებული ტბა“ და განაგრძობს:

მაგრამ ეს არ შემიშლის ხელს,რომ დავფიქრდე,
რომელ ტბას ვამჯობინებდი,
მორენა, მოლაპლაპე წყალი, ათინათი, ნიყარა,
კრატერი, ფსკერი, ორმო....
მათი დასახელება იოლია.

პირველი მათგანში აღწერილი სურათი სტატიკურია, მეორეში ნაპოვნია რიტმი და გამოხატულია ერთგვარი გაოცება სხვადასხვა საგნის არსებობის გამო. როდესაც ოდენი გადადის ერთიანი წარმოდგენიდან სხვადასხვაგვარ საგნებზე, მკითხველისეული პერსპექტივაც იცვლება.

ოდენის შემოქმედებითი გზის მიმოხილვისას კლაივ ჯეიმსი აღნიშნავდა, რომ მასში შეიმჩნევა სწრაფვა აზრებისა და ემოციების გამოხატვის სულ უფრო მეტი სიცხადისადმი, გადასვლა მღელვარებიდან სულიერი სიმშვიდისადმი. იმისთვის, რომ ჩავწვდეთ ოდენს, წერდა ჯეიმსი, *„უნდა გავიაზროთ, რომ ამ პოეტს, რომელსაც ნებისმიერი საზრისის სიტყვიერი გამოხატვა ხელეწიფებოდა, სურდა განთავისუფლებულიყო საზრისის სიჭარბისგან“*. მენდელსონი ოდენის უფრო გვიანდელი თხზულებების ერთ-ერთი ყველაზე მჭევრმეტყველური დამცველი იყო („ადრეული ოდენი“ და „გვიანდელი ოდენი“ შესანიშნავი გამოკვლევაა).

„ბუკოლიკების“ მეორე ლექსი, რომელიც ეძღვნება „ველებს“, მთავრდება აღიარებით:

არ ძალმიძს პირფერობა, თითქოს
პოეტურია ეს ველები; დროდადრო
უნდა გავიხსენოთ, რომ მშვენიერი არაფერია.
თვით პოეზიაშიც კი.

შესანიშნავი ნათქვამია, თუმცა ყოველთვის ასე როდია. შესაძლოა, ამიტომ ეს ჭეშმარიტება მხოლოდ „დროდადრო“ უნდა გავიხსენოთ: ოდენი, თავის გვიანდელ პოეზიაში, იშვიათად ივიწყებდა ამას. თუმცა, ოდენის შემოქმედების ორი ნაწილის მკვეთრი გამიჯვნა და რომელიმე მათგანისადმი უპირატესობის მინიჭება სწორი არ იქნება, რადგან პოეტი ორივე პერიოდის განმავლობაში ქმნიდა შესანიშნავ ნაწარმოებებს. მაგალითად, ლექსში „რომის დაცემა“ (1947) შეინიშნება მრავალი ნიშან-თვისება, რომლებიც ოდენის სტილს იმთავითვე ახასიათებდა: ომისშემდგომი პერიოდი, ავი წინათგრძნობები; დეკადანსის შემაკრთობელი სურათები (*„ფანტასტიკურად იზრდება საღამოს კაბების რაოდენობა... და პროვინციულ ქალაქთა საკანალიზაციო მილები“);* და დაბრუნება იმ ადრეული პეიზაჟებისა და დაკარგული სულებისადმი (განმარტოებული მინდორი, სადაც აწვიმს მიტოვებულ მატარებელს; მოწყენილი კლერკი, რომელიც წერს: *„არ მომწონს ის, რასაც ვწერ / ვარდისფერ ბლანკებზე“),* მაგრამ ლექსში არ შეინიშნება ადრეული ოდენის სინტაქსური ექსპერიმენტები და ბოლოსნინა სტროფიდან ბოლო სტროფზე გადასვლა ნიშნავს თითქმის ახალგაზრდული უმოწყალობიდან სხვა სამეფოში გადასვლას:

წითელფეხება პაწაწინა ჩიტები,
რომლებიც სხედან თავიანთ
დაწინწკლულ კვერცხებზე,
გაჰყურებენ გრიპით დასნებოვნებულ ქალაქს.

სხვაგან კი ირმების უზარმაზარი ჯოგები
დაჰქრიან ტრამალებზე
სადაც ოქროსფერი ხავსია,
ურუმრად და ძალზე სწრაფად.

თავის კომენტარებში მენდელსონი, ჩვეულებრივ, აანალიზებს ძირითადი ტექსტისა და ვარიანტების კომპოზიციას და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არ ცდილობს ლექსების ინტერპრეტაციას; მაგრამ მენდელსონს ზემომოყვანილი ბოლო სტროფისადმი დართულ შენიშვნაში მოჰყავს მავანი უ.პ. ნიკოლეს შეხედულება იმის თაობაზე, რომ ოდენმა მისი აზრი დაადასტურა: *„ირმების გადაადგილება გამოიწვია ჩრდილოეთის ხალხთა მიგრაციამ, რამაც, საბოლოოდ, განაპირობა დასუსტებული რომის უშუალო კონფრონტაცია გერმანულ ტომებთან და, საბოლოოდ, სახელმწიფოს დაცემა“.* შესაძლოა, ირმების გადაადგილებამ მართლაც განაპირობა გარკვეული ისტორიული მოვლენები, მაგრამ ლექსში ისინი სხვა მიზეზთა გამო გადაადგილდებიან ან, ალბათ, მათ გადაადგილებას არავითარი მიზეზი არ იწვევდა: შეიძლება, ეს ფაქტი მათი სასიცოცხლო ენერგიის გამოხატულება იყო ან ირმები გაურბოდნენ წარმოსახულ საფრთხეს.

ჯეიმს შაილერი იხსენებდა, რომ ოდენმა ის ერთხელ გააკრიტიკა იმის გამო, რომ შაილერი ანყამბემანით აცალკევებდა მოდიფიკატორს სახელისგან („წითელი“ - სტრიქონის დასასრული - „ვარდი“): *„ეს ძალზე მაცდუნებელი რამაა, ჩემო კარგო“.* მართლაც ასეა. „სახვითი ხელოვნების მუზეუმში“ ბრეიგელის „იკაროსის“ აღწერისას ნათქვამია, რომ *„კაშკაშებდა მზე; და თეთრი ფეხები იძირებოდა მწვანე / წყალში“.* ეს ოდნავ შესაგრძნობი პაუზა მეტყველებს სილამაზეზე, რომელიც წინ უსწრებს და შესაძლოა მოსდევს კიდეც წარმოსახული მოვლენის აღწერას: ყმაწვილი ეცემა ზეციდან ზღვაში, და რაოდენ მშვენიერია ამ ზღვის მწვანე შეფერილობა. „რომის დაცემაში“ „ირმების უზარმაზარი ჯოგების“ გამოჩენა იწვევს უზარმაზარი ურდოების გამოჩენის მშფოთვარე მოლოდინს, მაგრამ, ამასთანავე, ამ სანახაობით ტკბობასაც.

„რა მშვენიერია, - წერს ოდენი ერთ-ერთ გვიანდელ ლექსში. - *გაფანტული მზერა, რომელიც სჩვევიათ წარმოსახული სურათით გატაცებულ ადამიანებს“.* ეს სანახაობა იდუმალია როგორც დამკვირვებლისთვის, ისე მათთვისაც, ვისაც წარმოუდგება ამგვარ სურათები - ისეთივე განუმარტავი, როგორც ირმების ჯოგი ან ოქროსფერი ხავსით დაფარული ტრამალებია. *„თუ მხოლოდ ის გსურთ, ზუსტად მიხვდეთ, თუ რას ვგულისხმობდი ამა თუ იმ ლექსში,* - შენიშნა ერთხელ ოდენმა, - *ვერასოდეს შეძლებთ ამ ლექსების წაკითხვას.“*

სიმწიფის ასაკში შესული ოდენი სულ უფრო გულწრფელად ამბობდა იმას, რასაც გულისხმობდა, მაგრამ შედეგები არაერთმნიშვნელოვანი იყო. ამასთან, მისი შემოქმედება არ შეესაბამება ჩვეულ წარმოდგენებს პროგრესის ან განვითარების შესახებ. ჯერ კიდევ 1937 წელს ედმუნდ უილსონი ჩიოდა, რომ *„ოდენის ტექნიკა თითქოს მომწიფდა, მაგრამ თვით ოდენი სიმწიფის ასაკში არ შესულა“.* ოდენს არ მოეწონებოდა ლოგიკა, რომელიც ამ „მაგრამ“-ში იგულისხმება; მას მოსწონდა მოწიფულობის ის განსაზღვრა, რომელიც მოცემულია ნიცშეს თხზულებაში „სიკეთისა და ბოროტების მიღმა“: *„მოწიფულობა ნიშნავს იმას, რომ კვლავ დაიბრუნო სერიოზულობა, რომელიც გახასიათებდა ბავშვობისას, თამაშის დროს“;* ოდენი ამტკიცებდა, რომ *„იმ ღირებულებათა შორის, რომელიც ადამიანმა სიცოცხლის ფასადაც კი უნდა დაიცვას, ერთ-ერთი უმთავრესია თამაშის, ქარაფშუტობის უფლება“.* ეს იმგვარად ჟღერს, თითქოს უფლება შეიძლება მოვალეობადაც კი იქცეს, ხოლო ოდენის სწრაფვა იმისადმი, რასაც თვითონ უწოდებდა „პოეტურ სიყვარულს შექცევისადმი“, თავისთავად გახლდათ იმ სულიერი სირთულის გამოხატულება, რომელიც მოჰყვება ხოლმე ნაადრევ განვითარებას. ლექსში, რომელიც მან 1973 წელს, გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე დაწერა, ოდენი ამტკიცებდა, რომ ხელოვნება, ესაა *„გართობა, ჭეშმარიტებებით თავის შექცევა,* და *ვერც ერთი თამაში / ვერ დაისახავს მიზნად იმას, რომ ამოიცნოს*

იდუმალი ჭეშმარიტება, / თუ რა არის ღირსეული ცხოვრება“.

უნდა ვაღიაროთ, რომ მხიარული პოეტი საკმაოდ უცნაური არსებაა *(„ოდენი მოთამაშე“*, დონალდ დევის შენიშვნით, *„ხშირად წარმოგვიდგებოდა, როგორც მოკლე შარვალში გამოწყობილი ოდენი, რომელიც საკმაოდ უსიამოვნო სანახავი იყო“).* მაგრამ სხვა ადამიანთა მისეული ხედვა ხშირად მსახიობისას წააგავს, და ეს გვაახლოებს იმის გაგებასთან, თუ რას ნიშნავდა მისთვის ხელოვნება. სუორთმორში 1945 წელს წაკითხულ ლექციაში „პოეზია და თავისუფლება“ მან აღნიშნა, რომ *„თამაშს მნიშვნელოვანს ხდის თავისუფლება, რომელიც გარანტირებულია სათანადო წესების წყალობით“*, და როდესაც იხსენებს თავის ლიტერატურულ წინამორბედებს, საოცრად ხშირად უბრუნდება მოთამაშე ბავშვის ხატს. ეს ხატი გვხვდება ლექსებში მონტენზე, ვოლტერზე, ლირსა და ფროიდზე, ხოლო ლექსში „ჰენრი ჯეიმსის საფლავზე“ იგი შემოქმედებითი პროცესის სიმბოლოდ იქცევა: *„როგორი უცოდველი იყო შენი ხელი/ როცა ემორჩილებოდა იმ ფორმალურ წესებს, რომლებიც ბავშვს თამაშში ეხმარება“.* აქ შესაძლებელია წინააღმდეგობა წესების არჩევანსა და მათდამი დამორჩილების უცოდველობას შორის; ოდენისთვის თამაში შემოქმედებაა, რადგან ის, ერთდროულად, იღებს კიდეც სამყაროს და ეწინააღმდეგება კიდეც მას. ნამდვილი მოთამამე ერთდროულად იძულებასაც განიცდის და თავისუფალიცაა.

შესაძლოა, ამიტომაა, რომ უცოდველობა ამ ლექსებში ყოველთვის უცოდველობად არ აღიქმება. ოდენის ლირიკულ გმირებს სიამოვნებთ იმის გახსენება, რომ“ცოცხლად წვავდნენ მოპარულ საბურავებს ან წარმოდგენა ადგილებისა, სადაც მოთამაშე ბავშვებმა „არ უნდა იცოდნენ, რომ უბედურნი იყვნენ“. როგორც ჩანს, ოდენი ყველაზე მეტად აფასებს *„სასკოლო გაკვეთილების უგუნურ გაცდენას“.* მაგალითად, „სახვითი ხელოვნების მუზეუმში“ ვკითხულობთ“

როცა ბერიკაცები გულის ფანცქალით,
გზნებით ელიან
სასწაულებრივი შობის დღეს, მათთან
ყოველთვის უნდა იყვნენ
ბავშვები, რომლებსაც განგებ იპარებიან
და ციგურაობენ გაყინულ ტბორზე, ტყის პირას.

აქ საინტერესო სიტყვაა *„განგებ“*, რომელიც თითქმის არასდროს გვხვდება ოდენთან: იმის გათვალისწინებით, რომ აქ ნახსენებია *„გულის ფანცქალით, გზნებით“*, მოსალოდნელი იყო, რომ მათ დაემატებოდა „განგებ“ და ტრიადას შექმნიდა, მაგრამ „განგებ“ უფრო წააგავს სიტყვას, რომელიც შეიძლება გამოიყენოს ბავშვმა - ცოტათი დაუდევრად, თამაშით იმდენად გატაცებულმა, რომ ყურადღებას არ აქცევს იმ განსხვავებას, რომელსაც ბერიკაცები ამჩნევენ სასწაულებრივსა და არასასწაულებრივს შორის.

რასაკვირველია, ლექსი ასახავს საშიშ ისტორიულ ლანდშაფტს - აქ მოხსენიებულია „ჯალათის ცხენი“ , რომელიც გამოჩნდება ომის მოახლოებისას („სახვითი ხელოვნების მუზეუმი“ დაიწერა 1938 წლის დეკემბერში) - მაგრამ ოდენში ასევე იგრძნობა მისი ადრეული პირადი მოგონებებისა და პირადი დემონების თემა. ის იხსენებს თავის ოჯახს, რომლის გარემოცვაშიც ყალიბდება ყრმა ოდენის ფსიქიკა - *„დედა არ გვეთამაშება; ის გვსჯის“*, - აცხადებს მისი ძმა, ჯონი - და დამსჯელის დასჯის მოთხოვნილება ხშირად იღებს იქ დაბრუნების ფორმას, სადაც ის ბავშვობისას თამაშობდა: *„ჩემს ოცნებებში ბიჭი ყოველთვის უბრუნდება /ტორფით დალაქავებულ უკაცრიელ გადაწყვარ ტაფობებს“*, წერდა ოდენი „ახალი წლის წერილში“. ოდენი დაუბრუნდა თავის ფესვებს და მისი სიყრმისდროინდელი პეიზაჟი ცოცხლდება ლექსების მნიშვნელოვან მომენტებში. ჩესტერ კალმანისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ პირველ სატრფიალო ლექსში ის იხსენებს:

როს ვნატრობდი ნეტარებას,
მახსენდებოდა მიტოვებული ტყვიის მაღაროები;
და შენი უმოწყალო სახე.
დაჟანგულ ძრავას არასოდეს უკარნახია,
უკვე ძალზე გვიანი არისო.
ადამიანთა კადნიერება ერთგვარი ქება იყო,
მაგრამ არ ვიცი, რას ვხედავდი,
როდესაც ჩურჩულით მეუბნებოდნენ, დაიცადეო,
და მასწავლიდნენ ნელ-ნელა, იძულების გარეშე,
და მთელი პეიზაჟი გამსჭვალული იყო
სიმშვიდით, რომლითაც მათ აღიქვეს სრული
განდგომა,
როგორც იმის დადასტურება, რომ შენ არსებობ.

უშფოთველი არსებობა იმისა, რაც დიდი ხნის წინ უნდა დაეტოვებინა - ტყვიის მაღარო, ბავშვობისდროინდელი მოგონებები - ოდენისთვის ყოველთვის მინიშნებაა, ოცნებაა შესაძლო მომავლის შესახებ. ასეთივე რიტმი იგრძნობა ლექსის - „ხოტბა კირქვას“ - დასასრულს, სადაც ის კვლავ მიმართავს კალმანს: *„როდესაც ვცდილობ, წარმოვიდგინო უზადო სიყვარული / ან მომავალი ცხოვრება, მესმის მხოლოდ მიწისქვეშა /ნაკადულების რაკრაკი და ვხედავ მხოლოდ კირქვიან ჰეიზაჟს“.*

რამდენიმე წლის შემდეგ, „წარმოუდგენელი შეხვედრის“ შესახებ საუბრისას, ოდენს გაახსენდა, რომ გერმანიაში ყოფნისას უეცრად წააწყდა მიტოვებულ თუჯსასხმელ ქარხანას ჰარცის მთებში. ეს სანახაობა უჩვეულო არ იქნებოდა, სამსხმელო ქარხანა მიტოვებული რომ არ ყოფილიყო: ოდენს გატაცება მექანიზმებით უკავშირდება მის ინტერესს იმ საგნების მიმართ, რომლებსაც აჩნევია ადამიანის დაღი, მაგრამ რომელთა მახლობლადაც ადამიანები არ იმყოფებიან. ლექსი - ერთ-ერთი ამგვარი მექანიზმია. ოდენს მოსწონდა, როდესაც ფიქრობდა პოეზიაზე, როგორც „სიტყვიერ მექანიზმზე“, და, როგორც დაუღალავი ექსპერიმენტა-

n74/209

ტორი მეტრიკის სფეროში, ის სილაბურ ლექსზე გადავიდა. მისი ლექსების დაახლოებით ნახევარი სილაბურ ლექსთწყობას განეკუთვნება (ოდენმა აღიარა, რომ ბევრად დავალებული იყო მერიენ მურისგან). სილაბური ლექსი, ოდენის განმარტებით, წარმოადგენდა შაბლონური იამბებისა და ქორეებისგან თავის დაღწევის მცდელობას, ისე, რომ არ დაუკარგავს „შაბლონის გრძნობა“. ამგვარი ამბივალენტური დამოკიდებულება ლექსის სტრუქტურის მიმართ ოდენის, როგორც ადამიანისა და პოეტის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა.

ერთი მხრივ, ოდენი შეპყრობილი იყო დროით *(„ის განუწყვეტლივ ამოწმებს თავის საათს,* - შენიშნა პოეტის ერთ-ერთმა ნაცნობმა, - *კვების, წერის, მაღაზიებში ყოფნის, კროსვორდების ამოხსნის, თვით ფოსტალიონის მოსვლის დრო ზუსტად აქვს გათვლილი“);* მეორე მხრივ, მის სივრცეში სრული ქაოსი მეფობდა. *„სისწრაფე, რომლითაც ის ანადგურებდა წესრიგს, წარმოუდგენელი და საშიშიც კი იყო“,* - დაწერა პოეტის ერთ-ერთმა მეგობარმა, რომელსაც, როგორც ჩანს, ასევე აწუხებდა ალერგია სისუფთავეზე. ვერა სტრავინსკაია ამაოდ ცდილობდა, დაელაგებინა ოდენის ბინა და ერთხელ მის სააბაზანო ოთახში იატაკზე გადმოღვარა ის, რაც ბინძური წყალი ეგონა; სინამდვილეში ეს იყო შოკოლადის პუდინგი, რომელიც იმავე ქოთანში იყო მომზადებული, რომელშიც ოდენი ხშირად შარდავდა. ვფიქრობ, მართებულია ალან ბენეტის შეკითხვა (London Review of Books-ის 1985 წლის 23 მაისის ნომერში): *„საინტერესოა, სად უნდა დაიბანო ხელები ოდენთან მას შემდეგ, რაც ისინი უკვე დაიბანე?“*

კალმანის თქმით, ოდენი *„დისციპლინირებულ ბავშვთა შორის ყველაზე უფრო მოუწესრიგებელი იყო“. „მძიმულს სიბინძურეში ცხოვრება, მძიმულ ის!“* - უთხრა ოდენმა მეგობარს, - *მაგრამ ვერაფერს ვხდები და სხვაგვარად ცხოვრება არ შემიძლია“.* მისი პოეზია წარმოიქმნება ამ სინქრონიზებული ქაოსიდან. როდესაც ოდენს კითხულობთ, ამჩნევთ დროის უნაკლო შეგრძნებას, მაგრამ, პრაქტიკულად, ხედავთ ნებისმიერ რაიმეს: *„მუსიკალურ ავტომატებს მთვარეზე“* და *„გაყინულ კიბორჩხალას ჩხირებს, რომლებიც შეგიძლიათ იყიდოთ“;* ლექსი შეიძლება დაიწყოს ციკლოტრონზე საუბრით და შემდეგ რამდენიმე სტრიქონის განმავლობაში სრულიად უმნიშვნელო თემებზე გადავიდეს. *„ყოველთვის ხდება რაღაც მოულოდნელი,* - ამბობს ოდენი მწერლის გამოცდილების შესახებ *„მღებავის ხელში“.* ეს შთააგონებს მის შემოქმედებით მუშაობას, უბიძგებს, ყოველთვის ისწრაფოდეს რაღაც მიზნისკენ. თვით სიკვდილზე ფიქრისას პოეტს წარმოუდგება, რომ მისი სხეული მიილტვის სხვა არსებობისკენ, და სიკვდილის ნატვრისას *„ათავისუფლებს ამ სხეულს, რომ ის იქცეს / ცნობიერების არმქონე მატერიად“.*

ოდენის სიყვარული მექანიზმებისადმი - რომელთა შორისაა ლექსებიც და ნებისმიერი სხვა „დაჟანგული ძრავებიც“ - სხვა არაფერია, თუ არა თვით ადამიანის სხეულის, როგორც ორგანული მექანიზმის შეგრძნება, რომელიც ერთდროულად წარმოადგენს და არც წარმოადგენს ამგვარ მექანიზმს. და მისი მოთხოვნილება, ეხილა უჩვეულო ხატები სამწერლო ცხოვრების ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, კონცენტრირებული იყო ერთ კონკრეტულ მომენტზე: გაღვიძებაზე. ოდენმა იცოდა, რომ ისტორია - ესაა კოშმარი, რომლისგანაც გაღვიძებას ვლამობთ, და რომ *„ჩვენ მხოლოდ სიზმრებში ვართ დაცულნი“,* - მაგრამ ხშირად აცდუნებდა გრძნობა, რომელიც წინ უძღვის შემეცნებას. მენდელსონისეულ გამოცემის ერთ-ერთი შესანიშნავი ნაწილია შენიშვნა, რომელიც შეიცავს ოდენის „დასაწყისის“ ადრეულ მონახაზებს და, ასევე, პოეტის ჩანაწერს ამ ლექსზე მუშაობის პროცესის შესახებ (როგორც ჩანს, ოდენისთვის ეს იყო ძალზე ღირებული ნაწარმოები, რომლითაც იწყება „Horae Canonicae“). „დასაწყისი“ ნელი ტემპით აღწერს მომენტს, როდესაც *„მე, სახელისა და ისტორიის არმქონე, / ვიღვიძებ ჩემს სხეულსა და დღეს შორის“:*

უგრძნობელი ვარ, რადგან ჯერ ნებამ უნდა
გაიღვიძოს,
ეს ხელი ჩემს ხელს წააგავს თითქოს.
და მეხსიერებამ უნდა გამახსენოს
ჩვეული ქება-ძაგების რუტინა.

ოდენს სჭირდებოდა ეს რუტინა და ეშინოდა მისი, მაგრამ პოეზიაში მის წინამორბედ მომენტს, გაღვიძების მომენტს ეძებდა.

„დასაწყისი“ შთაგონებულია აღტაცებით, რომელიც ოდენმა განიცადა პოლ ვალერის უბის წიგნაკების წაკითხვისას *(„ესაა ერთ-ერთი ყველაზე უფრო საინტერესო და ორიგინალური დოკუმენტი „შინაგანი ცხოვრების შესახებ“)* და, კერძოდ, ვფიქრობ, ვალერის აზრებით რიჟრაჟისა და გაღვიძების შესახებ: *„აუტოგენეზისი“,* როგორც ვალერი მას უწოდებს, *„არის მომენტი (ძალზე მოუხელთებელი), როდესაც ჯერ კიდევ არა ხარ ის ადამიანი, რომელიც სინამდვილეში ხარ და თითქოს შეგიძლია, რომ დაუბრუნდე ცხოვრებას სხვა ადამიანის სახით!“.* პოეზიამ საშუალება მისცა ოდენს, გაეღვიძა საკუთარ თავისგან და არა - საკუთარ თავში. და პოეზია ბიძგს აძლევდა მის სწრაფვას იმ საკითხებისადმი, რომელთა მეშვეობით მას შეეძლო შეემოწმებინა, ეპოვა, ან დაეკარგა თავისი თავი. ჯეიმს ფენტონი იხსენებდა, როგორ ესტუმრა ოდენს მისი სიცოცხლის ბოლო დღეებში, როდესაც ცოტათი დანაღვლიანებულმა პოეტმა უამბო თავისი სურვილის შესახებ, ეპოვა ახალი თემა, რომელსაც შეეჭიდებოდა. ფენტონმა წამსვე შეთხზა არარსებული სახელწოდება - *„კლაფი“. „კლაფი?“,* - შეეპასუხა ოდენი, *„არა, კლაფი უკვე მოვსინჯე. ბითლებზე ვფიქრობდი“.*

© London Review of Books, Vol. 45 No.5, 2 მარტი, 2023.

პალიტრა L
გამომცემლობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯოზეფ კემპბელი

ათასსახოვანი გმირი

გიორგი მაჭარაშვილის თარგმანი



„წინამდებარე წიგნის მიზანია მოხელთება იმ ჭეშმარიტებათა, რომლებიც რელიგიური და მითოლოგიური სიმბოლოების უკან იმალება. წიგნის მეორე, უმთავრესი მიზანია მსოფლიოში არსებული მითებისა და გადმოცემების თავმოყრა. დაე, სახე-ხატებმა საკუთარ მნიშვნელობაზე თავად ისაუბრონ. მათი წაკითხვისას მაშინვე დაინახავთ, თუ რაოდენ დაკავშირებულია ეს ამბები ერთმანეთთან. მართლაც, საოცარია, რომ ადამიანი ათასობით წელია ცხოვრობს ამ სამყაროში, თუმცა ძირითადი ჭეშმარიტებები, რომლებიც ამ ისტორიებს აერთიანებს და ამთლიანებს, უცვლელი რჩება, ეპოქასა და კულტურული განსხვავებების მიუხედავად“.

წიგნის ფასი: 29.95₾

www.palitral.ge

facebook.com/Palitra.L.Publishing

წიგნის
სანახავად
დაასკანერეთ
QR კოდი

სულაკაურის
გამომცემლობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



თამთა მელაშვილი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული თანამედროვე ქართველი მწერალია. მისი პირველი რომანი, „გათვლა“ 2010 წელს გამოქვეყნდა და ლიტერატურული პრემია „საბა“ და Deutscher Jugendliteraturpreis მოიპოვა. ნაწარმოები წლის საუკეთესო ლიტერატურულ მოვლენადაც მოიხსენიეს.

„გათვლას“ 2015 წელს მოჰყვა „აღმოსავლეთით“, 2021 წელს კი თამთა მელაშვილის ყველაზე აღიარებული და პოპულარული ნაწარმოები, „შაშვი შაშვი მაყვალი“ გამოვიდა, რომელიც მწერლის სხვა ნაწარმოებების მსგავსად, მკითხველს მარგინალიზებული ქალის ხმას აგონებს. წიგნს პრემია „საბა“ მიენიჭა წლის საუკეთესო რომანის ნომინაციაში.